

შოთა დოღონაძე

**საქართველო: გზა
საერთაშორისო
აღიარებიდან
საერთაშორისო
თანამშრომლობისაკენ**

**"შეცნიერება"
თბილისი
2002**

წიგნი მკითხველს ინფორმაციას აწვდის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოების მიერ, საქართველოს აღიარებისა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ. მონოგრაფიაში გაანალიზებულია სახელმწიფოს აღიარებისა და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პრაქტიკა, მოცემულია ინფორმაცია საქართველოში აკრედიტებული პირველი ელჩებისა და საქართველოს მიერ საზღვარგარეთის ქვეყნებში წარგზავნილი პირველი დიპლომატიური წარმომადგენლების თაობაზე. ნაშრომი ასევე, ვრცელ მასალას მოიცავს, საქართველოს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ. ფაქტობრივ მასალასა და დოკუმენტებზე დაყრდნობით გაანალიზებულია პროცესები, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

წიგნი გათვალისწინებულია საქართველოს დიპლომატიის ისტორიით დაინტერესებული სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფესორი ვახტანგ გურული

რეკენზენტები:

ნანა ავალიანი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი,
გონა ჯაფარიძე, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი

4306010000

© „მეცნიერება“
2002

დ ————— 2002
M 607 (06)-02

პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციიდან თავის დაღწევა და საერთაშორისო აღიარების მოპოვება

საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობაში საკუთარი ადგილის განსაზღვრის ამოცანას, რაც ბუნებრივად გულისხმობს ცალკეულ ქვეყნებთან, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობათა გარკვევასა და ჩამოყალიბებას. ამკარაა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის სისტემაში სრული ინტეგრაცია სახელმწიფოებრიობის არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობა, მისი განვითარების საფუძველია. საერთაშორისო ცხოვრებაში მონაწილეობის ეფექტიანობა ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს უნარზე განახორციელოს მოქნილი საგარეო პოლიტიკა.

ამ რეალობას წინ უძღოდა დამოუკიდებლობის პირველი წლები, როდესაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციიდან თავის დაღწევა და საერთაშორისო აღიარების მოპოვება.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე პირველ, წარმატებულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ 1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული არჩევნების შედეგად ქვეყანაში ახალი ვითარების ჩამოყალიბება, რაც იმთავითვე ქმნიდა იმის საფუძველს, რომ ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენა შორეული მომავლის საქმე აღარ იყო.

1990 წლის 14 ნოემბერს ახლადარჩეული მრავალპარტიული უზენაესი საბჭო თავის პირველსავე სესიაზე იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს სსრ-ს სახელის შეცვლასთან დაკავშირებით. საქართველოს საბჭოთა სოცია-

ლისტურ რესპუბლიკას ეწოდა - საქართველოს რესპუბლიკა,¹ შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები კონსტიტუციაში, შეცვლილ იქნა სახელმწიფო გერბი, დროშა და ჰიმნი, გამოცხადდა სახელმწიფოებრიობის აღდგენის გარდამავალი პერიოდი,² რაც აისახა უზენაესი საბჭოს მიმართვაში მსოფლიოს ხალხებისადმი. ამ მიმართვის სრული ტექსტი ასე გამოიყურება:

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
მიმართვა მსოფლიო ხალხებისადმი**

მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთა ერთობლივმა ძალისხმევამ შესაძლებელი გახადა ტოტალიტარული რეჟიმების ქვეყნებში დემოკრატიული პროცესების განვითარება. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს თანამედროვე პირობებში უკიდურესი სისასტიკის რეჟიმების თანდათანობითი, ევოლუციური გზით შეცვლის რეალურ შესაძლებლობას, რაც უდავოდ პროგრესული პოლიტიკური ძალების დაშსახურებად უნდა ჩაითვალოს. ამ პირობებში საქართველოში დემოკრატიული ოპოზიციისა და მოსახლეობის ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირში უბრეცედენტო დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება. არჩევნები დასავლეთის დამოუკიდებელ ექსპერტთა მეთვალყურეობით მიმდინარეობდა. გადაწყვეტი უპირატესობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა დემოკრატულმა ძალებმა მოიპოვეს.

საქართველო უკანასკნელ დრომდე დასავლეთისათვის უადრესად საშიში ზესახელმწიფოს უპიროვნო ნაწილს წარმოადგენს. ამდენად, კარგად გვესმის, რომ საქართველოს

¹ საქართველოს კანონი საქართველოს სსრ სახელწოდების შეცვლის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 11, 1990, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამომცემლობა, თბილისი, 1990, გვ.17.

² საქართველოს კანონი საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ, იქვე.

სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა ერთობ გართულდება, თუკი იგი დაუპირისპირდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოების პროცესს. ეს პროცესები პოზიტიური დემოკრატიული ნიშნით ვითარდება და სასურველია მოხერხდეს მათი ურთიერთშეთავსება.

საქართველოს მრავალპარტიული უზენაესი საბჭო სახელმწიფოებრიობის აღდგენის ეტაპობრივ პროცესს განიხილავს როგორც ამიერკავკასიისა თუ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში სტაბილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რაზეთუ საქართველოს, ისევე როგორც ბალტიის რესპუბლიკების, ხელოვნური გაერთიანება თუნდაც განახლებული საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგნაირად, აუცილებლად გამოიწვევს ამ რესპუბლიკებში სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაციას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის ხელისუფლების ორგანოს და მიზნად ისახავს 1921 წლის თებერვალ-მარტში შეიარაღებული აგრესიის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ჩვენ არ ვაპირებთ არც რომელიმე სახელმწიფოსა და არც საქართველოში მცხოვრებ რომელიმე ეროვნებასთან დაპირისპირებას. ეს არის გზა, რომლითაც გარანტირებული იქნება საქართველოში ადამიანის, მოქალაქის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქართველო, ვახდება რა მსოფლიოს თავისუფალ სახელმწიფოთა ოჯახის წევრი, თავის წვლილს შეიტანს საშართლიანი და ჰარმონიული მსოფლიოს შექმნაში. ამ გზაზე კი სხვა სახელმწიფოთაგან სოლიდარობისა და მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!
თბილისი, 1990 წლის 14 ნოემბერი³

³ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, II, 1990, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამოცემლობა, თბილისი, 1990, გვ.83.

საგულისხმოა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, იმ დროისათვის საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთგვარ ქვედანაყოფს წარმოადგენდა, ახერხებს ჩაატაროს გარკვეული ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს პოპულარიზაციას საერთაშორისო ასპარეზზე.

1990 წლის აპრილში ორგანიზებულ იქნა საქართველოს საქმიანი წრეების დელეგაციის მონაწილეობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბონის საერთაშორისო კონფერენციასზე ევროპაში ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე. საქართველოს დელეგაცია მონაწილეობდა 1990 წლის ივნისში დავოსში (შვეიცარია) რეგიონთა ასამბლეაში. სამინისტროში უცხოელი ჟურნალისტებისათვის მზადდებოდა „ექსპრეს-ბიულეტენები“. გაიზარდა სამსახურეობრივი მივლინებები საზღვარგარეთ, როგორც სამინისტროს ანგარიში მიუთითებს, ბოლო სამი წლის მონაცემებით საზღვარგარეთ მივლინებები 5-ჯერ გაიზარდა. ამ დროისათვის იქმნება საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა ქ. მოსკოვში, რომელიც ძირითადად დაკავებული იყო საზღვარგარეთ მივლინებულთა საქმეების გაფორმებით.⁴

გააქტიურდა საქმიანობა „იუნესკოს“ ფარგლებში. შეიქმნა „იუნესკოს“ საქმეთა საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 31 ივლისის დადგენილებით; ასევე ჩამოყალიბდა განათლების ფონდი, რომლის სამუალებითაც ათობით სტუდენტი გაიზარდა სასწავლებლად საზღვარგარეთ.

ჩატარდა ქართული კულტურის დღეები უცხოეთში, კერძოდ, ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ეგვიპტე, ქუვეითი, ნორვეგია.

1990 წელს საქართველოში უმასპინძლეს საფრანგეთის სენატორს შაილ ლაფიტს, საარის მიწის სამთავრობო დელეგაციას, მონაკოს პრინცესა კაროლინას, საქმიანი წრეების დელეგაციებს საფრანგეთიდან, ბელგიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

⁴ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, აღწერა 1, საქმე 1492

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაციისა და სრულყოფის შესახებ“.⁵ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის, სრული სუვერენიტეტის დაშკვიდრებისა და ეკონომიკური კრიზისის დაძლევისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიური და მასშტაბური განვითარება და რომ ამ მიმართულებით კავშირები უფრო შრავალფეროვანი და შრავალმხრივი გახდება. მინისტრთა საბჭომ მიიჩნია, რომ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის უზრუნველყოფისა და მსოფლიო ეკონომიკაში თანდათანობით ადაპტაციის პროცესის წარმართვისათვის საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ უწყებას სერიოზული საქმიანობა უნდა წარუქმართა.

ეს იყო პირველი მოგრძალებული ნაბიჯები საერთაშორისო ასპარეზზე, განხორციელებული ჯერ კიდევ საბჭოთა ცენტრის პრესისა და კონტროლის ქვეშ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე

1991 წლის 31 მარტი უმნიშვნელოვანესი თარიღი იყო საქართველოს უახლეს ისტორიაში - საქართველოს ხელი-სუფლებამ დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი ჩაატარა. რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის დამოკიდებულება ქვეყნის სუვერენიტეტისადმი არაფითარ ეჭვს არ იწვევდა, ისევე როგორც არ იწვევდა ეჭვს საქართველოში მოსახლე სხვა ერების წარმომადგენელთა დამოკიდებულება, მაგრამ ამ აქტით ხელისუფლებას სურდა ხალხის განწყობილების სამართლებრივი დადასტურება. რეფერენდუმი მოსალოდნელი აღმაჯლობით

⁵ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, აღწერა 1, საქმე 1491

ჩატარდა. "დასმულ კითხვაზე -" გურთ თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე" - დადებითი პასუხი გასცა რეფერენდუმში მონაწილეთა 99,85% -მა. 31 მარტის შექდგომ აღარ არსებობდა არცერთი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო სამართლებრივი აქტით საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის წინააღმდეგ".⁶

რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სდომამ 1991 წლის 9 აპრილს ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღო. სდომის დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ამ დღეს უზენაესი საბჭოს მიერ ერთსულოვნად მიღებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით საქართველო დამოუკიდებელ, ერთიან და განუყოფელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში ნათქვამია: "1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოსატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, აღდგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე".⁷

დოკუმენტში გამოცხადებულია საერთაშორისო სამართლის პრინციპი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის მიმართ, მისი პირდაპირი ნორმების მოქმედება საქართველოს

⁶ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო (1990 წლის ნოემბერი-1991 წლის მაისი) გამომცემლობა „მარინი“, თბილისი, 1991, გვ. 4.

⁷ ვაქ. კიიი „საქართველოს რესპუბლიკა“ 70, 10 აპრილი, 1991.

ტერიტორიაზე აღიარებულია საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად. მითითებულია, რომ საქართველო, რომელიც ისწრაფვის დაიკავოს ღირსი უფლებები მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, ვალდებულია კისრულობს უზრუნველყოს ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებას და თავისუფლებას, რომელიც გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებებს, ჰელსინკისა და ვენის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.⁸

სესიაზე მიიღეს მიმართვები მსოფლიოს ხალხებისა და სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვისადმი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, კერძოდ, მოუწოდებდა სსრ კავშირის პრეზიდენტს ერთგული დარჩენილიყო დემოკრატიული პრინციპებისადმი და ეღიარებინა საქართველო დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ.

ამავე კონტექსტში, მომართვაში მსოფლიოს ხალხებისადმი პირდაპირ იყო მითითებული კომუნისტური რეჟიმის მიერ

⁸ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 70, 10 აპრილი, 1991.

საქართველოს წინააღმდეგ განაღებული ბრძოლის რეალობაზე; მიმართვა შექმნილი მოწოდებით მოაგრდებოდა: „საქართველოს რესპუბლიკის უსენაესი საბჭო მიმართავს მსოფლიოს ხალხებს, ყველა კეთილი ნების ადამიანს, მხარი დაუჭირონ თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობის იდეებისათვის შებრძოლი ხალხის ნებას, არ დაუშვან მის წინააღმდეგ ძალის გამოყენება და სელი შეუწყონ საქართველოს რესპუბლიკის ცნობას და დაშვიდრებას დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში.“⁹

ეს აქტები ახალ ერას ქმნიდნენ საქართველოს ისტორიაში, ამ პერიოდიდან იწყება ის რთული და წინააღმდეგობრივი გზა, რომელსაც საქართველო დღესაც ადგას თავისი რეალური სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესში.

სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა, როგორც ცნობილია, მისი აღიარებაა სხვა დამოუკიდებელი ქვეყნების, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, რაც შექმნომ ეტაპზე დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას გულისხმობს. პრაქტიკაში ასეთ აღიარებას დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცნობა ეწოდება.

გამოაცხადა რა, თავისი დამოუკიდებლობა, საქართველომ მიმართა მსოფლიო თანამეგობრობას მოწოდებით მხარი დაუჭირათ მისი სუვერენიტეტისათვის, ეღიარებინათ იგი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტი.

ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოს მოწოდებას გამოესმაურა, იყო მეზობელი სომხეთი; მას მოჰყვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 30 აგვისტოს განცხადება, რომელშიც გამოთქმული იყო სრული მხარდაჭერა ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, მოლდოვას, საქართველოს, უკრაინისა და ბელორუსიის დამოუკიდებლობის დეკლარაციებისადმი და აღიარებული იყო მათი დამოუკიდებლობა.

სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგე-

⁹ გასული „საქართველოს რესპუბლიკა“ 70, 10 აპრილი, 1991.

ნის აქტს საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებისაგან საქართველოს, როგორც სუვერენული ქვეყნის, აღიარება, არ მოჰყოლია. საქართველოს რესპუბლიკა ფაქტობრივად ჯერ კიდევ რჩებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

გარკვეული პირობებიდან, შეიძლება გულუბრყვილო ვუწოდოთ საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას საგარეო ურთიერთობებისადმი - მას შიანდა, რომ საქართველოს უწინაესი საბჭო აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა. ერთგვარ ილუზიას ამ მხრივ ქმნიდნენ უწინაესი საბჭოს ხელმძღვანელების შესვედრა აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან, მათი ვიზიტი აშშ-ში, ესპანეთში, ავსტრიასა და თურქეთში, მაგრამ სინამდვილეში ამ აქტებს არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, თუშცა თავის დროზე საერთაშორისო სარბიელზე სერიოზულ გარღვევად ჩაითვადა. დაახლოებით ასეთივე ნიშნით ხასიათდებოდა საგარეო ურთიერთობების სხვა ფორმებიც, კერძოდ, საერთაშორისო თანამშრომლობის რანგში იყო აყვანილი ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები სსრ კავშირის შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკებთან - მოლდოვას სსრ-სთან, აზერბაიჯანთან და ესტონეთთან.¹¹

ამავე დროს აღნიშვნის ღირსია, რომ საქართველო, თავის მხრივ, აქტიურად ესმარებოდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მიმდინარე დამოუკიდებლობის დეკლარირების პროცესს. 1991 წლის აგვისტოს ბოლოს საქართველოს უწინაესმა საბჭომ მიმართვები მიიღო უკრაინის, ესტონეთისა და ლატვიის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიმართ, ოგი მიესაღმა აღნიშნული რესპუბლიკების მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის დეკლარაციებს და მზადყოფნა გამოთქვა დაემყარებინა მათთან დიპლომატიური ურთიერთობები. ასეთი მიმართვები გაეგზავნა სხვა რესპუბლიკებსაც, მაგალითად, 1991

¹¹ საქართველოს რესპუბლიკის უწინაესი საბჭო (1990 წლის ნოემბერი-1991 წლის მაისი) გამოცემლობა „მარნი“. თბილისი, 1991, გვ.4.

წლის 9 ოქტომბერს უზბეკეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭო-სადმი მიმართვაში საქართველოს უზენაესი საბჭო აღნიშნავდა: "პატივცემულო დეპუტატებო!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მთელი ქართველი ხალხი მიესალმება უზბეკი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, რომელიც 1991 წლის 1 სექტემბერს უზბეკეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაგვირგვინდა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ცნობს უზბეკეთის რესპუბლიკას დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ, საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად და გამოხატავს მზადყოფნას უზბეკეთის ხელისუფლებასთან ნებისმიერ დროს დაიწყოს მოლაპარაკება ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დაწყების თაობაზე." "

რა თქმა უნდა, იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ჯერ კიდევ არ იყო, სხვა სახელმწიფოს აღიარება მხოლოდ სოლიდარობის ფაქტად განიხილებოდა და მას საერთაშორისო სამართლებრივი შედეგი ვერ მოჰყვებოდა.

გარკვეულ მიზანმიმართულ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, მისი წარმომადგენლები პირდაპირ კონტაქტებზე გადიოდნენ საზღვარგარეთის სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან. ეს საქმიანობა უპრაველეს შემთხვევაში დადებითი შედეგებით მთავრდებოდა.

ასე მაგალითად, 1991 წლის 2 მაისს მოსკოვში, თურქეთის რესპუბლიკის საელჩოში, გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების შესვენრა საელჩოს მრჩეველთან ჰალილ აქიჯთან. საუბარი შეესო საქართველოში არსებულ მდგომარეობას. თურქეთის მხარემ

° საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 8, 1991, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამოცემულობა, თბილისი, 1991, გვ.ნ4.

გაპოთქვა შეუფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში არსებული არასტაბილური მდგომარეობა ხელს შეუშლის საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. ასევე აღინიშნა იმის თაობაზეც, რომ ცენტრის მიერ ხდებოდა საქართველოს ბლოკირება თითქმის ყველა საკითხში. მაგალითად მოყვანილ იქნა შავი ზღვის ეკონომიკური კავშირების პრობლემა. მოსკოვის მიერ სისტემატიურად ეწლებოდა ხელი შავი ზღვის რეგიონების რესპუბლიკების მონაწილეობას აღნიშნული პროექტის განხორციელებაში.

ამავე შესვედრაზე კვლავ, მსგავსად იმავე წლის 8 თებერვალს გამართული შეხვედრისა, დაისვა საკითხი ქ. თბილისში თურქეთის რესპუბლიკის გენერალური საკონსულოს გახსნის თაობაზე, რის შესახებაც საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მილო კიდუც იმავე წლის 14 ოქტომბერს თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა.¹²

ბელოვეჟის პუშინის გადაწყვეტილებები და სსრ კავშირის დაშლა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მიმდინარე გარდაქმნები ქვეყნის დამოუკიდებლობის საფუძვლებს ქმნიდა, საჭირო იყო ამ მიმართულებით თანმიმდევრული ბრძოლის გაგრძელება. ამ ბრძოლაში გასათვალისწინებელი იყო საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესები, ცვლილებები, რომლებიც გარდაუვალი იყო რღვევის ვითარებაში მყოფი იმპერიისათვის. მოვლენების განვითარება დაანქარა 1991 წლის "ავგისტოს პუტჩმა". 1991 წლის დეკემბერში ბელოვეჟის პუშინის ხელშეკრულებამ კი საერთოდ საბჭოთა კავშირის დაშლა და მის შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკების ნაცვლად დამოუკიდებელი ქვეყნების ჩამოყალიბება განაპირობა.

1991 წლის 7 დეკემბერს ბელორუსიაში, ბელოვეჟის პუშინის

¹² საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი აღწერა I(დამ), საქმე 1

რეზიდენცია „ვისკულიში“ შეიკრიბა სსრ კავშირის საში სლაგური რესპუბლიკის ლიდერი: ბორის ელცინი, ლეონიდ კრავჩუკი და სტანისლავ შუშკევიჩი წიგნ, სსრ კავშირის დამფუძნებელი სახელმწიფოები - რესპუბლიკა ბელორუსი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, რომლებმაც ხელი მოვაწერეთ 1922 წლის საძოვავშირო ხელშეკრულებას

... ვაკეთებთ კონსტატაციას, რომ სსრ კავშირი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა, წყვეტს თავის არსებობას,¹³ ნათქვამია ბელორუსში ბელორუსის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის პირველი პირების მიერ ხელმოწერილ შეთანხმებაში. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა რთული და დაძაბული მოლაპარაკება, რომელიც მთელი დამის განმავლობაში მიმდინარეობდა.

უკრაინის ანლადარჩეული პრეზიდენტისათვის ლეონიდ კრავჩუკისათვის აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერის უმთავრესი არგუმენტი იყო დამოუკიდებლობის მსარდასაჭერად უკრაინაში ჩატარებული კენჭისყრის დადებითი შედეგები.

აღბათ საკამათოა ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცება იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკა, რუსეთის გარდა, უკრაინას უნდა უმადლოდეს თავის დამოუკიდებლობას, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლაში მნიშვნელოვანია უკრაინის წვლილი.

ბელორუსიის რესპუბლიკის, რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის სახელმწიფოთა მეთაურებმა თავის 8 დეკემბრის განცხადებაში აღნიშნეს, რომ ცენტრის არაშორსმჭვრეტელურ პოლიტიკას მოჰყვა ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, წარმოების ნგრევა, საზოგადოების პრაქტიკულად ყველა ფენის ცხოვრების დონის კატასტროფიული დაქვეითება. მათ იკისრეს საბჭოთა კავშირის დაშლის პასუხისმგებლობა და გამოაცხადეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნა.

¹³ "Как был разрушен голем", "Свободная Грузия", 14 августа 1999, N 187.

თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმა მინდად დაი-
სახეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განპტკიცების
კურსის განხორციელება. ისინი იძლეოდნენ გარანტიას, რომ
შეასრულებდნენ საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელიც
გამომდინარეობდა მათთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის
ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან, ასევე უსრუნველ-
ყოფდნენ ერთიან კონტროლს ბირთვული იარაღისა და მისი
გაუფრცელებლობისადმი.

საქართველოში აღნიშნულ გადაწყვეტილებებს იმთავითვე
შიესალმნენ. იმასთან დაკავშირებით, რომ უსენაესი საბჭოს სნდომის
მოწვევა გარკვეული ვადით იქნა გადადებული, 10 დეკემბერს
ბელორუსის რესპუბლიკის უსენაეს საბჭოს, რუსეთის ფედერაციის
უსენაეს საბჭოსა და უკრაინის უსენაეს საბჭოს წერილით მიმართა
საქართველოს რესპუბლიკის უსენაესი საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილემ ნემო ბურჭულაძემ. საქართველოს რესპუბლიკის
უსენაესი საბჭოს პრეზიდენტის სახელით იგი მიესალმა ბელო-
რუსიის, რუსეთისა და უკრაინის მიერ დეკლარირებულ საბჭოთა
იმპერიის ლიკვიდაციას.

წერილში გამოთქმული იქნა რწმენა, რომ ასლადმექმნილი
თანამეგობრობა ხელს შეუწყობდა დემოკრატიისა და თავისუფ-
ლების პრინციპების განვითარებას.

„თქვენს მიერ სსრ კავშირის არსებობის შეწყვეტის კონს-
ტატაციას და შეთანხმების დადებას ჩვენ განვინილაფთ, როგორც
უანლესი ისტორიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, რაც
გამონიწვევს ანალი პოლიტიკური ურთიერთობების, ეკონომიკური
სტრუქტურების განვითარების დანიქარებას და მათ აქტიურ
ჩართვას თავისუფალი მსოფლიოს სისტემაში,“ აღნიშნულია
წერილში.“

საინტიერესოა, რომ საქართველო ამ უმნიშვნელოვანეს
ისტორიულ მოვლენას მხოლოდ აღნიშნული განცხადებით გამოეხ-
მაურა. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ამ პერიოდისათვის საქართ-

¹⁴ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 201, 10 დეკემბერი, 1991.

ველოს პოლიტიკურ არენაზე უკვე სერიოზული დაძაბულობა იგრძნობოდა. ღრმავდებოდა ურთიერთდაპირისპირება, რთულდებოდა სოციალური ფონი.

ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებს მხოლოდ 12 დეკემბერს გამოეხმაურა. ამერიკის შეერთებული შტატების სასელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა თავის გამოსვლაში პრინსტონში საბჭოთა კავშირის შესახებ პირველად ილაპარაკა წარსულ დროში. „ლენინის მიერ შექმნილი და სტალინის აშენებული სასელმწიფო თავის თავში შეიცავდა თავისი დაღუპვის წინაპირობებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ჩვენ ახლა ვცხოვრობთ ახალ ეპოქაში“,¹⁵ აღნიშნა მან.

ამერიკელებს, რომლებიც ბოლომდე ერთგულებდნენ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მისეილ გორბაჩოვს, აღარ შეეძლოთ პოლიტიკური რეალიების იგნორირება. საბჭოთა პრეზიდენტი და მის მიერ განსახიერებული საბჭოთა ცენტრი პოლიტიკური ავანსცენიდან ქრებოდა. ვაშინგტონი იძულებული იყო ეს ელიარებია. ზემოაღნიშნულ გამოსვლაში ბეიკერი ლაპარაკობდა მ. გორბაჩოვის „უდიდეს დაშლასურებებზე“ და მის ადგილზე ისტორიაში. ყოველივე ეს „პოლიტიკურ ნეკროლოგს“ უფრო წააგავდა, ვიდრე ქათინაურს საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის მისამართით.

ჯ. ბეიკერი აღნიშნულ გამოსვლაში რამდენიმე პრობლემას შეეხო, რომელთა შორის განსაკუთრებული იყო საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ორგანიზებულიყო პირველი და გადაუდებელი ევექტური უცხოური დახმარება, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სოციალური აფეთქება ყოფილ საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც დაბნეულნი და დაქანცულნი იყვნენ უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ დემოკრატებსა და რეფორმატორებს ძალა შესწევდათ დაეპურებინათ ისინი და უზრუნველყოთ მათი მოთხოვნები. ყოფილ საბჭოთა ხალხებს

¹⁵ Газета „Известия“, № 296, 14 декабря 1991 г.

არ უნდა დაეკარგათ იმედი, რომ ცხოვრება თანამედევრულად გაუმჯობესდებოდა და დასავლეთი მათ გასაქირში არ მიატოვებდა.

მეორე უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელსაც ჯ. ბეიკერი შეესო იყო ბართვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხი. მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყურადღებას დაუთმობდნენ იმას, რომ არ მომხდარიყო ბართვული იარაღისა და ტექნოლოგიების გადინება საზღვარგარეთ. მან მიუთითა, რომ დასავლეთი იზრუნებდა უშუშვერად დარწინილ ექსპერტებსა და სპეციალისტებზე, რათა ისინი ხელთ არ ეგდოთ „აღმოსავლეთის დიქტატორებს“, ჩართავდა მათ ატომური ენერჯის სამშვიდობო მინსებისათვის გამოყენების საერთაშორისო პროგრამებში.

მის გამოსვლაში აღინიშნა იმის თაობაზეც, რომ ამერიკის შეერთებული და სხვა დემოკრატიული სახელმწიფოები მიესალმებიან უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებას თავისი რესპუბლიკის არაბართვული სტატუსის აღიარების თაობაზე.

სამწუხაროდ, ამავე გამოსვლაში ვაშინგტონმა პირველად განაცხადა საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკებისადმი დიფერენცირებული მიდგომის შესახებ. ჯ. ბეიკერის თქმით, რუსეთმა, უკრაინამ, ყაზახეთმა, სომხეთმა, ყირგიზეთმა გამოავლინეს დემოკრატიული იდეალებისადმი თავისი ერთგულება და შესაბამისად შეეძლოთ ჰქონოდათ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერის იმედი.

საქართველო და აზერბაიჯანი მოხვდა „შავ სიაში“. ზვიად გამსახურდიას მავალითი, სახელმწიფო მდივნის თქმით, იმის მანვენებელი ვანდა, რომ კომუნიზმი შეეძლო შეეცვალა სხვა ტოტალიტარულ რეჟიმს. რაც შეესება აზერბაიჯანს ეს რესპუბლიკა, აღნიშნა ბეიკერმა, ატარებს კონფრონტაციის პოლიტიკას, იგი აქტიურად შეიარაღდა თავისი ქეზობლის წინააღმდეგ ომის გასაჩადებლად. მან მიანიშნა, რომ დასავლეთი უახლოეს პერიოდში არ აპირებდა დასმარებოდა არც

ბაქოსა და არც თბილისს.¹⁶

ბუნებრივია, დასავლეთის ასეთი დაძოვებულება საქართველოსა და მისი შენობელი აზერბაიჯანის მიმართ ძირითადად გამოწვეული იყო არასრულყოფილი ინფორმაციით, რომელიც იმ დროისათვის დასავლეთს გააჩნდა. ასევე იმ პერიოდისათვის ამერიკის შეერთებული შტატები ნაკლებად ანაღლიზებდა საქართველოსა და აზერბაიჯანის როლს კავკასიის რეგიონში. ეს გაგება უფრო მოგვიანებით ჩნდება.

ყოფილ საბჭოთა კავშირში კი სერიოზული ძვრები მიმდინარეობდა. ბელოვეჟის პუშჩის გადაწყვეტილებებს ზოგიერთი სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაც გამოეხმაურა, რაც გამოისატა ალმა-ატაში 1991 წლის დეკემბრის მიწურულს გამართული სამიტის გადაწყვეტილებებში. მისი განსნის დღეს, აღნიშნული სამიტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ჩავიდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ნ. მუტალიბოვიც.

აზერბაიჯანის რესპუბლიკამ, სომხეთის რესპუბლიკამ, ბელარუსის რესპუბლიკამ, ყაზახეთის რესპუბლიკამ, ყირგიზეთის რესპუბლიკამ, ძოლდოვას რესპუბლიკამ, რუსეთის ფედერაციამ (რსფსრ), ტაჯიკეთის რესპუბლიკამ, თურქმენეთის რესპუბლიკამ, უზბეკეთის რესპუბლიკამ და უკრაინამ - ესწრაფოდნენ რა დემოკრატიულ, სამართლებრივ სასელმწიფოთა მშენებლობისკენ, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე ივალდებულეს რომ:

სცნობენ და პატივს სცემენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და არსებული საზღვრების ურღვევობას;

ემხრობიან დაძოვებულ სასელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ შეთანხმების მიზნებსა და პრინციპებს.

გადაწყვეტენ, რომ თანამეგობრობის მონაწილეთა ურთიერთქმედება განსორციელდება თანასწორუფლებიანობის პრინციპით იმ შაკოორდინირებულ ინსტიტუტთა მეშვეობით, რომლებიც ჩამოყალიბდება პარიტეტულ საწყისებზე და

¹⁶ Газета „Известия“, № 296, 14 декабря 1991 г.

იმოქმედებენ თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა შეთანხმებით განსაზღვრული წესით, რომელიც არ წარმოადგენს არც სახელმწიფოს, არც შესახელმწიფოებრივ გაერთიანებას.

საერთაშორისო სტრატეგიული უშიშროებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით შენარჩუნდება სამხედრო-სტრატეგიულ ძალთა ერთიანი სარდლობა და ბირთვულ იარაღზე ერთობლივი კონტროლი; მხარეები პატივისცემით მოეკიდებიან ერთმანეთის სწრაფვას უბირთვო და ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსის მიღწევას.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, მისი ყველა მონაწილის თანხმობით, იმთავითვე ღია იყო როგორც ყოფილი სსრ კავშირის წევრ-სახელმწიფოთა, ასევე იმ სახელმწიფოების შეერთებისათვის, რომლებიც იზიარებენ თანამეგობრობის მიზნებსა და პრინციპებს. სამწუსაროდ, მოგვიანებით ეს „გუგლიაობა“ ძვირად დაუჯდა საქართველოს, მაგრამ ეს ჩვენი განხილვის თემას სცილდება და ცალკე ანალიზს საჭიროებს.

ალმა-ატის დეკლარაციაში უკვე ათმა სახელმწიფომ დაადასტურა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნით აღარ არსებობდა სახელმწიფო - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ამავე დეკლარაციით თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოებმა თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების თანახმად ყოფილი სსრ კავშირის მიერ დადებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებიდან გამომდინარე საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების გარანტიები გამოაცხადეს.

იმავე წლის 25 დეკემბერს სსრ კავშირის პირველმა და ერთადერთმა პრეზიდენტმა მისიელ გორბაჩოვმა მოიხსნა უფლებამოსილებანი - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა.

მსოფლიოს ქვეყნების მიერ საქართველოს ადიარება დაძოვნილებელ სახელმწიფოდ

იმ პირველ ქვეყნებს შორის, რომლებმაც საქართველო სცნეს, იყვნენ: თურქეთი, უკრაინა, მონღოლეთი, ლიტვა, ირანი, კანადა, აშშ, ტაილანდი, ინდოეთი, ბრაზილია, კუბა, ჩინეთი, ბელორუსია, სლოვენია, ვიეტნამი, ეგვიპტე, თურქმენეთი, ალჟირი, იორდანია, სორგატია, ლიბანი, პაკისტანი (დეკემბერი, 1991 წელი).

დაძოვნილებელი ქვეყნის ადიარების ფორმა საერთაშორისო საქართლით რეგლამენტირებული არ არის. ეს შეიძლება იყოს. მაგალითად, სახელმწიფოს შეთაურის განცხადება, რომელმაც აღნიშნული იქნება ის, რომ დასახლებულმა სახელმწიფომ სცნო ამა თუ იმ ქვეყნის დაძოვნილებლობა. საქართველო ამ ფორმით ადიარებული იყო რიგი ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების მიერ - ეს მოხდა 1991 წლის 25 დეკემბერს. ამ დღეს აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მიესალმა საბჭოთა კავშირის დაშლას, გამოაცხადა, რომ ცნობს რუსეთს დაძოვნილებელ სახელმწიფოდ და აღნიშნა, რომ აშშ საელჩო მოსკოვში ამიერიდან იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო რუსეთში. პრეზიდენტმა ასევე, განაცხადა, რომ ". . . ამერიკის შეერთებული შტატები ცნობს და ადიარებს უკრაინის, სომხეთის, ყაზახეთის, ბელორუსისა და ყირგიზეთის დაძოვნილებლობას - იმ სახელმწიფოებს, რომლებმაც იკისრეს სპეციფიკური ვალდებულებები ჩვენს მიმართ. ჩვენ მოკლე დროში დავამყარებთ დიპლომატიურ ურთიერთობებს ამ სახელმწიფოებთან და ავაგებთ ახალ კავშირებს მათთან. ჩვენ სპონსორობას გავუწევთ გაეროს წევრობაში იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ჯერ არ არიან გაწევრიანებულნი.

... ამერიკის შეერთებული შტატები დღეს, ასევე, ადიარებს დაძოვნილებელ სახელმწიფოებად ყოფილი საბჭოთა კავშირის ექვს რესპუბლიკას - მოლდოვას, თურქმენეთს, აზერბაიჯანს, ტაჯიკეთს, საქართველოსა და უზბეკეთს. ჩვენ

დავამყარებთ დიპლომატიურ ურთიერთობებს მათთან მამინ, როდესაც დავრწმუნდებით, რომ მათ იკისრეს საბაზისურებლო ვალდებულებები უსაფრთხოების პოლიტიკასა და დემოკრატიული პრინციპებისადმი, ისევე, როგორც ეს გააკეთეს იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც დღეს ვაღიარებთ.”¹⁷

დამოუკიდებელი ქვეყნის ცნობის ფორმად ასევე გამოიყენება საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის, საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი კოლეგისადმი. დასახელებულ დოკუმენტებში აუცილებელი არ არის მოცემული იყოს რაიმე პირობა ან დათქმა სახელმწიფოს ცნობასთან დაკავშირებით, თუშცა პრაქტიკაში გვხვდება დოკუმენტები, რომლებშიც ასეთი განსაზღვრებებია გაკეთებული.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბელგია ცნობს საქართველოს რესპუბლიკას და განიხილავს მას, როგორც საბჭოთა კავშირის შექვედრე სახელმწიფოს საერთაშორისო თვალსაზრისით აღიარებული საზღვრებისა და ტერიტორიების ფარგლებში.

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქვეყნის ცნობა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ერთდროულად ხორციელდება, უფრო ზუსტად, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ დოკუმენტის გაფორმებით ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებაც ფორმდება. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოდ არ თვლიან ცალკე დოკუმენტის გაფორმებას, მეტიც, შესაძლებელია დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ ხელმოწერილ დოკუმენტში საერთოდ არ იყოს მითითებული, რომ ამა თუ იმ ქვეყანამ სცნო სახელმწიფო, რომელთანაც დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს - ეს თავისთავად იგულისხმება. რასაკვირველია, ეს

¹⁷ “ბუშმა ამერიკის შეერთებულ შტატებს ამცნო რუსეთის აღიარების შესახებ”, მისკოვსკი აშშ-ის საელჩოს ინფორმაცია, 1991 წლის 26 დეკემბერი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე არქივი.

ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყნის კანონმდებლობა ასეთ შექმნევენ უშვებს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, მაგალითად, ასეთ პრაქტიკას არ იცნობს - იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აღიაროს ესა თუ ის სასულემწიფო, საჭიროა მიღებული იქნეს საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რაც სათანადო პროცედურების დაცვით მზადდება და ფორმდება.

საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების პროცესი, სამწუსაროდ, ნაკლებაქტიურად, პრაქტიკულად კი დიდი სირთულეებით წარიმართა. პირველი ქვეყანა, რომელთანაც საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა, იყო ისლანდია, - ეს მოხდა 1992 წლის 11 მარტს.

ამ შექმნევაში როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზები აღინიშნებოდა - უპირველესად, საქართველოს, როგორც სასულემწიფოს, გამოუცდებლობა. დამოუკიდებლობის აღდგენამდე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ფაქტობრივად საკავშირო საგარეო-პოლიტიკური უწყების მხოლოდ საკანცულარიო ქვედანაყოფს წარმოადგენდა, მას არ ჰყავდა საკუთარი დიპლომატიური კორპუსი, არ გააჩნდა საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობის საჭირო ცოდნა და პრაქტიკა. სამინისტრო პრობლემებს აწყდებოდა კომუნიკაციის თვალსაზრისითაც: პრაქტიკულად ერთადერთი, ყველაზე ხელმისაწვდომი, საშუალება სხვადასხვა ქვეყნების მოსკოვში განლაგებულ საელჩოებთან დაკავშირება და მათი მეშვეობით ამ სასულემწიფოებისადმი მამართვა იყო; მეკავშირის ფუნქციას ცუდად, სწირად კი საერთოდ ვერ ასრულებდა მოსკოვში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა, რაზდენადაც მისი სამართლებრივი სტატუსი გაურკვეველი რჩებოდა.

ამასთან, საქართველოში 1991 წლის ბოლოსა და 1992 წლის დასაწყისში შექმნილი შიდაპოლიტიკური ვითარება არ იძლეოდა სრულფასოვანი საერთაშორისო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას, მეტიც - მსოფლიოს თანამეგობრობა უდიდესი

სიფრთხილითა და შოლოდინით ადევნებდა თყალს მიმდინარე პროცესებს, შექმნოთებული იმით, რომ, ნაცვლად დეკლარირებული დემოკრატიული წყობისა, საქართველოში ავტორიტარული რეჟიმი იკიდებდა ფეხს. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა ძმათაშველელმა ომმა, რომელიც თავიდან ვერ აიცილა ხელი-სუფლებამ. საბოლოო ჯამში ყველაფერი, როგორც ცნობილია, სამხედრო საბჭოს შექმნით დაშთაყრდა.

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა 1991 წლის 23 დეკემბერს გამოთქვეს სურვილი დიპლომატიური ურთიერთობები დაეწყა-რებინათ იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან, რომლებიც შეასრუ-ლებდნენ ევროკავშირის მიერ იმავე წლის 16 დეკემბერს მიღებულ სახელმძღვანელო პრინციპებს. ამიტომ იყო, რომ ნიდერლანდებმა ცნეს ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, გარდა საქართველოსი „ქვეყანაში არსებული ქოტური სიტუაციის გამო“.⁸

1992 წლის 7 მარტს მსოფლიოში ყველას მიერ აღიარებული პოლიტიკოსის ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნება გარკვეულ ნიშნად იქცა საზღვარგარეთის ქვეყნე-ბისათვის. ასე მაგალითად, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანცისკო ფერნანდეს ორდონესი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს სწერდა: "ჩემო ძვირფასო მეგობარო, მინდა გულითადად მოგესალმთ, დიდი წარმატებები გისურვოთ იმ საპასუხისმ-გებლო ფუნქციების შესრულებაში, რომელსაც თქვენ საქართ-ველოში შეუდევით. იმედი მაქვს თქვენი გამოცდილება და უკვე აღიარებული თვისებები კეთილშეყოფელ გავლენას იქონიებენ დემოკრატიის დამყარებაზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ამ რესპუბლიკის შესვლას საერთაშორისო თანამეგობრობაში."⁹

1992 წლის 23 მარტს რუსეთის ფედერაციაში საქართ-ველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ იმ პერიოდისათვის ევროპის

⁸ ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა 1127/92 1992 წლის 24 მარტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე არქივი.

⁹ მოსკოვში ესპანეთის საელჩოს ნოტა 89/92, 1992 წლის 23 მარტი, საქართვე-ლოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე არქივი.

თანამეგობრობის ხელმძღვანელი ქვეყნის, პორტუგალიის, ქ. მოსკოვში განლაგებული დიპლომატიური მისიისაგან მიიღო ევროპის თანამეგობრობისა და მისი წევრი სახელმწიფოების განცხადება საქართველოს რესპუბლიკის აღიარების თაობაზე. განცხადებაში ნათქვამი იყო: "ევროპის თანამეგობრობა და მისი წევრი ქვეყნები მიესალმებიან საქართველოს რესპუბლიკის მიერ გამოხატულ მზადყოფნას შეასრულოს 1991 წლის 16-სა და 31 დეკემბერს მათ მიერ მიღებული დეკლარაციით - „აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა აღიარების პირობები“ - გათვალისწინებული მოთხოვნები. ამგვარად, ისინი მზად არიან დაიწყონ საქართველოს რესპუბლიკის აღიარება.

ევროპის თანამეგობრობა და მისი წევრი ქვეყნები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილი რესპუბლიკა მზად არის შეასრულოს ზემოთ აღნიშნული დეკლარაციის პირობები.

საქართველოს შემთხვევაში ისინი კერძოდ მიესალმებიან: - საქართველოს რესპუბლიკის მიერ გაეროს ქარტიასა და ჰელსინკის დასკვნით აქტში, პარიზის ქარტიასა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის²⁰ ფარგლებში ხელმოწერილი ყველა საერთაშორისო ვალდებულებათა მიღებას, განსაკუთრებით კი კანონის უზენაესობას დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებებთან დაკავშირებით;

- საქართველოს რესპუბლიკის მიერ ეთნიკური და ეროვნული ჯგუფებისა და უმცირესობების უფლებათა გარანტირებას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ფარგლებში ხელმოწერილი ვალდებულებების მიხედვით;

- საქართველოს რესპუბლიკის მზადყოფნას აღიაროს და პატივი სცეს სახელმწიფოთა საზღვრების ხელშეუხებლობას, რომლებიც მხოლოდ მშვიდობიანი გზებითა და საერთო თანხმობით

²⁰ ამჟამად ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო).

შეიძლება იქნენ შეცვლილი;

- საქართველოს რესპუბლიკის მზადყოფნას შეთანხმების, ხოლო საქიროების შემთხვევაში არბიტრაჟის საშუალებით გადაწყვეტოს სახელმწიფო მემკვიდრეობისა და რეგიონალურ უთანხმოებებთან დაკავშირებული ყველა საკითხი;

საქართველოს რესპუბლიკის, როგორც არაბირთვული სახელმწიფოს მიერ განიარაღებისა და ბირთვულ გაუზრცელებლობასთან, ასევე უსაფრთხოებასა და რეგიონალურ სტაბილურობასთან დაკავშირებული შესაბამისი პირობების მიღებას.²¹ უკვე 1992 წლის მარტის თვეში საქართველო სცნო 19 სახელმწიფომ. საქართველოს ცნობას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უფრო მეტი დრო დასჭირდა, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული არეულობებით. „მაგალითად, ბელგიაშ და გაერთიანებულმა საბჭოთა საქართველო სცნეს 1992 წლის 23 მარტს, იმ დღეს, როდესაც ევროკავშირმა საქართველოსაგან მიიღო დაპირება სახელმძღვანელო პრინციპების „მოთხოვნების შესრულების შესახებ“.²² ფინეთმა საქართველო სცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ 1992 წლის 24 მარტს მას შემდეგ, რაც საქართველო მიღებულ იქნა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციაზე, როგორც მონაწილე სახელმწიფო.

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების დინამიკა

1992 წლის პირველ ნახევარში დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა, ავსტრია, გერმანია, კუბა, საბერძნეთი, ნიდერლანდები, აშშ, პოლონეთი, ეგვიპტე, იტალია, მონღოლეთი, უნგრეთი, ირანი, თურქეთი, პორტუგალია, ვატიკანი, ისრაელი, ბულგარეთი, ნორვეგია, მექსიკა, ჩინეთი,

²¹ მოსკოვში პორტუგალიის საელჩოს ნოტა 89/92, 1992 წლის 23 მარტი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე არქივი.

²² საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი აღწერა (დამ), საქმე ნ.

შვეიცარია, ლისტენშტეინი, ესტონეთი, შოლდოვეთი, რუმინეთი, ვიეტნამი სულ 1992 წლის მანძილზე საქართველო ცნო 51 ქვეყანამ, დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარდა 58 ქვეყანასთან.²¹

ამ პერიოდისათვის საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარებული ჰქონდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უსამროების საბჭოს ყველა მუდმივ წევრ სახელმწიფოსთან და ყველა უშუალო მეზობელ სახელმწიფოსთან, რაც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების პროცესი შეუქცევადი და წარმატებული იყო.

1993 წლის 1 იანვრისათვის, დამოუკიდებლობისათვის მიბოვების წელიწადნახევარში, საქართველო აღიარებული იყო 78 სახელმწიფოს მიერ. შედარებისათვის, ისეთ დიდ ქვეყანას, როგორც იყო საბჭოთა კავშირი, თავისი შექმნიდან 37-ე წლისთავეზე, ე. ი. 1959 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარებული ჰქონდა მხოლოდ 66 ქვეყანასთან, რომელთაგანაც მოსკოვში დიპლომატიური წარმომადგენლობა გახსნილი ჰქონდა 51 ქვეყანას (49 საელჩო და 2 მისია); საელჩოები: ავსტრალიის, ავსტრიის, ავღანეთის, ალბანეთის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, არგენტინის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის, ბრაზილიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, დანიის, დიდი ბრიტანეთის, ეთიოპიის, ერაყის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, თურქეთის, იაპონიის, ინდონეზიის, ინდოეთის, ირანის, ისლანდიის, ისრაელის, იტალიის, იუგოსლავიის, კანადის, კამბოჯის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, ლიბანის, მარიუკოს, მექსიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, პაკისტანის, პოლონეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის, სუდანის, ტაილანდის, უნგრეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჩინეთის სახალხო

²¹ 1991 წლის განმავლობაში საქართველო სცნო მხოლოდ 27-მა სახელმწიფომ, დიპლომატიური ურთიერთობა კი არცერთ ქვეყანასთან არ დაამყარებულა.

რესპუბლიკის, საფრანკეთის, შვეიცარიის, შვეიცარიის, ცეილონის; მისიუბი: ლუქსემბურგისა და ურუგვაის. თავისი წარმომდგენლობა საბჭოთა კავშირის ჰქონდა მხოლოდ 5 წ. ქვეყანაში.²⁴

ქართული დიპლომატიური სამსახური, მისი ფორმები, მეთოდები, ხერხები და საშუალებები შეესაბამებოდა სახელმწიფოს საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ბაზისს. ამდენად, ქართული დიპლომატია უნდა განეხილოთ სახელმწიფოს განვითარებასთან კავშირში. ჩვენთვის საინტერესოა დიპლომატიური შოლაპარაკებებისა და შეთანხმებების შინაარსი, საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების არეალში ჩაბმულ სახელმწიფოთა და ხალხთა ყინაობა-რაოდენობა, საელჩო (სამოციქულო, სადესპანო) საშსასურების არსებობა-საქმიანობა, ელჩობათა ეფექტურობა და სხვა.²⁵ აღნიშნავს "ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების" I ტომის შესავალში აკადემიკოსი რ. მეტრეველი.²⁶

2000 წელს 1 იანვრისათვის საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს ევროპის 41 ქვეყანასთან, აზიის 40, ამერიკის კონტინენტის 17, აფრიკის 17 და ოკეანეთის 3 სახელმწიფოსთან. სულ 115 ქვეყანასთან.

დღეს საქართველოში თავისი ელჩი აკრედიტებული ჰყავს 75 ქვეყანას. თბილისში ფუნქციონირებს 19 საელჩო,²⁶ 15 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა და 7 საპატო საკონსულო; ქ. ფოთში მუშაობს ბულგარეთის გენერალური საკონსულო. საქართველოს 22 ქვეყანაში აქვს დიპლომატიური წარმომადგენლობები და გენერალური საკონსულოები. თავისი არარეზიდენტი ელჩი აკრედიტებული ჰყავს 10 ქვეყანაში.

²⁴ "Дипломатический словарь", Политиздат, Москва, 1960, стр. 448.

²⁵ "ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები", ტ. I, თბილისი, 1998, გვ. 5.

²⁶ სხვა ქვეყნის ელჩები დანიშნულნი არიან შეთავსებით (არარეზიდენტი ელჩები).

**საქართველოს დიპლომატიური
წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები
საზღვარგარეთის ქვეყნებში:**

საქართველოს საელჩო ავსტრიის, სლოვაკიის, სლოვენის,
უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკებში;

საქართველოს საელჩო აზერბაიჯანის რესპუბლიკაში;

საქართველოს საელჩო ამერიკის შეერთებულ შტატებში,
კანადასა და მექსიკაში;

საქართველოს საელჩო ბენილუქსის ქვეყნებსა და შუდშივი
წარმომადგენლობა ევროკავშირთან;

საქართველოს საელჩო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა
და პოლონეთში;

საქართველოს საელჩო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ
ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში;

საქართველოს საელჩო ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში;

საქართველოს საელჩო თურქმენეთის რესპუბლიკასა და
ავღანეთში;

საქართველოს საელჩო თურქეთის რესპუბლიკაში;

- გენერალური საკონსულო ბულგარეთში და ქ. სტამბოლში;

- გენერალური საკონსულო ტრაპიზონში;

საქართველოს საელჩო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში;

საქართველოს საელჩო ისრაელის სახელმწიფოში;

საქართველოს საელჩო იტალიის რესპუბლიკაში;

საქართველოს საელჩო რუსეთის ფედერაციაში;

საქართველოს საელჩო საბერძნეთის რესპუბლიკაში;

საქართველოს საელჩო საფრანგეთში, ესპანეთის სამეფოსა და
იუნესკოში;

საქართველოს საელჩო სომხეთის რესპუბლიკაში;

საქართველოს საელჩო უკრაინაში, რუმინეთსა და მოლდოვას
რესპუბლიკაში;

- გენერალური საკონსულო ოდესაში;

საქართველოს საელჩო უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში;

საქართველოს საელჩო ყაზახეთის რესპუბლიკაში;

საქართველოს საელჩო შვეიცარიის კონფედერაციაში და წარმომადგენლობა ყენევაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში;

საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში;

საქართველოს წარმომადგენლობა ევროპის საბჭოში;

საქართველოს წარმომადგენლობა „ნატოსთან“;

საქართველოს წარმომადგენლობა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში და გენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში;

გენერალური საკონსულო ათენში (საბერძნეთის რესპუბლიკა);

გენერალური საკონსულო ლიტვის რესპუბლიკაში;

საქართველო დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს იმ ქვეყნებთან, რომელთაც სცნეს იგი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების წესი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობათა და დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციით. „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და მუდმივ დიპლომატიური წარმომადგენლობების დაფუძნება ხდება ურთიერთშეთანხმებით.²⁷ ურთიერთშეთანხმების გამოსატყვის ფორმა რეგლამენტირებული არ არის, მაგრამ პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება ოქმის ან კომუნიკეს სახე. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონით ოქმი,

²⁷ ვენის კონვენციას „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ საქართველო შეუერთდა 1993 წლის 12 ივლისს.

კომუნეკე ითვლება საერთაშორისო ხელშეკრულებად.²⁸

საერთაშორისო ხელშეკრულებას, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, დებს საქართველოს პრეზიდენტი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა დოკუმენტს, რომლითაც განისაზღვრება დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, ხელს უნდა აწერდეს საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს კანონით „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ განსაზღვრულია საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების წესი, რომელიც რთულ და თანმიმდევრულ მექანიზმს მოიცავს.

აღნიშნული კანონის თანახმად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებას მოცემულ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად პოლაპარაკების გამართვის შესახებ. წინადადება შეიცავს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების თაობაზე სათანადო ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობის დასაბუთებას, პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა შედეგების მიმოხილვას.

პრეზიდენტის მიერ ამა თუ იმ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების მიზნით პოლაპარაკების გამართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განისაზღვრება უფლებამოსილი პირი და იწყება პოლაპარაკება. თანხმდება (სდება პარაფირება) ხელშეკრულების (ოქმი, კომუნეკე) პროექტი, რის შემდეგაც პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილი პირი ხელს აწერს შეთანხმებულ დოკუმენტს.

პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილება უფლებამოსილების მინაჭების შესახებ ფორმდება შესაბამისი ბრძანებულებით. ქვემოთ მოგვყავს ასეთი დოკუმენტის ერთ-ერთი ნიმუში:

²⁸ საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, მუხლი 2.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება ²⁸
N 225 1998 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი

გ. ლორთქიფანიძისათვის უფლებამოსილების მინიჭების
შესახებ

მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს საგანგებო და
სრულუფლებიან ელჩს რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქი-
ფანიძეს, რათა ხელი მოაწეროს ოქმებს საქართველოსა და
კაბო ვერდეს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დაშვების
შესახებ და საქართველოსა და ლაოსის სახალხო
დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერ-
ობების დაშვების შესახებ.

ე. შეყარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებს შესაბამისად,
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გასცემს უფლებამო-
სილების სიგელს, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

საქართველო

საგარეო საქმეთა მინისტრი

7-06/539

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ამით ადას-
ტურებს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა უფლება მიანიჭა
ვაჟა ლორთქიფანიძეს, საქართველოს საგანგებო და სრულუფ-
ლებიან ელჩს რუსეთის ფედერაციაში, რათა მან ხელი მოაწეროს
ოქმს საქართველოსა და ლაოსის სახალხო დემოკრატიულ

²⁸ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები მ. 1998
წლის აპრილი, გვ.97.

რესპუბლიკას "შიორის დიპლომატიური ურთიერთობების დაპყარების შესახებ".

ირაკლი მენაღარიშვილი

თბილისი, 21 აპრილი 1998.³⁰

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს უფლება აქვს განახორციელონ საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული ყველა სახის მოქმედება უფლება-მოსილების წარდგენის გარეშე. საყურადღებოა ზემოაღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილიც, რომლის თანახმად, „საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურისა და საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს წარმომადგენლობის მეთაურს უფლება აქვთ საერთაშორისო ხელშეკრულებების ტექსტის შიღების მიზნით უფლებამოსილების წარდგენის გარეშე გაშართოს მოლაპარაკება შესაბამისად ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან ან მოცემული საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში“.³¹

კანონის სწორედ ამ დებულებულებას ითვალისწინებდა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 21 თებერვლის განკარგულება, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს მის მიერ წარდგენილი მასალების შესაბამისად ავალებს მოლაპარაკებები გაშართოს მთელ რიგ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დაპყარების თაობაზე. დასახელებული განკარგულება საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ის ერთადერთია პრეზიდენტის განკარგულებათა შორის, რომელიც ქვეყნების ვრცელ ჩამონათ-

³⁰ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე არქივი, აპრილი, 1998, 7-06/539.

³¹ საქართველოს კანონი „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“, მუხლი 12.

ვალს მოიცავს. ვაქვეყნებთ აღნიშნული დადგენილების სრულ ტექსტს.

საქართველოს პრეზიდენტი

განკარგულება²²

N 49 1998 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ
მოლაპარაკებათა გაძართვის თაობაზე

საერთაშორისო თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების დამყარების მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა საშინისტრომ (ი. მენაღარიშვილი) დიპლომატიური ურთიერთობების დასამყარებლად გაძარტოს მოლაპარაკებები შემდეგ ქვეყნებთან:

ანტიგუა და ბურუნდა, ბაჰამის კუნძულების თანამეგობრობა, ბარბადოსი, ბელიზი, ბენინის რესპუბლიკა, ბუტანის სამეფო, ბოლივიის რესპუბლიკა, ბოტსვანას რესპუბლიკა, ბრუნეი-დარუსალამი, ბურკინა ფასო, კამერუნის რესპუბლიკა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ჩადის რესპუბლიკა, კონგოს რესპუბლიკა, კოსტა-რიკის რესპუბლიკა, ჯიბუტის რესპუბლიკა, დომინიკის რესპუბლიკა, ელ-სალვადორის რესპუბლიკა, ეკვადორის გვინეის რესპუბლიკა, ერიტრიის რესპუბლიკა, ფიჯის რესპუბლიკა, გაბონის რესპუბლიკა, გამბიის რესპუბლიკა, გაშბიის რესპუბლიკა, გრენადა, გვინეის რესპუბლიკა, გვინეა-ბისაუს რესპუბლიკა, ჰაიტის რესპუბლიკა, ჰონდურასის რესპუბლიკა, კენიის რესპუბლიკა, ლაოსის სახანალო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ლესოტოს სამეფო, მადაგასკარის რესპუბლიკა, მალავის რესპუბლიკა, მალდვის

²² საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები 4, 1998 წლის თებერვალი, გვ.147.

რესპუბლიკა, შალის რესპუბლიკა, შაფრიტანის ისლამური რესპუბლიკა, შაფრიკის რესპუბლიკა, ნეპალის რესპუბლიკა, ნიგერიის რესპუბლიკა, პანამის რესპუბლიკა, პაპუა-ახალი გვინეა, პარაგვაის რესპუბლიკა, პერუს რესპუბლიკა, რაუნდის რესპუბლიკა, სენტ-ლუსია, სან-ტომეა და პრინსიპის დემოკრატიული რესპუბლიკა, სენეგალის რესპუბლიკა, სეიშელის კუნძულების რესპუბლიკა, სომალის დემოკრატიული რესპუბლიკა, შირი-ლანკას დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკა, სურინამის რესპუბლიკა, ტოგოლენის რესპუბლიკა, უგანდის რესპუბლიკა, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა, ვენესუელის რესპუბლიკა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, შიანშის კავშირის რესპუბლიკა, სვანდიუნდის სამეფო, კომორის კუნძულების ფედერალური ისლამური რესპუბლიკა.

ე. შეგარდნაძე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დაყალიბებული აქვთ აქტიურდ იმუშაონ სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ მოლაპარაკების გაშართვისა და სათანადო დოკუმენტების გაფორმების მიზნით. მაგალითად, გაეროს ფარგლებში ხელმოწერილ იქნა 18 დოკუმენტი საქართველოს მიერ საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ, ხოლო რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს მიერ მოლაპარაკება გაიმართა და შესაბამისი დოკუმენტი გაფორმდა 21 სახელმწიფოსთან.

მიუხედავად თავისი ფორმისა და მოცულობისა, საერთაშორისო ხელშეკრულება დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ შეიცავს რამდენიმე აუცილებელ ატრიბუტს და დაახლოებით შემდეგი სახისაა:

ოქმი

საქართველოსა და დასახელებულ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დაწყარების შესახებ

საქართველო და დასახელებული სახელმწიფო ისწრაფვიან რა განავითარონ ორ ხალხს შორის არსებული მგობრული ურთიერთობები, ხელმძღვანელობენ რა საერთაშორისო სამართლის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ჰელსინკის დასკვნითი აქტისა და ევროპაში თანამშრომლობისა და უშიშროების თათბირის სხვა დოკუმენტების საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით, ეყრდნობიან რა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს, გამოთქვამენ რა რწმენას, რომ დიპლომატიური ურთიერთობების დაწყარება ხელს შეუწყობს საქართველოსა და დასახელებულ სახელმწიფოს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებას და გაღრმავებას, ეფუძნებიან რა 1961 წლის ვენის კონვენციის დებულებებს დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, შეთანხმდნენ, დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოსა და დასახელებულ სახელმწიფოს შორის და გაცვალონ წარმომადგენლობები საელჩოების დონეზე.

ეს ოქმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

შესრულებულია დასახელებულ ქალაქში მოცემულ თარიღს, ქართულ და დასახელებული ქვეყნის ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს გააჩნია ერთნაირი ძალა.

**საქართველო სახელით დასახელებული ქვეყნის
სახელით**

სახელით

ამასთან ერთად, მოცემული ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს სპეციფიკურ ტერმინებს ან შეთანხმებულ დებულებებს. საქართველოს კანონი "საქართველოს საერთაშორისო

ხელშეკრულების "შესახებ" საერთაშორისო ხელშეკრულების ფორმად განიხილავს წერილების გაცვლას სახელმწიფოთა მიერ. ამ ფორმის გამოყენებით იქნა დამყარებული, მაგალითად, დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1992 წლის 13 აპრილს. თავის წერილში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი წერდა თავის ქართველ კოლეგას ალექსანდრე ჩიკვაძეს:

"ბატონო მინისტრო,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სახელითა და ფედერალური პრეზიდენტის 1992 წლის 23 მარტის წერილის თანახმად მაქვს პატივი მოგახსენოთ:

1. 1992 წლის 13 აპრილიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკა დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებენ.

2. ეს ურთიერთობა ეფუძნება ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენციას დიპლომატიური ურთიერთობის თაობაზე. ოგი შეიცავს საკონსულო ურთიერთობებსაც, რომლისთვისაც მოქმედებს ვენის 1963 წლის 24 აპრილის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ. ამის შესაბამისად, ორივე სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი საკონსულო ფუნქციებსაც ასრულებენ.

3. ორივე მხარე გაცვლის ელჩებს.

გთავაზობთ, წარმოდგენილი წერილი თქვენს საპასუხო წერილთან ერთად მიწნულ იქნას შეთანხმებად ჩვენს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

წერილები შესრულებულია გერმანულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. საშივე ტექსტი იდენტურია. გერმანული და ქართული ტექსტების არაერთნაირი ინტერპრეტაციის შემთხვევაში განმსაზღვრელია ინგლისური ტექსტი.

ნება მიბოძეთ, ბატონო მინისტრო, გამოვსატო თქვენდამი ჩემი უღრმესი პატივისცემა.³³

³³ ხელმოწერილია თბილისში, 1992 წლის 13 აპრილს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე არქივი, აპრილი, 1991.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის საპასუხო წერილში აღნიშნულია:

„ბატონო მინისტრო,

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სახელით პატივი მაქვს მოგახსენოთ:

1. 1992 წლის 13 აპრილიდან საქართველოს რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აშყარებენ დიპლომატიურ ურთიერთობას.

2. ეს ურთიერთობა ეფუძნება ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენციას დიპლომატიური ურთიერთობის თაობაზე. იგი შეიცავს საკონსულო ურთიერთობებსაც, რომლისთვისაც მოქმედებს ვენის 1963 წლის 24 აპრილის კონვენცია საკონსულო ურთიერთობის შესახებ. ამის შესაბამისად, ორივე სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი საკონსულო ფუნქციებსაც ასრულებენ.

3. ორივე მხარე გაცვლის ელჩებს.

გთავაზობთ, წარმოდგენილი წერილი, თქვენს საპასუხო წერილთან ერთად მიწვეულ იქნას შეთანხმებად ჩვენს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დაშყარების შესახებ.

წერილები შესრულებულია გერმანულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე. სამივე ტექსტი იდენტურია. გერმანული და ქართული ტექსტების არაერთნაირი ინტერპრეტაციის შემთხვევაში განშსაზღვრულია ინგლისური ტექსტი.

ნება მიბოძეთ, ბატონო მინისტრო, გამოგხატო თქვენდამი ჩემი უღრმესი პატივისცემა.³⁴

საბოლოოდ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს დოკუმენტის ფორმას - უმთავრესია, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულებების დებულებები არ ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას, გამოხატავდეს ორ ქვეყანას შორის ჭეშმარიტი მეგობრული, ურთიერთხელსაყრელი და პარიტეტულ საწყისებზე დაყუძნებულ ურთიერ-

³⁴ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე არქივი, აპრილი, 1992

თობების ჩამოყალიბებას.

სახელმწიფოთა აბსოლუტურ უპრავლესობაში, ისევე როგორც საქართველოში, საერთაშორისო ხელშეკრულებები, შიდა-სახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილად განიხილება, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ნორმებს კონსტიტუციაზე ნაკლები ძალა აქვს, მაგრამ შეტი ყიდრე სხვა საკანონმდებლო აქტებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-ნ მუსლის მე-2 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს: „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.⁵

დღეს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, მიერ დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარების პროცესი თანმიმდევრულად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელია საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება, რომ დიპლომატიური ურთიერთობები წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზედაც აიგება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები.

საქართველომ - და აშას შემოთ განხილული ზოგიერთი ფაქტი და მოვლენა ნათლად ადასტურებს - ისტორიულად უმოკლეს დროში დააღწია თავი იზოლაციას, ინტენსიური ურთიერთობები დაამყარა მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებთან და წარმატებით აგრძელებს ამ კურსს.

საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა- მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების უმთავრესი ბერკეტი

საქართველო 105-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია. საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში საქართველო

⁵ საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი 1995, გვ.7.

აწარმოებს მრავალმხრივ ურთიერთობებს, მონაწილეობს ყველა იმ დოკუმენტების (მემორანდუმები, კონვენციები, მრავალმხრივი ხელშეკრულებები და ა.შ.) განხორციელებაში, როსელიც ამ ორგანიზაციების ფარგლებში მოქმედებს. მათი უმრავლესობის მონაწილეობას თვით ორგანიზაციის წევრობა განსაზღვრავს. ზოგიერთთან მიერთებაზე მიღებულ უნდა იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება. ასე მაგალითად, 2002 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით საქართველო ევროპის საბჭოს მიერ მიღებული 180-დან მონაწილეა 40 დოკუმენტისა, მათ შორის:

ევროპის საბჭოს წესდება

(ძალაშია 1999 წლის 27 აპრილიდან),

ადაშიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და მისი მე-2, მე-3, მე-5, მე-8 და მე-11 ოქმები,

(ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან),

კულტურის ევროპული კონვენცია

(ძალაშია 1997 წლის 25 აპრილიდან),

ევროპული კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაყვანის შესახებ

(ძალაშია 1998 წლის 1 თებერვალიდან),

კონვენცია უცხოურ კანონმდებლობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ

(ძალაშია 1999 წლის 19 ივნისიდან),

ევროპული კონვენცია სისხლის საძარითლებრივ საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ

(ძალაშია 2000 წლის 11 იანვრიდან).

ადაშიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-4, (ძალაშია 2000 წლის 13 აპრილიდან) მე-6 (ძალაშია 2000 წლის 1 მაისიდან) და მე-7 ოქმი (ძალაშია 2000 წლის 1 ივლისიდან);

პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ გენერალური შეთანხმება.

(ძალაშია 2000 წლის 25 მაისიდან).

ევროპული კონვენცია არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;

(ძალაშია 2000 წლის 1 აგვისტოდან).

მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი;

(ძალაშია 2000 წლის 1 აგვისტოდან).

უცხოურ კანონმდებლობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი;

(ძალაშია 2000 წლის 21 სექტემბრიდან).

ევროპული კონვენცია წაშების და არაადაშიანური ან დამაშცირებელი შოპროობისა ან დასჯის აღკვეთის შესახებ;

(ძალაშია 2000 წლის 1 ოქტომბრიდან).

ევროპული კონვენცია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;

(ძალაშია 2000 წლის 14 ოქტომბრიდან).

კონვენცია ევროპულ რეგიონებში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღიარების შესახებ;

(ძალაშია 2000 წლის 1 დეკემბრიდან).

გარდა ამისა, საქართველოს სახელით ხელმოწერილია ევროპის საბჭოს შექმნილი კონვენციები და დოკუმენტები:

სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციაზე;

სამოქალაქო სამართლის კონვენცია კორუფციაზე;

ეროვნულ უპცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენცია;

საგზაო მოძრაობის დანაშაულების დასჯის შესახებ ევროპული კონვენცია;

წაშების და არაადაშიანური ან დამაშცირებელი შოპროობისა ან დასჯის აღკვეთის შესახებ ევროპული კონვენციის ოქმები;

ადაშიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 1-ლი ოქმი;

ევროპის საბჭოს მთელ რიგ დოკუმენტებზე შიშდინარეობს

საქართველოს კანონით "საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" გათვალისწინებული "შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები მათი ხელმოწერის ან მათთან შეერთების მიზნით:

ევროპული კონვენცია უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ექვივალენტურობის შესახებ;

შიდა ყაჭრობის შესახებ ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი;

ევროპული კონვენცია საზღვარგარეთის ფულადი ვალდებულებების შესახებ;

ევროპული კონვენცია სისხლის სამართლებრივი განაჩენების საერთაშორისო ეფექტურობის შესახებ;

ევროპული კონვენცია კულტურულ საკუთრებასთან დაკავშირებული დანაშაულების შესახებ;

ევროპული კონვენცია ტრანს-სასაზღვრო ტელევიზიის შესახებ;

ევროპული კონვენცია ანტიდოპინგის შესახებ;

ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ;

ევროპის სოციალური ქარტია;

ევროპული ქარტია რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების შესახებ;

ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ;

ევროპული კონვენცია ტერორიზმის აღკვეთის შესახებ.

ამასთან ერთად, რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს გაფორმებული აქვს ორმხრივი ხელშეკრულებები:

ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაციის დელეგაციის სტატუსის შესახებ. (1995 წლის 30 იანვარი).

შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკასა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის. (1994 წლის 6 სექტემბერი).

შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და გაეროს შორის გაეროს წარმომადგელობის დაარსების შესახებ. (1993 წლის 27 იანვარი).

მემორანდუმი საქართველოს რესპუბლიკასა და გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის შესახებ. (1995 წლის ივლისი).

შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარს შორის. (1996 წლის 11 სექტემბერი).

ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოში ეუთო-ს მისიის დაფუძნების შესახებ. (1993 წლის 23 იანვარი).

ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულება დახმარების შესახებ საქართველოს რესპუბლიკასა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის.

საბაზო შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდს შორის თანამშრომლობის შესახებ. (2001 წლის 23 იანვარი).

მემორანდუმი გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის შესახებ.

რიგორიცი ვხედავთ, ნათლად ჩანს ორმხრივი ხელშეკრულებების სიმცირე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკაში პრიორიტეტი ენიჭება მრავალმხრივ თანამშრომლობას.

საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში აქტიური ჩართვა და მათთან თანამშრომლობა დამოუკიდებელი საქართველოს უშნიშნელოგანესი ამოცანაა.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ყველაზე ავტორიტეტული და ყოვლისმომცველია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაში 189 სახელმწიფოა.

გაერთიანებული ორგანიზაცია, მისი უშიშროების საბჭო, ეს ის ფორუმებია, რომლებზეც საქართველოს შეუძლია თავისი სატკივარი გამოთქვას და საერთაშორისო საზოგადოების

ყურადღება მიიბყროს, შიდაწიოს სადაყო საკითხების შედარებით
სამართლიან გადაწყვეტას და ხელი შეუწყოს საკუთარი ეროვნული
უსაფრთხოების განმტკიცებას.

საქართველო გაერთიანებული ორგანიზაციის 179-ე წევრია
1992 წლის 31 ივლისიდან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც ცნობილია,
შეიქმნა 1945 წელს ანტიპიტლერული კოალიციის წევრი სა-
ხელმწიფოების ინიციატივით. გაეროს წესდება ხელმოწერილ
იქნა 1945 წლის 26 ივნისს გაერთიანებული ერების საერთაშორისო
ორგანიზაციის სან-ფრანცისკოს დაშფუქსებულ კონფერენციაზე.
წესდება ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს, ეს დღე
აღინიშნება, როგორც გაეროს დღე.

თავდაპირველად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში
გაწევრიანდა 51 სახელმწიფო. მათ შორის 50 სან-ფრანცისკოს
კონფერენციის მონაწილე იყო, რომლებმაც ხელი მოაწერეს
წესდებას და მოახდინეს მისი რატიფიცირება. მიუხედავად იმისა,
რომ პილონეთი არ იყო კონფერენციის მონაწილე მან მიიღო
უფლება და ხელი მოაწერა წესდებას, როგორც პიველმა
წევრთაგანმა.³⁶

გაეროს წევრი პირველი 50 სახელმწიფო: სსრ კავშირის,
უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, ავსტრალია, არგენტინა, ბელგია,
ბოლივია, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი, ვენესუელა, ჰაიტი,
გვატემალა, გონდუარასი, საბერძნეთი, დანია, დომინიკის რეს-
პუბლიკა, ეგვიპტე, ინდოეთი, ერაყი, ირანი, კანადა, ჩინეთი,
კოლუმბია, კოსტა-რიკა, კუბა, ლიბერია, ლიბანი, ლუქსემბურგი,
მექსიკა, ნიდერლანდები, ნიკარაგუა, ახალი ზელანდია, ნორვეგია,
პანამა, პარაგვაი, პერუ, სალვადორი, საუდის არაბეთი, სირია,
აშშ, თურქეთი, ურუგვაი, ფილიპინები, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია,
საშხრეთ-აფრიკის კავშირი (1961 წლიდან საშხრეთ-აფრიკის
რესპუბლიკა), ასევე, როგორც აღვნიშნეთ პოლონეთი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ზოგიერთი ქვეყანა

³⁶ Организация Объединенных наций, Краткий справочник, М, 1980.

და მოძრაობა წარმოდგენილია დაძვკვირვებლის სტატუსით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო.

გაეროს შტაბ-ბინა მდებარეობს ნიუ-იორკში, ხოლო მისი განყოფილებები განლაგებულია ჟენევასა და ვენაში.

გაეროს მრავალი სპეციალიზებული ორგანიზაციებიდან ერთერთი უშიშვნილოვანესია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია „იუნესკო“, რომლის შტაბ-ბინა პარიზშია. (დაფუძნდა 1945 წლის ნოემბერში ლონდონში).

გენერალური ასამბლეა შედგება ორგანიზაციის ყველა წევრისაგან. იგი უფლებამოსილია განისილოს ნებისმიერი საკითხი გაეროს წესდების ფარგლებში, ასევე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ზოგადი პრინციპები. შესთავაზოს რეკომენდაციები ორგანიზაციის წევრებს, უშიშროების საბჭოს.

უშიშროების საბჭო შედგება ორგანიზაციის თხუთმეტი წევრისაგან, მათ შორის ხუთი მუდმივი წევრია: ჩინეთის რესპუბლიკა, საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია, დიდი ბრიტანეთი, აშშ. დანარჩენ 10 არამუდმივ წევრს ირჩევენ 2 წლის ვადით (მათ შორის 2 აირჩევა თითო წლით).³⁷

უშიშროების საბჭოს აკისრია ძირითადი პასუხისმგებლობა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების დასაცავად.

ეკონომიკური და სოციალური საბჭო შედგება ორგანიზაციის ორმოცდათორმეტი წევრისაგან, რომელთაც ირჩევენ გენერალური ასამბლეა. იგი უფლებამოსილია აწარმოოს გამოკვლევები და მოამზადოს შესაბამისი გადაწყვეტილებები ეკონომიკის, სოციალური სფეროსა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში.

საერთაშორისო სასამართლო გაეროს მთავარი სასამართლო ორგანოა, რომელიც მოქმედებს შესაბამისი სტატუსით.

სამდივნო შედგება გენერალური მდივნისა და პერსონა-

³⁷ ООН как инструмент по поддержанию и укреплению мира, М., 1980.

ლისაგან. გენერალურ მდივანს ნიშნავს გენერალური ასამბლეა.

ასალმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ დღის წესრიგში გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეფორმის საკითხიც დააყენა. საქართველო მხარს უჭერს უშიშროების საბჭოს როგორც მუდმივი, ასევე არამუდმივი წევრებით გაფართოებას. ეს არის უშიშროების საბჭოს რეფორმის მხარდაჭერა 2 + 3 ფორმულის შესაბამისად, რაც გულისხმობს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებად გერმანიისა და იაპონიის, ხოლო არამუდმივ წევრებად განვითარებადი ქვეყნებიდან სამი სახელმწიფოს მიღებას.

საქართველო მიესალმება უშიშროების საბჭოს მუშაობის ტრანსპარანტულობის ამაღლებას, რაც უპირველესად იმაში უნდა გამოისატოს, რომ გაერო-ს ყველა დაინტერესებულ წევრ-სახელმწიფოს უშიშროების საბჭოს არაფორმალურ კონსულტაციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

საქართველოს აზრით, სრულყოფას შოითხოვს ვეტოს უფლების გამოყენების მექანიზმიც.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ქვეყნისათვის მთელ რიგ სასიცოცხლო საკითხებში. აქტიური საქმიანობა მიმდინარეობს გაერო-ს სტრუქტურებთან და სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან. მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოების საქმიანობა საქართველოში. მათი მოღვაწეობა საქართველოში 1993 წლიდან იღებს სათავეს. თავდაპირველად მათ მიერ გაწეული დახმარება ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებდა, რაც ასალგაზრდა სახელმწიფოს მაშინდელი უშიშროების სოციალური და ეკონომიკური რეალობით იყო განპირობებული.

1995 წლის დასაწყისში საქართველოში მყოფმა გაეროს ჯგუფმა შეადგინა გაეროს სააგენტოების ერთობლივი საერთო მიმართვა, რომელშიაც იგი მოუწოდებდა მთავრობასა და საერთაშორისო დონორებს განეხილათ გადაუდებელი და გრძელვადიანი ეკონომიკური საქმიანობის თანამედვერული გატარებისათვის აუცილებელი ღონისძიებები. ამ პერიოდისა და იწყება საქართვე-

ლოში გაეროს სააგენტოების აქტიური საქმიანობა.

გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საქმიანობა საქართველოში სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს. ეს მიმართულებებია: ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა მმართველობის გაუმჯობესების გზით, სიღატაკის აღმოფხვრა და ეკონომიკური განვითარება, გარემოს დაცვითი ღონისძიებები. 1997-2001 წლებში გაეროს განვითარების პროგრამის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი დახმარების მოცულობა 30 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. აქედან 16 მილიონი მობილიზებულია საკუთრივ UNDP -ის მიერ, ხოლო 13 მილიონ დოლარზე მეტი გამოყვეს პარტნიორებმა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა, ორმხრივმა დონორებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ტექნიკური დახმარების რესურსების 28% ეკონომიკურ ზრდას ხმარდება, 64% მიემართება მმართველობის გაუმჯობესების სფეროში, ხოლო 8% გარემოს დაცვით პროექტებზე მოდის.³⁸

უშიშვანელოვანესია ის პროგრამები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამამ განახორციელა საქართველოში სახელმწიფო მართვის სრულყოფის თვალსაზრისით. მათ მნიშვნელობაზე პროგრამების დასახელებაც მოუთითებს: „სახელმწიფო მართვის სისტემის რეფორმა და სამოქალაქო საზოგადოება“; „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარება“; „საქართველოს პარლამენტის დახმარება“; „სახელმწიფო მართვის სისტემების სრულყოფა დემოკრატიული მმართველობის განვითარებისათვის“. აღნიშნულ პროექტებზე გაინარჯა 4 მილიონამდე აშშ დოლარი, შედეგად სახელმწიფო დაწესებულებები აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და სათანადო პროგრამებით, მომზადებულ იქნა მომუშავე პერსონალი.

³⁸ „საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო 1992-2002, დახმარების მიმოხილვა“, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უცხოური ინვესტიციების საკონსულტაციო საბჭოს სამდივნო, თბილისი, 2002, გვ.8.

საქართველოსთან ასევე აქტიურად თანამშრომლობენ გაეროს სხვა სპეციალიზებული სააგენტოებიც: გაეროს მსოფლიოს სასურსათო პროგრამის ამჟამინდელი საქმიანობა საქართველოში მიმართულია სოციალურად დაუცველი ფენების გრძელვადიანი დანხარების უზრუნველსაყოფად და ქვეყნის სურსათის იმპორტზე დამოკიდებულების შესამცირებლად. პროგრამის ფარგლებში საქართველოს მიღებული აქვს 2,3 მლნ აშშ დოლარამდე ოდენობის თანხა.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიზანია რესურსების მობილიზაცია და მათი შეღავათიანი პირობებით გაშოყვნება სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში სიღარიბის აღმოფხვრის მიზნით. ფონდმა საქართველოს დღეებში გამოუყო 36.2 აშშ დოლარის ოდენობის დანხარება. ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტისა და საქართველოს მთიანი და ძალაღმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულმა გაერო-ს წინაშე ახალი ამოცანები დააყენა, რომლებიც სრულად აისახა გაერო-ს „ათასწლეულის სამიტი“ მასალებში.

სილატაკისაგან დედაშიწის მილიარდობით ადამიანის ხსნის, ეკოლოგიური პრობლემების უფრო ეფექტიანად გადაწყვეტის, შიდსის ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლისა და გაეროს რეფორმირების საკითხებს მიეძღვნა მსჯელობა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „ათასწლეულის სამიტი“ დღის წესრიგით გაიმართა ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში.

სამიტი გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ დაიგეგმა, მაგრამ იგი არ იყო სადღესასწაულო ღონისძიება, გაერომ მიზნად დაისახა უმაღლეს დონეზე განეხილა თავისი მოქმედების მიმართულებანი ახალი ეპოქის მოთხოვნებთან ადაპტირების თვალსაზრისით; რათა კაცობრიობის სასარგებლოდ მიმართოს გლობალიზაციის შესაძლებლობანი და დაძლეულ იქნეს ამ პროცესის თანამდევნი გარკვეული ნეგატიური მოვლენები.

გაეროს „ათასწლეულის საშიტი“ თემაზე: „გაეროს როლი 21-ე საუკუნეში“ გაიშარათა 2000 წლის 6-8 სექტემბერს ქ. ნიუ-იორკში გაერო-ს გენერალური ასამბლეის 55-ე სესიის - „ათასწლეულის ასამბლეის“ ფარგლებში, გენერალური ასამბლეის 1998 წლის 17 დეკემბერის 53/202 და 2000 წლის 15 მარტის 54/254 რეზოლუციების საფუძველზე. საშიტში მონაწილეობა მიიღო 150 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურმა და იგი ისტორიაში სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ყველაზე დიდ შეკრებად იქცა. ამ შეხვედრას სშირად ადარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს, რომლებიც 1995 წელს გაიშარათა და რომელსაც 91 სახელმწიფოს მეთაური ესწრებოდა.³⁹

გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მოხსენებაში წიგნ, ხალხები: გაეროს როლი 21-ე საუკუნეში“, რომელიც ჯერ კიდევ 2000 წლის აპრილში გამოქვეყნდა, ნათქვამია: „მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოსახლეობა შოელის, რომ მათი ლიდერები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ „ათასწლეულის საშიტში“, მიშართავენ იმ პრობლემათა გადაჭრისათვის კონკრეტულ მოქმედებას, რომლებიც მიშაგაღში ეშუქრება კაცობრიობას“.

მოხსენებაში კოფი ანანმა მსოფლიო ლიდერებს მოუწოდა, შეუდგნენ მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტას: 2015 წლისათვის ორჯერ შეამცირონ იმ ადამიანთა წვლილი (ამჟამად 22% რომ შეადგენს), რომელთა შემოსავალი დღეში 1 დოლარზე ნაკლებია, აგრეთვე, იშათი წილი, ვისაც არ მიუწვდება ხელი სასმელი წყლის უსაფრთხო წყაროებზე; უზრუნველყონ, რომ 2015 წლისათვის ყველა ბავშვს ექნეს შესაძლებლობა, გაიაროს დაწყებითი განათლების სრული კურსი; უზრუნველყონ AID-ინფიცირების დონის შემცირება 15-24 წლის ასაკის ადამიანებში 25 პროცენტით 2005 წლისათვის იმ ქვეყნებში, სადაც ეს დაავადება ყველაზე მეტად არის მოდებული, და 25 პროცენტით - 2010

³⁹ ნაყალიბანი, შ. დოლონაძე „საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოვლენები“, „შეცნიერება“, 2001. 2 ტ. გვ. 481-491

წლისათვის მსოფლიოს მასშტაბით; გააძლიერონ ისეთ დაავადებებთან ბრძოლის სერსებში კვლევა, როგორც არის მალარია, ტუბერკულოზი, პნევმონია და დაირეა.

მიუსყედავად იმისა, რომ შეოცე საუკუნის დასასრულს მცხოვრები ადამიანების უმრავლესობას უკვე ჰქონდა იმისი იმედი, რომ უფრო მეტ ხანს იცოცხლებს, ყიდრე მათი მშობლები; იმის მიუსყედავად, რომ ხალხი გაცილებით უკეთ იკვებება, აქვს ჯანმრთელობისა და განათლების უფრო მაღალი მაჩვენებლები და, საერთოდ, მათ წინაშე უფრო ხელშემწყობი ეკონომიკური პერსპექტივებია დასახული, ჯერ კიდევ არსებობს მრავალი უმძიმესი და ურთულესი პრობლემა. ეს პრობლემები უსწრაფეს გადაწყვეტას მოითხოვს. გასული საუკუნის ბოლო წლები კვლავ აღინიშნა უმოწყალო კონფლიქტებით. შემწარავი სიღატაკე და აშკარა უთანასწორობა დღესაც არის ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებსაც უპრეცედენტო სიმდიდრე აქვთ. ძველი თუ ახალი სნეულებები საფრთხეს ქმნიან პროგრესის გზაზე, რომელმაც ესოდენ დიდი ძალისხმევა და მსხვერპლი მოითხოვა. ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების ღონისძიებებს, რომლებზეც ცოცხალი ბუნების მრავალი სახეობის სიცოცხლეა დამოკიდებული, სერიოზული დეგრადაციის საფრთხე ემუქრება ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის გამო.

ყოველივე შემოაღნიშნულს გულისხმობდა კოფი ანანი, როცა აღნიშნავდა თავის მოსსენებამი: „თუ ჩვენ გვინდა, კაცობრიობის სასიკეთოდ გამოვიყენოთ გლობალიზაციის შესაძლებლობანი და შევძლოთ ამ პროცესის ნეგატიური მოვლენების დაძლევა, მაშინ უნდა ვისწავლოთ ჩვენი ქვეყნის უკეთ მართვა და მივაღწიოთ თანამოქმედების ახალ დონეს ერთობლივი მართვის საქმეში“.

მან მოუწოდა განვითარებულ ქვეყნებს, უსრუნველყონ თავიანთ ბაზრებზე ღარიბ ქვეყნებში წარმოებული საქონლის თავისუფალი შემოსვლა, გაუწიონ მათ უფრო გულუხვი დახმარება განვითარების მიზნით, ჩამოაწერონ ვალეები და მოეშადონ ღატაკი ქვეყნების მთელი სახელმწიფო ვალეების სრული ჩამოწერისათვის,

თუ ისინი ცხადყოფენ, რომ მზად არიან, გამოუცხადონ სილატაკეს სერიოზული ბრძოლა.

გენერალურმა მდივანმა, აგრეთვე, მსოფლიო ლიდერებს დაუსახა ამოცანა, თავიდან აიცილონ შეიარაღებული კონფლიქტები, უსრუნველყონ საერთაშორისო კანონებისა და ნორმების შესრულება ადამიანის უფლებათა სფეროში, არ დაუშვან გარემოებები, რომელთა დროს ეკონომიკური სანქციების შედეგად ზიანი მიადგებათ ადამიანებს, მათ, ვისაც არავითარი ბრალი რომ არ მიუძღვით მათი ლიდერების მიერ ჩადენილ მოქმედებაში. უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ გამჭვირვალება იარაღით ვაჭრობაში და მოაგვარონ გაეროს ჩარევა ადამიანის უფლებების უსწემი დარღვევების, ან ადამიანთა მასობრივი ჟლეტის შემთხვევებში.

მოსსენებაში ხაზგასმულია, რომ სამიტი ეწყობა ამ პრობლემათა გადაწყვეტის გზების ძიების მიზნით. იმისათვის, რომ შემუშავებულ იქნეს სერიოზული პოლიტიკური ვალდებულებანი რეალურ ყადაში გადაწყვეტილებათა მისაგებად და მისაღებად.

გენერალური მდივნის კოფი ანანის მოსსენება - „ჩვენ, ხალხები: გაეროს რილი XXI საუკუნეში“, რომელიც აპრილში გამოქვეყნდა, მრგვალ მაგიდასთან ბჭობის საფუძველი გასდა.

სამიტის მონაწილეებს კარგად ესმოდათ, რომ ზემოაღნიშნული პრობლემათაგან ყერც ერთი ვერ გადაწყდებოდა 2000 წელს, მაგრამ თუ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ლიდერი ერთად დადგებოდა და დაასახელებდა პრიორიტეტულ პრობლემებს, გამოთქვამდა მზადყოფნას, ყველაფერი იღონონ მათი გადაწყვეტისათვის, ეს იქნებოდა ძალზე დიდი წინგადადგმული ნაბიჯი. უდაოა, რომ „ათასწლეულის სამიტი“ ეს ამოცანა შეასრულა.

ათასწლეულის სამიტი გაისსნა თანათავმჯდომარეთა - ფინეთის პრეზიდენტის ტარია ხალონენისა და ნამიბის პრეზიდენტის სენ ნუიომას გამოსვლებით, რომელთა შემდეგ სამიტის მონაწილეებს მიესალმა გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი.

კოფი ანანის გაძოსვლაში უმთავრესი ყურადღება გაეროს გარდაქმნის საკითხებს დაეთმო, აღინიშნა, რომ გაერო მსოფლიოს ხალხების ინტერესების შესაბამისად უნდა გარდაიქმნას. იმ მძაბრთულებით, რომ ეს გარდაქმნა რეალურად ადასხოს ადამიანთა ცხოვრებაზე.

“მსოფლიოს ლიდერთა უპრეცედენტო შეკრება” უწოდა “ათასწლეულის საბიტს” შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა და ყურადღება მიაპყრო იმ მთავარი პოსტულატების განხორციელებას აუცილებლობას, რომლებიც თავის დროზე გაეროს შექმნის საფუძველი გახდა. ერთ-ერთი უმთავრესი ამ პოსტულატთაგანი სისხლისმღვრელი ომების აღმოფხვრას ითვალისწინებდა. თუმცა, მრავალი მცდელობის მიუხედავად, მსოფლიოში ამ მოვლენის ბევრი საშიში კერა კვლავაც არსებობს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე მძვინვარებს ომები და ეს მილიონობით ადამიანის სიცოცხლის ფასი ჯდება.

კლინტონის განცხადებით, საერთაშორისო საზოგადოება არ უნდა სდუმდეს და უნდა მოქმედებდეს საიმისოდ, რომ იცავდეს ხალხებს ამ კონფლიქტებისაგან. შეერთებული შტატების პრეზიდენტის აზრით, ასეთ შემთხვევებში გაეროს მხარდაჭერა მეტად მნიშვნელოვანია. ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ შეიქმნას უფრო სრულყოფილი მექანიზმები გაეროს სამშვიდობო ფუნქციის ეფექტიანი შესრულებისათვის. პრეზიდენტ კლინტონის აზრით საერთაშორისო საზოგადოებრიობამ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ უზრუნველყოს ცხრა მილიონი ბავშვის გამოკვება და განათლება. შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ასევე, შეეხო ვალების პრობლემასაც და საბიტს მიმართა ინიციატივით, იზრუნონ, რათა განვითარებადი ქვეყნები გაათავისუფლონ ვალებისაგან.

რაც შეეხება გაეროს როლსა და ადგილს მომავალ საუკუნეში, ბილ კლინტონმა, იგი უმნიშვნელოვანესად მიიჩნია და აღნიშნა: „მათ, ვისაც გაეროს გარეშე წარმოუდგენია ცხოვრება,

არც ისტორიისაგან უსწავლიათ რაზე და არც მოძავალი აქვთ სწორად გააზრებული.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თავის სიტყვაში „ათასწლეულის სამიტზე“ მთავარი აქცენტი მშვიდობის გარანტიებზე გააკეთა. მისი განცხადებით, ახალი საუკუნე ისტორიაში შევა, როგორც რეალური განიარაღების საუკუნე, რომელმაც გზა უნდა გადაუკეტოს ბირთვული იარაღის გავრცელებას. რუსეთის პრეზიდენტმა კონკრეტული ინიციატივით მიმართა „ათასწლეულის სამიტის“ მონაწილეებს და შესთავაზა კოსმოსის დემილიტარიზაციის შესახებ საერთაშორისო პროექტის შემუშავება.

7 სექტემბერს, სამიტის პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

მან მადლობა გადაუხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კოფი ანანს სამიტის მოწვევის ინიციატივისათვის და მიესაძა მის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ დებულებებს.

ამასთან, აღნიშნა, რომ იმედგაცრუებულია მოვლენების იმ განვითარებით, რომელსაც თანამედროვე მსოფლიოში, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ომის - ცივი ომის დამთავრების შემდგომ, აქვს ადგილი. მხედველობაში ჰქონდა ის რომ: განიარაღების პრობლემა ჯერაც არ არის გადაწყვეტილი; მოუგვარებელია კონფლიქტები სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ხვალ შეიძლება სახელმწიფოთა შიგნით მძვინვარე ხანძრებად იქცეს; ციფრები მშვიერი და ავადმყოფობით განწირულ ადამიანთა, წერა-კითხვის უცოდინართა შესახებ ნორმალური ადამიანის წარმოდგენებს სცილდება.

პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ გულისტკივილით მიუთითა, რომ იმ გლობალური ძვრების ფონზე, რაც მსოფლიოში მოხდა, საქართველოს არჩევანს დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით უდიდესი წინააღმდეგობები ხვდება.

ერთმა მუჭა სეპარატისტებმა, გარეშე უცხო ძალებზე

დაყრდნობით, გახლიჩეს საქართველო, ათასობით უდანაშაულო ადამიანი დახვრიტეს. უკვე რვა წელიწადია, რაც 300.000 ადამიანი აფსაზეთიდან და სპაჩაბლოდან, მშობლიური კერებიდანაა გამოდევნილი, მოსახლეობის ნახევარზე მეტი შიმშილის პირასაა.

სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ აფსაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით საჭირო გადაწყვეტილებები ვერ მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ 23 რეზოლუცია შეიმუშავა, აღნიშნა მან.

საქართველოს პრეზიდენტი დადებითად გამოეხატა პრეზიდენტ კლინტონის ინიციატივას სახლმწიფოთა ვალებთან დაკავშირებით.

პრეზიდენტ ე. შევარდნაძის გამოსვლაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რესურსები და შესაძლებლობანი ძველთრად უნდა გაიზარდოს და, რა თქმა უნდა, ასევე ძველთრად უნდა გაიზარდოს თითოეული სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობაც.

„ყოველივე, რაზეც ვლაპარაკობთ, მოწმობს იმას, რომ მოძავალი ათასწლეულის პრობლემების გადაჭრა ცალკეულ სახელმწიფოებს, თუნდაც გიგანტებს, არ ძალუძთ. საჭიროა შექმნა, შექმნები ძალა, რომელსაც დიდი უფლება-მოვალეობანი ექნება. საჭიროა გაეროს, უშიშროების საბჭოს ძირეული რეორგანიზაცია ახალი ათასწლეულის მოთხოვნათა შესაბამისად. აუცილებელია უშიშროების საბჭოს გაფართოება. მახსოვს, 1992 წლის სესიაზე დავაყენე საკითხი უშიშროების საბჭოს შეზღუდვების გერმანიისა და იაპონიის შეყვანის შესახებ. ახლაც არ მესმის, რატომ არ გადაწყდა ეს საკითხი. ახალ ეტაპზე ახალი პრეტენდენტებიც გამოჩნდნენ, აქაც მოიძებნება გონივრული გადაწყვეტილება. ჩემი ღრმა რწმენით, საჭიროა შეიზღუდოს ვეტოს უფლება, გარწმუნებთ, ამით ცა არ ჩამოინგრევა. გაეროს წესდებასაც სჭირდება ახლებური გაზრება ახალ აღმოჩენათა და ახალ კატასტროფულ საფრთხეთა გათვალისწინებით. უფრო

მკაფიოდ, უფრო ნათლად უნდა გამოიკვეთოს უშიშროების საბჭოს როლი, მისი ფუნქციები. მას უნდა ჰქონდეს 'სახანძრო მანქანების' (ვხმარობ გენერალური მდივნის გამოთქმას) საკმაო რაოდენობა ხანძრების ჩასაქრობად, პლანეტაზე სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნებისთვის. ვუერთდები გენერალური მდივნის პოზიციას საერთაშორისო სასამართლოს შესახებ, მხოლოდ საჭიროა პრობლემის გადაჭრას ახალი ათწლეული არ დასჭირდეს", აღნიშნა მან.

თავისი სიტყვის დასასრულს ედუარდ შევარდნაძე შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა გაეროსთან და მის უშიშროების საბჭოსთან ისეთი მძლავრი რეგიონალური ორგანიზაციების ურთიერთობა, როგორცაა ევროკავშირი და ეუთო. მან ასევე, მიუთითა გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებსა და ამ თვალსაზრისით კულტურათა ჰომოგენიზაციის საშიშროებაზე.

„ფვიქრობ, საერთოდ, დღევანდელ ურთულეს გამოწვევათა წინაშე სულ უფრო მეტად უნდა ვისრულოთ ერთიანობაზე, და არა გამყოფ ხაზებზე. ბოლო ათწლეულების ისტორიამ დაგვარწმუნა, რომ, როცა შეთანხმებულად ვმოქმედებთ, სასწაულების მოხდენა შეგვიძლია“ დაასკვნა მან.

„ათასწლეულის სამიტზე“ მიღებულ იქნა დეკლარაცია. მასში წევრმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ განსაზღვრეს 21-ე საუკუნის უმწვავესი პრობლემები და გამოწვევები, განაცხადეს მათი დაძლევის მიზნით ერთობლივი მოქმედების და კოორდინირების აუცილებლობის შესახებ, დასახეს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები.

როგორც უკვე აღინიშნა, გაერო-ს ათასწლეულის სამიტზე საქართველომ გამოხატა თავისი პოზიცია ისეთ გლობალურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა: გაერო-ს რეფორმა და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მისი როლისა და ეფექტურობის გაზრდა, ქვეყნის შიდა კონფლიქტების დარეგულირება და გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციების

სრულყოფა-გაძლიერება, გაერო-ს თანამშრომლობის გაფართოება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სიღარიბის აღმოფხვრისაკენ მიმართული ინიციატივების რეალიზაცია, განვითარებად სახელმწიფოებში დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობის აუცილებლობა და სხვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობაზე მიუთითებს თუნდაც იმ საქმიანობის ანალიზი, რომელსაც გაერო და უპირველესად კი უშიშროების საბჭო ეწევა კონფლიქტის აფხაზეთში, საქართველო მშვიდობიანი მოწესრიგების თვალსაზრისით.

აფხაზეთის, საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შექმნა, გაეროს უშიშროების საბჭომ 24 რეზოლუცია მიიღო აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ყველა რეზოლუციაში გამოხატულია მხარდაჭერა ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიცაა: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის პატივისცემა, მშობლიურ კერებში ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა უპირობო და ღირსეული დაბრუნება, კონფლიქტის შეწყობით მიღწეული დემოგრაფიული ცვლილებების მიუღებლობა, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ჩატარებული ე.წ. არჩევნების არალეგიტიმურობისა და უკანონობის დაფიქსირება და სხვ.

ამავე დროს, რეზოლუციებში შეინიშნება არათანმიმდევრულობა ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, არის აგრეთვე, რიგი საკითხებისა, რომელთაც ჯერ-ჯერობით ვერ ვპოვებ ასახვა უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ არაერთგზის დასვა საკითხი, გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში ერთმნიშვნელოვნად არ იქნა დაფიქსირებული ქართველი მოსახლეობის მიმართ აფხაზური მხარის მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ გალის 1998 წლის მაისის

მოვლენების შექმნის მიღებული რეზოლუციის (N1187, 30 ივლისი) ფორმულირებებს, რომელიც აფხაზურ მხარეს მოუწოდებს უპირობოდ და დაუყოვნებლივ დააბრუნოს ყველა იძულებით გადაადგილებული პირი და გმობს აფხაზური ძალების მიერ სახლების დანგრევის ფაქტებს, რომლის მოტივად სავარაუდოდ მშობლიური კერებიდან ხალხის განდევნა დასახელდა. რეზოლუციებში ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ-ს სამიტებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზეა გაძახილებული ყურადღება.

ყველაზე მკვეთრი ამ თვალსაზრისით გაერო-ს 1997 წლის 30 იანვრის 1096 რეზოლუციაა, რომელიც შეცხრე პუნქტში მიუთითებს ერთ-ს ლისაბონის სამიტის დასკვნებზე და კიდევ ერთხელ აცხადებს კონფლიქტის შედეგად მომხდარი დემოგრაფიული ცვლილებების მიუღებლობას, ხოლო მე-10 პუნქტში გმობს ეთნიკური ნიშნით განხორციელებულ მკვლელობებს და ძალადობის სხვა აქტებს. სამწუხაროდ, ეს გაკეთებულია რომელიმე მხარის პასუხისმგებლობის მითითების გარეშე.

არაერთგვაროვანია 1997-2001 წლებში მიღებული რეზოლუციების დამოკიდებულება პოლიტიკურ პროცესში აფხაზური მხარის არაკონსტრუქციული პოზიციის შეფასების თვალსაზრისით. თუ ადრე აღინიშნებოდა მკაცრი მოთხოვნა აფხაზური მხარის მიმართ ხელი შეეწყო პოლიტიკური პროცესის წინსვლისათვის, მოგვიანებით, ეს ტენდენცია საგრძნობლად კლებულობს და კვლავ ძლიერდება უშიშროების საბჭოს ბოლო ორ დოკუმენტში.

უშიშროების საბჭოს ყველა რეზოლუცია ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრას საქართველოს შექმნის მიზნით. ყველა მათგანში ნათლად სჩანს საბჭოს პოზიცია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერასთან მიმართებით. არსებობს მხოლოდ ცალკეული განსხვავებები, თუ რა ფორმით მოუწოდებს საბჭო აფხაზურ მხარეს დააჩქაროს პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესი.

აღსანიშნავია, რომ 1999 წლის 30 ივლისი 1255 რეზოლუციაში იწყება საუბარი თბილისსა და სოსუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გადანაწილებასთან დაკავშირებით. უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა გენერალური მდივნისა და მისი წარმომადგენლის განზრახვას გააგრძელონ მხარეთათვის წინადადებების შეთავაზება ზემოაღნიშნულის თაობაზე. ანუ ხდება კონსტიტუციური უფლებამოსილებების განაწილების პროცესში გაერო-ს უშუალო და წარმმართველი როლის გამოკვეთა. მომდევნო ორ რეზოლუციაში გრძელდება უშიშროების საბჭოს მოთხოვნა მხარეთა მიმართ მიაღწიონ პროგრესს კონსტიტუციური უფლებამოსილების განაწილების თაობაზე, საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვით.

2000 წლის 28 ივლისის რეზოლუციაში შემოდის კიდევ ერთი ახალი ფორმულირება, რომლის მიხედვით უშიშროების საბჭო მხარს უჭერს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მიერ სტატუსთან დაკავშირებული წინადადებების მხარეთათვის წარდგენას ამ საკითხზე შემდგომი კონსტრუქციული მოლაპარაკებების წარმართვის მიზნით.

2001 წლის 31 იანვრის რეზოლუციაში უფრო მეტად იხვეწება უშიშროების საბჭოს პოზიცია და უკვე საუბარია სპეციალური წარმომადგენლის მიერ მხარეთათვის იმ დოკუმენტის გადაცემის მხარდაჭერაზე, რომელიც შეიცავს წინადადებებს თბილისსა და სოსუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნასთან დაკავშირებით. დოკუმენტი შეფასებულია, როგორც „მოლაპარაკებების ჩატარების საფუძველი.“

მნიშვნელოვანი იყო 2001 წლის აპრილში უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები. აღნიშნულ სხდომაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თბილისსა და სოსუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნელი დოკუმენტთან დაკავშირებით მეგობართა ჯგუფში კონსენსუსის

მიღწევა და მხარეთათვის დოკუმენტის დროული გადაცემა სამშვიდობო პროცესის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, დღემდე ვერ მოხერხდა დოკუმენტის მიღება, ხოლო უშიშროების საბჭოს 2001 წლის 31 ივლისის რეზოლუციაში მხოლოდ აღინიშნა დოკუმენტის დროული დასრულების მნიშვნელობა და გამოითქვა „სინანული“, რომ სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა მისი წარდგენა. ასევე აღინიშნულია, რომ მსგავსი დოკუმენტი არ უნდა იყოს მცდელობა თავს მოახვიონ მხარეებს საკითხის რაიმე კონკრეტული გადაწყვეტა.

მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების საბჭო ყველა მიღებულ რეზოლუციაში ერთმნიშვნელოვნად გამოხატავს თავის მიდგომას ლტოლვილთა უბირობო და უსაფრთხო დაბრუნებასთან დაკავშირებით, საბჭოს პოზიცია არათანმიმდევრულია აფხაზური მხარის პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხებში. თუ 1997-1998 წლების რეზოლუციებში საბჭო მკვეთრად მოუწოდებს აფხაზურ მხარეს მიიღოს ყველა ზომა, რათა დაიწყოს ლტოლვილთა დაბრუნების პროცესი, შემდგომი წლების დოკუმენტებში საერთოდ ქრება აფხაზური მხარის მიმართ მსგავსი მოთხოვნები.

უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში საუბარია ასევე გალის რაიონში ადგილობრივი ადმინისტრაციული სტრუქტურების აღდგენაზე. 1999 წლის 28 იანვრის რეზოლუციაში ჩნდება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შესახებ მხარეთა შორის ოქმის ხელმოწერის საკითხი (აქვეა მითითება სხვა სახის ოქმების ხელმოწერის აუცილებლობაზე, როგორცაა ეკონომიკის აღორძინება და ცეცხლის განუახლებლობა).

მიუხედავად იმისა რომ ცალკე აღებული ეს საკითხები ქართული მხარისათვის სავსებით მისაღები და მისასალმებელია, ჩვენი აზრით, ისინი ეპიზოდურ ხასიათს ატარებენ.

გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში წლიდან წლამდე სხვადასხვაგვარად აღინიშნება არაკანონიერი შეირაღებული დაჯგუფებების საქმიანობასთან დაკავში-

რებთ, საქართველოს პარლამენტის მხარეს. ახე მაგალითად, თუ 1997 წლის იანვრის რეზოლუციაში დაგმობილია შეიარაღებული ბანდების საქმიანობა და მოითხოვება, რომ საქართველოს მხარეს არ გაიხსნას მათზე კონტროლი. შემდგომ რეზოლუციებში ეს მანიშნება აღარ გვხვდება, ხოლო ბოლო არ დოკუმენტში, ისევე როგორც გალის 1998 წლის მასის მოვლენების შემდგომ მიღებულ რეზოლუციაში ქართულ მხარეს შეიარაღებული ფორმირებებისადმი კონტროლზე პირდაპირი პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული.

1997 წლის 30 იანვრის რეზოლუციის პრეამბულაში აღნიშნულია მხარეების მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულების დარღვევისა და უკანონო ფორმირებების მიერ ძალადობის აქტების ჩადენის ფაქტები და საზგასმულია, რომ აღნიშნული დაჯგუფებები საქართველოს მთავრობის კონტროლს არ ექვემდებარებიან. 1997 წლის 31 ივლისის რეზოლუცია ასევე მოითხოვს დაჯგუფებების არსებობას და სთხოვს მხარეებს აღკვეთონ ამ უკანონო ფორმირებების საქმიანობა.

1998 წლის 30 იანვრის რეზოლუციაში კვლავ დაფიქსირებულია შეიარაღებული დაჯგუფებების თაობაზე, რომელიც ხელს უშლის რეგიონში ლტოლვილების დაბრუნებასა და კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას. რეზოლუციის მე-9 პუნქტი გადაქრით ემბოს აღნიშნული დაჯგუფებების გააქტიურებას, თუცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დოკუმენტში არ არის დაკონსერტირებული, თუ კონფლიქტის რომელი მხარის დაჯგუფებებს არის საუბარი.

1999 წლის ივნისისა და ივლისის რეზოლუციებში გამონათქვამია უკმაყოფილება მხარეების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებების გაუტარებლობის გამო სამხედრო დაჯგუფებების მიერ ძალადობის აქტების აღკვეთის მიზნით.

2000 წლის რეზოლუციებში შეიმჩნევა გარკვეული ცვლილებები რეგიონში მყოფი მოსახლეობისა და სამშვიდობო

კონტინგენტის შვიდობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით. დოკუმენტებში არ არის დაფიქსირებული უკანონო სამხედრო ფორმირებების მერ ჩადენილი არც ერთი ძალადობის ფაქტი.

რაც შეეხება 1998 წლის 30 ივლისის რეზოლუციას, მის მე-11 პუნქტში მკვეთრად არის გამოხატული მოთხოვნა ქართული მხარის მიმართ გაატაროს გადაშვყვეტი ღონისძიებები მდ. ენგურის საქართველოს მხრიდან შეიარაღებული თავდასხმების აღსაკვეთად. 2001 წლის რეზოლუციაში კი კვლავ ჩნდება მოთხოვნა საქართველოს მხარის მიერ რადიკალური ზომების გატარების აუცილებლობის შესახებ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მოქმედებების აღმოსაფხვრელად. იგივე ფორმულირება შენარჩუნებულია ივლისის რეზოლუციაში.

უშიშროების საბჭოს არათანმიმდევრულობა თვალსაჩინოა აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დაცვის თემასთან დაკავშირებითაც. წლების განმავლობაში უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში არ არის დაფიქსირებული აფხაზეთში მხარის პასუხისმგებლობა აფხაზეთში ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამო. 1997 წლის რეზოლუციებში მოცემული შესაბამისი ფორმულირებებმა (ადამიანის უფლებების განუსრელი დაცვის აუცილებლობა, სისუშში გაერო-ს ადამიანის უფლებათა ოფისის საქმიანობა) არ ჰპოვა სათანადო განვითარება შექმდგომი წლების რეზოლუციებში, ხოლო 2000 წლის 28 ივლისის რეზოლუციიდან ისინი საერთოდ იქნა ამოღებული.

მნიშვნელოვანი იყო 2000 წლის შემოდგომაზე გაერო-ს ეგიდით ერთობლივი შეწყასებული მისიის ვიზიტი ვალის რაიონში. გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2001 წლის 31 იანვრის რეზოლუციის მე-9 პუნქტში უშიშროების საბჭომ დადებითად შეაფასა მისიის ვიზიტი და გამოთქვა იმედი, რომ მისიის რეკომენდაციები ადამიანის უფლებების, სამართალდაცვითი საქმიანობისა და განათლებასთან დაკავშირებით ყურადღებით იქნებოდა განხილული. სამწუხაროდ, ამ დებულებამ ვერ ჰპოვა განვითარება და 2001 წლის ივლისის რეზოლუციაში ამ პრიობლემასთან დაკავშირებით

აქცენტი შესუსტებულია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსათვის პროექტების შინაგონების პროცესში აშკარად შეინიშნება რუსეთის ფედერაციის არაკონსტრუქციული დამოკიდებულება აფხაზეთის პრობლემის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებში. რასაკვირველია პირდაპირ დაპირისპირებებსა და ბლოკირებებს არ აქვს ადგილი, მაგრამ დიპლომატიაში უაპრაფი ხერხი არსებობს იმისა, რომ შენი აზრი თავს მოახვით პარტნიორებს, მითუფრო თუ შენ მსოფლიოში ერთერთი ანგარიშგასაწვევი და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სასელმწიფო ხარ.

ამიტომაც არის, რომ ქართული მხარის არაერთგნის მცდელობის მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში ვერ დაფიქსირდა გალის რაიონში უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის მიზნით დროებითი გარდამავალი საერთაშორისო ადმინისტრაციის შექმნის საკითხი;

დოკუმენტებში ვერ აისახა კონფლიქტის ზონაში გაერო-ს უგედიტ გაეროს პერსონალის დამცავი ძალების შეყვანის იდეა, რომელიც საკმაოდ პოპულარული იყო გალის 1998 მაისის მოვლენებამდე. ასევე, გალის რაიონში ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების მიზნით უშიშროების საბჭოს არ მიუღია პრინციპული გადაწყვეტილება გაერო-ს ადამიანის უფლებათა სონუშის ოფისის გალის რაიონში გახსნის თაობაზე.

საქართველოს ხელისუფლების თანამედევრული საქმიანობის შედეგად საერთაშორისო ორგანიზაციებში, უპირველესად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სუბარატისტული რეჟიმის მიერ ჩატარებული ე.წ. არჩევნები და რეჟერენდუმები უშიშროების საბჭოს მიერ ცალსახად იქნა დაგმობილი და შეუფასებული როგორც არალეგიტიმური და ბათილი.

აღსანიშნავია, რომ 1997 წლის 30 ივნისის რეზოლუციაში აფხაზეთი მხარის მიერ ჩატარებული „არჩევნები“ დაგმობილია, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული

მთლიანობის წინააღმდეგ მძიმართული აქცია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში უკვე არაერთგზის ცალსახად დაფიქსირებული პრინციპი, რომლის მიხედვით კონფლიქტის ყოველმხომცველი დარეგულარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოს შეზღუდვებისა. ამ ეტაპზე ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს გაერო-ს ეგიდით და „აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდიანის „შეგობართა ჯგუფის“ მონაწილეობით შემუშავებული საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის ხელისუფლებას შორის კონსტიტუციური უფლებამოსილებების გამჭიჯნავი დოკუმენტის პოლიტიკური დიალოგის საფუძვლად მხარეებისათვის რეკომენდირება.

განსაკუთრებით აქტუალურია ასევე გაერო-ს ძალისხმევით ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორცაა: მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო, უპირობო და დარსებული დაბრუნების დაუყოვნებლივი დაწყება, დაბრუნებულთათვის საერთაშორისო სპეციალური სტატუსის მინიჭება, გაღის რაიონში გარდაშავალი საერთაშორისო ადმინისტრაციის შექმნა, მიტოვებულ მატერიალურ ფასეულობებზე იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებების უპირობო დადასტურება, კონფლიქტის ზონაში გაერო-ს პერსონალის უსაფრთხოებისათვის საერთაშორისო დამცავი ძალების განლაგება და სხვა.

გაერთიანებული ორგანიზაციის „ათასწლეულის საპიტის“ შემდგომ ერთერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო გაერო-ს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია ბავშვთა საკითხებზე (8-10 მაისი 2002 წელი, ნიუ-იორკი), რომელშიაც საქართველომ აქტიური მონაწილეობა მიიღო. ამ სესიის მოწვევის მიზანს წარმოადგენდა 1990 წლის 30 სექტემბერს ბავშვთა მსოფლიო საპიტის

მაერ მიღებული ვალდებულებების განახლება.

როგორც ცნობილია, სსკეპულ სამიტზე 71 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურმა ხელი მოაწერა ბავშვთა სიცოცხლის, დაცვისა და განვითარების მსოფლიო დეკლარაციას. მიღებულ აქნა 10 წელზე გათვლილი სამოქმედო პროგრამა დადგინდეს ვადებში მინების მიღწევისა და შესაბამისი ადამიანური და ეკონომიკური რესურსების მოზილიზაციისათვის.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოში გაერო-ს ბავშვთა ფონდის ოფისის შორის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა სათანადო მოსამზადებელი პროგრამა საგანგებო სესიისათვის და შექმნა ვადა საქმიანობის წარმართვის ეტაპობრივი გეგმა. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაინიშნა ბავშვთა საკითხებზე გაერო-ს სპეციალური სესიის საორგანიზაციო სამუშაოებში მონაწილეობის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი.

ეროვნული მოსამზადებელი პროცესის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტთან ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა, პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საგანგებო სესიის მოსამზადებელი სახელმწიფო კომისია. მოსამზადებელ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე საქართველოს პარლამენტთან არსებული მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭო. მომზადდა და UNICE-ის სამდივნოს გადაეცა ქვეყნის ეროვნული ანგარიში.

საქართველოს დელეგაციამ საგანგებო სესიისათვის მზადების 18-თვიან პერიოდში აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსამზადებელი კომიტეტის სსდომებში, ასევე ბერლინსა და ჟენევაში გამართულ რეგიონალურ შეხვედრებში. აღსანიშნავია, რომ ქართული მხარის წინადადებით ბერლინის კონფერენციის დასკვნით დოკუმენტში შევიდა კონფლიქტით დაზარალებული ბავშვებისათვის, მათ შორის ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული ბავშვებისათვის, შესაბამისი დანშარების პოლიტიკის გატარებისა

და სარეაბილიტაციო პროგრამების შექმნის საკითხი.

თეგვებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ მოხერხდა საქართველოს პრეზიდენტის ბ-ნი ედუარდ შევარდნაძის მონაწილეობა საგანგებო სესიის შექმნაში. შესაბამისად განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ნელსპეტაკელობით, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ, როგორც მთავრობის, პარლამენტის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წარმომადგენლები.

ბავშვთა საკითხებზე გაერო-ს საგანგებო სესია უპრეცედენტო იყო როგორც შესაბამისი თემის განხილვის მასშტაბურობით, ასევე მასში მონაწილეების რიცხვით. გაერო-ს მონაცემებით, ამ ფორუმში მონაწილეობა მიიღო 56 ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურმა.

ბავშვთა საკითხებზე საგანგებო სესიის მიზნები ჩამოყალიბდა სესიის მიერ შექმნილი დამატებითი მიღებულ დეკლარაციაში, რომელიც ბავშვებისათვის გლობალური მოძრაობის ერთგვარ პლატფორმად იქცა. დეკლარაციის შესაბამისად, ბავშვების ინტერესებისათვის გლობალური ძალისხმევა 10 პრინციპს ეყრდნობა, რომელთაგან უმთავრესი გულისხმობს ვალდებულებებს ბავშვთა სიღატაკის აღმოფხვრის, მათი განათლების უზრუნველყოფის, ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის, აგრეთვე ბავშვების შეიარაღებული კონფლიქტებისაგან არიდებისათვის.

საგანგებო სესიის ძირითადი ნაწილი პლენარული სესიებისა და სამი "შრეგალი მაციდის" ფორმატში ჩატარდა. ძირითადი ნაწილის გარდა, საგანგებო სესიის ფარგლებში გაიმართა 145-მდე თანმდევი ღონისძიება, რომლებიც გაერო-ს ბავშვთა ფონდისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იყო ორგანიზებული.

საგანგებო სესიის საქმიანობა აღინიშნა მასში ბიზნეს-კონპორაციების უპრეცედენტო მონაწილეობით. ამ მიმართებით აღსანიშნავია ე.წ. "სამოქალაქო სელისუფლებისა და კერძო სექტორის დიალოგი", რომელიც ბავშვთა პრობლემების გადასაქრელად სახელმწიფოების მთავრობების, გაერო-ს, გაერო-ს ბავშვთა ფონდისა და საქრთაშორისო კომპანიების თანამშრომ-

ღობის გზების დასასვას მიუძღვნა. ამ დიალოგმა უკვე სესიის განმავლობაში მსიტიანა პირველი კონკრეტული შედეგი კომპანია "მაიკროსოფტის" პრეზიდენტმა ბატონმა ბილ გეისმა 9 მაისს, "სამოქალაქო სელისუფლებებისა და კერძო სექტორის დიალოგის" ფარგლებში ჩატარებული "შესვდრის დამთავრების შემდეგ გამოაცხადა "ბავშვთა გაუმჯობესებული კვებისათვის გლობალური აღიანის" შექმნის შესახებ, რომლის ფონდშიც "სეიტანა 55 მლნ აშშ დოლარი.

საგანგებო სესიაზე გაკეთებულ გამოსვლებში განსაკუთრებით გამოიკვეთა ბავშვების მდგომარეობაზე "სეიარადებული კონფლიქტების უარყოფითი გავლენის საკითხი. ამავე საკითხზე გამახვილდა ყურადღება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლაში, რომელიც 9 მაისს შედგა. მოსსენებამ ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ კონფლიქტებმა, სეპარატიზმმა და ეთნიკურმა წმენდამ მსოფლიოს მრავალ რეგიონში, მათ შორის, აფხაზეთში, ცრემლები და უბედურება მოუტანა ასობით ათას ბავშვს. ისევე როგორც გასულ საუკუნეში, გულგრილობა რჩება კაცობრიობის უპირველესი მტერი და ცოდვა განაცხადა მინისტრმა და გამოთქვა გაკვირვება: როგორ შეიძლება საერთაშორისო საზოგადოება ურიგდებოდეს იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი არ აძლევს დედაენაზე სწავლის უფლებას ქართველ ბავშვებს და უკრძალავს შშობლიურ ენაზე დაწერილი სახელმძღვანელოებით სარგებლობას. ამიტომ, სანამ არსებობს თუნდაც ერთი ლტოლვილი ბავშვი, ჩვენი საერთო ძალისხმევა შედეგიანად ვერ ჩაითვლება.

ასევე აღინიშნა, რომ გლობალიზაციის პროცესს, რომელიც უნიკალურ ახალ შესაძლებლობებს ქმნის, თან სდევს ახალი გამოწვევებიც. განსაკუთრებით ეს ეხება მსოფლიოს იმ რეგიონებს, სადაც დემოკრატიული გარდაქმნებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რთული პროცესები მიმდინარეობს, რაც განსაკუთრებით მტკივნეულია ბავშვებისათვის. იმ პირობებში, როდესაც როგორც ადგილობრივი რესურსები, ასევე საერთაშორისო დანხარება

შესლუდებულია, ტრანსნაციონალური კორპორაციების, საერთოდ კერძო სექტორის, როლი შეიძლება გადამწყვეტი იყოს. აღინიშნა, რომ დღევანდელ მსოფლიოში ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების მრავალფეროვნება საგანგაშო მასშტაბებს იძენს. ამ მხრივ, გამოკვეთილ იქნა ბავშვების ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ფაქტორები: ჯანმრთელობისა და სარისხიანი საბავშვო განათლების უსრუნველყოფა.

საზგაისთო აღინიშნა თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის დიდი მნიშვნელობა საქართველოს განათლების სისტემისთვის და ითქვა, რომ განათლებული და დასაქმებული ადამიანები წარმოადგენენ ქვეყნის მდგრადი განვითარების ჯანსაღი პროცესების მამოძრავებელ ძალას.

გაცხადებულ იქნა, რომ დადგა დრო საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება გადავიტანოთ რეზულტატებზე ორიენტირებულ, რეალურ და მოქნილ სამოქმედო გეგმასზე, რომელსაც საფუძვლად დაედება რეალური ფინანსური ბაზა და რომელმაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, მათ შორის საქართველო, შეხაბამის ადგილს დაიკავებენ.

საქართველოს დელეგაციამ აგრეთვე მონაწილეობა მიიღო მრგვალი მაგიდის ფორმატით ჩატარებულ განხილვებში, რომლის საერთო თემა იყო "ბავშვებისადმი ვალდებულებების განახლება".

საგანგებო სესიის პლენარული სესიებისა და მრგვალი მაგიდის გარდა, საქართველოს დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს საპარლამენტო ფორუმში, ბავშვების საკითხებზე პროგრამების დაფინანსების საკითხსადმი მიძღვნილი კონფერენციის მუშაობაში, დელეგაციების წევრებისათვის გაერო-ს სამდივნოს ხელმძღვანელობის, გაერო-ს ბავშვთა ფონდის, გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის, "მაიკროსოფტის" პრეზიდენტისა და ცალკეული ქვეყნების დელეგაციების ხელმძღვანელების სახელით მოწესრიგებული შეხვედრებში.

დაძაბული მოლაპარაკებები უძლიოდა წინ საგანგებო სესიის

საბოლოო დოკუმენტის - დეკლარაციის პროექტის თაობაზე შეთანხმებას, რაც მხოლოდ საგანგებო სესიის დასრულების დღეს მოხერხდა. ძირითადი წინააღმდეგობა შეიქმნა ევროპულ კავშირსა და აშშ-ს შორის "ოჯანის", "რეპროდუქციული ჯანმრთელობის", "სიკვდილით დასჯის" საკითხებთან დაკავშირებით.

"ოჯანის" ცნების გაგებასთან დაკავშირებით პლენარულ სესიოებზე, რომელსედაც დეკლარაცია უნდა მიეღოთ, აშშ-სა და რიგი სახელმწიფოების (საღვადორი, კოსტა რიკა, არგენტინა, ბოლივია) წარმომადგენლებმა განმარტეს თაყიანთი პოზიცია, რომ "რეპროდუქციული ჯანმრთელობის" და "ძირითადი სოციალური მომსახურების" ქვეშ არ გულისხმობენ თრსულობის ნელოვნურ შეწყვეტას.

რაც შეეხება დეკლარაციის ფრაზას "ოჯანის არსებული ფორმები" აშშ-ს პოზიციით იგი გულისხმობს მხოლოდ მამაკაცისა და ქალის კავშირს, ე.წ. გაფართოებულ ოჯახსა და მარტოსეღა მშობლებს. ბავშვების სიკვდილით დასჯის აკრძალვის დეკლარაციაში შეტანასთან დაკავშირებით აშშ-ს უარყოფითი რეაქცია განპირობებულია ფაქტით, რომ ზოგიერთ მტატში დღემდე დამკვებულია არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯა.

ევროპული კავშირის პოზიცია ერთმნიშვნელოვნად აღიარებდა „აბორტის“ უფლებას რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ოჯანის დაგეგმვის თვალსაზრისით და მხარს უჭერდა ბავშვთა სიკვდილით დასჯის საყოველთაო აკრძალვას. ამის გარდა ევროპული კავშირის თვალსაზრისით "ოჯანის სწვადასწვა ფორმა" შემოსაზღვრული არ უნდა იყოს მხოლოდ ამ სოციალური ინსტიტუტის კლასიკური გაგებით.

საბოლოოდ შეშუშავდა კომპრომისული დებულებები, რამაც სესიის პლენარულ სესიომას საშუალება მისცა რეზოლუცია, რომლის ნაწილსაც დეკლარაცია წარმოადგენს, კონსენსუსით მიეღო.

აღსანიშნავია, რომ დეკლარაციის ტექსტში, რეგიონულ მოსამზადებელ შეხვედრებზე საქართველოს დელეგაციის ძა-

ლისხმევის შედეგად შევიდა დებულება შეიარაღებული კონფლიქტებისას დაზარალებული ბავშვების შესახებ.

შემაჯამებელ სიტყვაში, რომელიც ქალბატონმა კაროლ ბელამიმ გაერო-ს გენერალური მდივნის სასჯელით წარმოთქვა, დეკლარაცია შეფასდა, როგორც საეტაპო, ქმედებაზე ორიენტირებული დოკუმენტი, რომლის ცენტრალური ელემენტი ბავშვების ინტერესებია.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის საგანგებო სესიის მსველელობისას შეხვედრები ჰქონდა: რუმინეთის პრეზიდენტთან ბ-ნ ი. ილიესკუსთან და რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბატონ შირია ჯოანასთან; გაეროსთან აშშ-ს მუდმივ წარმომადგენელთან ბატონ ჯონ ნეგროპონტესთან; გაერო-სთან საფრანგეთის მუდმივ წარმომადგენელთან, "შეგობრების ჯგუფის" კოორდინატორ ბატონ ჟან-პოლ ლევიტთან; გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილესთან სამშვიდობო ოპერაციების საკითხებში ბატონ ჟან-მარი გიენოსთან; ბოსნია-ჰერცეგოვინას საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ ბერიზ ბელიჩიკთან; გაერო-ს განვითარების პროგრამის ასოცირებულ ადმინისტრატორთან ბატონ ზეფირინ დიბრესთან. აღნიშნულ შეხვედრებზე განხილულ იქნა ორმხრივი ურთიერთობების აქტუალური საკითხები. გაანალიზდა მდგომარეობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აფხაზეთში შექმნილ ვითარებას და არსებული კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებს.

საქართველოს აქტიური თანამშრომლობა აქვს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც.

საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების პროცედურა თანმიმდევრულად ისვენება საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფასთან ერთად. ძირითადად გაწევრიანების პროცედურა მიმდინარეობს მოცემული საერთაშორისო ორგანიზაციის საწესდებო მოთხოვნებისა და მიღებული პროცედურის შესაბამისად. ამასთან, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ასევე განსაზღვრავს ორგანიზაციებში შესვლის პროცედურებს. უნდა

აღინაშნოს ისიც, რომ დაპოუქცდებლობის აღდგენის პირველ წლებში საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების პროცედურები ცუდად იყო რეგლამენტირებული ან საერთოდ არ იყო კანონმდებლობით მოწესრიგებული. შესაბამისად, ბევრ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანება განსორცეულდა სპონტანურად, იმდროინდელი მთავრობის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ცალკეული უწყებების გადაწყვეტილებებით. ხშირად საგარეო საქმეთა სამინისტრო არც იყო ინფორმირებული ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების თაობაზე.

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას, თუ როგორ რეკულარდება საქართველოს კანონმდებლობით და როგორ სორცეულდება პრაქტიკულად საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობის პირობებში, მაგალითისათვის შრეგარსეთი მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია ერთ-ერთი ბოლო ორგანიზაციაა, რომელშიაც საქართველო გაწევრიანდა. ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების დროს სრულად იქნა დაცული პროცედურები, რომელზედაც ქვემოთ იქნება აღნიშნული.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს სამთავრობო დაწესებულებების თანამშრომლობა ამ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანებამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, მეტად მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას განხილვი ქონდა თავისი წარმომადგენლობა საქართველოში, რომელიც აქტიურად ესმარებოდა საქართველოს შესაბამის სამინისტროებს, უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მიგრაციისა და ემიგრაციის საკითხებითან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისწრაფება და ფუნქციებს წარმოადგენს:

განახორციელოს იმ მიგრანტების ორგანიზებული გადაადგილება, რომელთათვისაც არსებული პირობები არაადექვატურია,

ან რომელთაც არ ძალუძოთ გამგზავრება შესაბამისი დახმარების გარეშე, იმ ქვეყნებში რომლებიც სთავაზობენ მათ მოწესრიგებული მიგრაციის შესაძლებლობებს;

განასორციელოს იმ ლტოლვილთა, ადგილნაცვალ და სხვა პირთა ორგანიზებული გადაყვანა, რომელნიც საერთაშორისო დახმარებას საჭიროებენ, რისთვისაც ხდება შეთანხმება ორგანიზაციასა და დაინტერესებულ ქვეყნებს შორის, მათი მიმღები ქვეყნების ჩათვლით;

დაინტერესებული ქვეყნების მოთხოვნისა და მათთან შეთანხმების საფუძველზე უზრუნველყოს მიგრაციული მომსახურება, როგორცაა კადრების დაქირავება, პირების შერჩევა, დოკუმენტების გაფორმება, ენის სწავლება, მათი ორიენტირება, სამედიცინო შემოწმება, განთავსება; ხელი შეუწყოს მიგრანტთა მიღებასა და ინტეგრაციას, განასორციელოს საკონსულტაციო მომსახურება მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით და სხვა საქმიანობა, რომელიც ორგანიზაციის მიზნებს შეესაბამება;

დამოუკიდებლად ან სხვა დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უზრუნველყოს ქვეყნების მიერ მოთხოვნილი მსგავსი სახის მომსახურება, ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და ნებაყოფლობითი რეპატრიაციის ჩათვლით;

უზრუნველყოს ფორუმი ქვეყნებისათვის, საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებისათვის აზრებისა და გამოცდილების გაზიარებისა და საერთაშორისო მიგრაციის საკითხებზე თანამშრომლობისა და კოორდინაციის მცდელობის ხელშეწყობის მიზნით, რაც აგრეთვე ითვალისწინებს პრაქტიკული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის საჭირო საკითხების შესწავლასაც.

თავისი ფუნქციების განხორციელებისას ორგანიზაცია თანამშრომლობს იმ საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებსაც კავშირი აქვთ მიგრაციასთან, ლტოლვილებთან და სხვა ადამიანური რესურსებთან იმისათვის, რათა ხელი შეუწყოს საერთაშორისო საქმიანობას ამ სფეროში. ასეთი თანამშრომლობა სორციელდება დაინტერესებული ორგა-

ნიზაციების კომპეტენციათა სფეროების ვათვალისწინების საფუძველზე.

იმისათვის, რომ ქვეყანა გახდეს ამ ორგანიზაციის წევრი, საჭიროა მან ცნოს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება. შესაბამისად საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ იქნა შიდაკანონმდებლით დადგენილი ყველა საჭირო პროცედურა.

საქართველოს სამინისტროებისა და უწყებების დადებითი დასკვნების საფუძველზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შექმნილი იქნა და წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განიხილა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაცია.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისნები და პრინციპები სრულად ესიტყვება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს და ხსენებულ ორგანიზაციაში საქართველოს ფაქტურად კიდევ უფრო ეფექტურს გახდის საქართველოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობას.“

აღნიშნული დასკვნისა და სხვა მასალების საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება შეეტანა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ, რისთვისაც მან 2001 წლის 31 იანვარს წერილით მიმართა პარლამენტს.

საქართველოს პრეზიდენტი
საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და „ნორმატიული აქტების შესახებ“

საქართველოს კანონის 35-ე მუხლებს შესაბამისად რატიფიკაციასთვის წარმოადგენთ მთვრაცის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებას.

ე. შევარდნაძე

N 45/1

31.01.2001⁴⁰

პარლამენტის კომიტეტებში წინასწარი განხილვისა და სათანადო დისკუსიების შემუშავების შემდეგ საქართველოს პარლამენტმა 2001 წლის 2 მარტს მიიღო გადაწყვეტილება წესდების რატიფიკაციის შესახებ, ქვემოთ ვაქვეყნებთ პარლამენტის დადგენილებას:

საქართველოს პარლამენტი

დადგენილება

„მთვრაცის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების“ რატიფიცირების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს „მთვრაცის საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება“.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
გიორგი წერეთელი
თბილისი,

⁴⁰ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე არქივი, თანვარო, 2001.

აღნიშნული დადგენილების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტმა გასცა სარატიფიკაციო სიგელი, რომელიც ჩაბარდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას და ამ დღიდან საქართველო ითვლება დასახელებული ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად.

საქართველო კანონზომიერად დგას ევროპული ორიენტაციის გზაზე. საქართველოს ლტოლვა ევროპისაკენ დაკავშირებული იყო მის სურვილთან განემტკიცებინა თავისი სუვერენიტეტი და დაშოუკიდებლობა, შეექმნა პირობები თავისუფალი და თვითმყოფადი განვითარებისა და პროგრესისათვის.

საქართველოს ლტოლვა ევროპისაკენ არც მაშინ განულებულა, როდესაც XIX საუკუნის დამდეგს კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში რუსეთის, თურქეთისა და ირანის სანგრძლივი დაპირისპირება რუსეთის მნიშვნელოვანი გამარჯვებით დასრულდა: რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო, მოგვიანებით, მთელი საქართველოს ისტორიული ტერიტორია თავის შემადგენლობაში შეიყვანა.⁴²

1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე დღეებიდან საქართველოს მთავრობამ დიდი მუშაობა გაშალა ევროპის ქვეყნების ხელისუფლებებთან ურთიერთობების დამყარების მიზნით. თავისი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია საქართველოს ხელისუფლებამ იმთავითვე ჩამოაყალიბა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში“, რომელიც 1918 წლის 26 მაისს მიიღო ეროვნულმა საბჭომ: „საქართველოს ბაგრატიდთა დიდი სამეფოს დანაწილების შემდეგ, სწვადასწვა სახელმწიფოებმა და სამთავროებმა, რომელთაგან საქართველო შედგებოდა,

⁴¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე არქივი, მარტი 2001.

⁴² ა. სილაგაძე, ვ. გურული, ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები, თბილისი, „არტანუჯი“, გვ. 167

უცვლელად დაიცვეს რიგორც მთლიანობა სარწმუნოებისა და საერთო ცივილიზაცია, აგრეთვე ის საერთო პოლიტიკური მისწრაფება, რომელიც მას ევროპისაკენ მიიხიდავდა.⁴³ ზემოთ ჩვენ მომთხინილეთ ის პირობები, რომელიც აუცილებელი იყო იმ სათვის, რომ საქართველოს ევროპაში სრული ინტეგრაცია მომხდარიყო.

სამწუხაროდ, იმ დროისათვის საქართველოს მცდელობა, გამსდარიყო ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, ვერ ახდა, ეს მხოლოდ 78 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი, მას შემდეგ, რაც საქართველომ შე-20 საუკუნეში შეორედ მთლიანად დაპოუკადებლობა და ევროპაშიც შეიქმნა ისეთი პოლიტიკური კლიმატი, რომელიც ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას უწყობდა ხელს.

ევროპული ინტეგრაციის პროცესი XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ევროპაში ინტეგრაციის არა ერთი საფეხური არსებობს. შექმნილია საერთაშორისო და რეგიონური ორგანიზაციების ფართო ქსელი.

ევროპულ ორგანიზაციათა შორის უმნიშვნელოვანესია ევროპის კავშირი და ევროპის საბჭო.

აღნიშნულ ორგანიზაციებთან საქართველო თავისი დაპოუკადებლობის აღდგენის პროცესსავე დღეებიდან თანამშრომლობს, ეს თანამშრომლობა მოგვიანებით შესაბამისი დოკუმენტებით იქნა გაფორმებული.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ ა. ჩიკვაძის ხელმძღვანელობით მონაწილეობდა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნების მინისტრთა საგანგებო შესვედრაში ჯერ კიდევ 1992 წლის 10-11 სექტემბერს ქ. სტამბოლში.

ამ შესვედრაზე საქართველოს დელეგაცია მიიწვია იმხანად ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ ჰიქმეტ

⁴³ იხ. ა.ხილაგაძე, „ეროვნული ცოცხალი ორგანიზმი“, თბილისი, „არტანუჯი“, გვ.28.

ჩეთანხა- თურქეთი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა.⁴⁴

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ერთსულოვნად გადაწყვიტილება მათეს აღედგინათ დანგრეული ეკონომიკა, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის გზით შეექმნათ პირობები ახალი ომის თავიდან ასაცილებლად.

ევროპაში განვითარებულმა მოვლენებმა და კომუნისტური რეჟიმის გაფართოებამ დააჩქარა გადაწყვეტილების მიღება და სანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ 1949 წლის 27-28 იანვარს ხუთი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მადრიდში კომპრომისის - გადაწყდა ევროპის საბჭოს შექმნა.

ევროპის საბჭო შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ქ. ლონდონში. ევროპის საბჭო იმთავითვე იქცა ერთი ორიენტაციის სახელმწიფოთა გაერთიანებად. 1949-1970 წლებში ორგანიზაციაში გაწევრიანდა დასავლეთ ევროპის კიდევ 8 სახელმწიფო. 1990 წლამდე ორგანიზაცია რჩებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებად. 1989 წელს ევროპის საბჭომ შემოიღო ქვეყნებისათვის სპეციალური სტრუქტურის სტატუსის მინიჭების ინსტიტუტი, რითაც ხელი შეეწყო ორგანიზაციის არა წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებას.

დღეისათვის ევროპის საბჭო შედგება 44 წევრისაგან.

ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ევროპის საბჭოს წევრი, იმ პირობით, თუ აღიარებს კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების გარანტიებს, მის ტერიტორიაზე თითოეული მცხოვრების ძირითადი თავისუფლებების პრინციპებს.

ევროპის საბჭო სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც შემდეგ ამოცანებს ასრულებს:

- ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა;

- ევროპული კულტურის თვითმყოფადობის აღქმისა და

⁴⁴ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, აღწერა 1 (დამ), საქმე 33.

განვითარებისათვის სეკლუციონობა:

• ევროპის თანამეგობრობის წინაშე მდგარი პრობლემების (ეროვნული უმცირესობის, ქსენოფობიის, შეუწყნარებლობის, გარემოს დაცვის, ადამიანის კლასირების, შიდსის, ორგანიზებული დანაშაულისა და ა.შ.) გადაწყვეტის ერთობლივი გზების ძიება;

• პოლიტიკური, საკანონმდებლო და საკონსტიტუციური რეფორმების მხარდაჭერის გზით ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება.

ევროპის საბჭო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ევროპის კანონმდებლობის შექმნაგების თვალსაზრისით. მისი საქმიანობა საში მძაროთულებით სორციულდება:

- კანონის უსენაქობის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად ეროვნული კანონმდებლობების განსწება და უნიფიცირება;

- საპაროალწარმოების გამარტივების გზით მაროლშა-ჯულების ორგანოების მუშაობის ეფექტურობის ამაღლება;

- მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების კვალდაკვალ წარმოქმნილი საპაროლებრივი და ეოიკური სახის პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის გზების ძიება თანამედროვე სასოგადოებისათვის შესაყერი წესებისა და ნორმების მიღების საშუალებებით.

ევროპის საბჭო მრავალი ევროპული სეკლუკრულების ინიციატორია და აქტიურად მონაწილეობს ევროპის საპაროლებრივი ნორმების უნიფიცირებაში.

საქაროველოს პარლამენტმა 1993 წლის 4 მარტს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში სპეციალური სტუპრის სტატუსი მოითხოვა.

1993 წლის დასაწყისიდან იღებს საოაკეს დაპაბული საქმიანობა, რომელსაც საქაროველოს პარლამენტი, ქვეყნის სელისუფლება ეწეოდა საქაროველოს ევროპის ოჯახში დასაბრუნებლად.

1998 წლის 27 ნოემბერს ქ. ბუდაპეშტში გაიმაროთ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის

სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების განაცხადთან დაკავშირებული მოსხენება.

საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასევე ევროპის საბჭოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომას, რომელიც 1998 წლის 7 დეკემბერს გაიმართა პარიზში. კომიტეტმა განიხილა დასკვნები საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე.

საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საპარლამენტო ასამბლეის სხდომას, რომელზედაც განხილულ იქნა საქართველოს მოთხოვნა ევროპის საბჭოში გაწევრიანების შესახებ.

არსებული პრაქტიკის შესაბამისად საქართველოს მოწვევას ევროპის საბჭოს წევრად წინ უძღოდა პროცედურები ევროპის საბჭოს სტრუქტურებში.

1999 წლის 12 თებერვალს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ლორდი რასელ ჯონსტონი.

საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ პირველ-წყაროთაგან მიიღო ინფორმაცია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, გაეცნო კონფლიქტების მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობას, ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს.

1999 წლის 19 თებერვალს, ქ. სტრასბურგში გაიმართა ევროპის საბჭოში სახელმწიფოთა მუდმივი წარმომადგენლების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა.

1999 წლის 10 მარტს დემოკრატიულ სტაბილურობაზე მომხსენებელთა ჯგუფის სხდომის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოზე მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციის პროექტი.

შეხვედრის შედეგად შედგენილი იქნა რეზიუმე, რომელიც გადაეცა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს. მომხსენებელთა ჯგუფმა პრინციპულად დაუჭირა მსარი საქართველოს მოწვევას

ევროპის საბჭოსში.

1999 წლის 2 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა "ევროპის საბჭოს წესდების" რატიფიკაცია, საქართველოს პარლამენტის წევრებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წესდების რატიფიკაციას, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ საქართველოსა და მის საკანონმდებლო სელისუფლებას შტკიცედ აქვს არსული ევროპული ორიენტაცია, თვლის თავს ევროპის განუყოფელ ნაწილად და მისთვის ძვირფასად დემოკრატიული ღირებულებები.

ევროპის საბჭოსში გაწევრიანებისას საქართველომ იკისრა ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 209 შეხვედრებითა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციით. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, შედგა აღნიშნულ ვალდებულებათა რეალიზაციის პროგრამა, რომელიც თანმიმდევრულად ხორციელდება.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 მარტის 207 განკარგულების საფუძველზე, 1999 წლის 27 აპრილს, გაწევრიანების მომენტში, სელი მოეწერა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას მე-2 და მე-11 ოქმებით შეტანილი ცვლილებათა დართვით. საქართველოს პარლამენტის 1940-II ს დადგენილებით, 1999 წლის 12 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია და მისი მე-2 და მე-11 ოქმები რატიფიცირებული იქნა და ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს. ამდენად, შესრულებული იქნა დასახელებული პროგრამის ძირველი პუნქტი.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 2 დეკემბრის 583 ბრძანებულებით, შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამთავრობო წარმომადგენლის სამსახური.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სამართალ-დამცავი სტრუქტურების რეორგანიზაციისა და რეფორმირების თვალსაზრისით. ეს ღონისძიებები გარკვეული სიძნელეებით, მაგრამ თანმიმდევრულად მიმდინარეობს.

საქართველოსათვის მეტად მტკიცე უნდა საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებული მოსახლეობის საკითხი. ვალდებულებებით განსაზღვრულია მნიშვნელოვანი პერიოდი ამ თვალსაზრისით საკანონმდებლო ბაზის მომზადებისა და ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რაც 12 წლიან პერიოდს მოიცავს.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 9 დეკემბრის 802 ბრძანებულებით, დაშტკიცდა "დეპორტირებული და საქართველოდან რეპატრირებული მესხების საპართლებრივ და სოციალურ პრობლემათა გადაჭრის სახელმწიფო პროგრამა."

1999 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროში შედგა შეჩვედრა ეუთოსა და ევროპის საბჭოს ექსპერტებთან საქართველოდან რეპატრირებული მოსახლეობის საკითხებზე. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 14 მარტის 104 ბრძანებულების თანახმად, შეიქმნა ორმოციან წლებში სამსრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეაბილიტაციისა და რეპატრიაციის სამთავრობო კომისია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით. კომისიას დაეყალა საკანონმდებლო ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, რომლებიც შექმნიან რეპატრაციის ეტაპობრივი განხორციელების სამართლებრივ ბაზას.

ვალდებულებებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების პრობლემებს. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბჭოსთან მისი სტრუქტურების, ძირითადად ე.წ. „გენეცის კომისიის“, აფხაზეთში მშვიდობიანი მოქესრიგების საქმიანობაში ჩაბმის თვალსაზრისით.

ევროპის საბჭოს 180-მდე კონვენციიდან და დოკუმენტიდან საქართველოს მიერ ხელმოწერილია 30-მდე, რომელთა შესახებ ზემოთ იქნა დეტალურად აღნიშნული.

საქართველოს კანონის "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" შესაბამისად, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები მნიშვნელოვან

დონისძიებებს ასორციელებენ ევროპის საბჭოს დოკუმენტების შესწავლის, კანონით დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გატარების, პრიორიტეტების განსაზღვრისა და ცალკეულ დოკუმენტებთან საქართველოს შეერთების საკითხის გადასაწყვეტად.

1999 წლის 27 აპრილს ქ. სტრასბურგში საქართველოს დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სულამდევანელობით (ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად) ისტორიული შოვლენის მონაწილე გახდა.

ევროპის სასახლის შესასვლელთან საქართველოს დელეგაციას შეხვდნენ: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ლორდი რასელ ჯონსტონი, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იანოშ მარტონი, გენერალური მდივანი დანიელ ტარშისი და სხვა მაღალი თანამდებობის პირები.

ევროპის სასახლის პირველ სართულზე გაიმართა საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების სახეიმო ცერემონიალი.

სიტყვა წარმოთქვა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა დანიელ ტარშისმა. მან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი მიიწვია და მათ სული მოაწერეს საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების ოქმს.

ირაკლი მენაღარიშვილმა სული მოაწერა ასევე "ადაშიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კონვენციას" და 1-ლ, მე-4, მე-6, მე-7 და მე-11 ოქმებს.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც საქართველოს სახელით დიდი მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც შენიშნა და აღიარა საქართველოს კეთილშობილური, გულწრფელი სწრაფვა ევროპული ოჯახისაკენ და ყველაფერი იღონა ისტორიული საქართველოს აღსადგენად.

სახეიმო ცერემონილის მონაწილეებს მიესალმა ევროპის

საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იანოშ მარტონი.

მისაღებელი სიტყვით გამოვიდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ლორდი რასელ ჯონსტონი. საზეიმო ცერემონიალის მირველი ნაწილის დასასრულს, ევროპის სასახლის თაღებს ქვეშ, ანსამბლმა "ქართულმა სმებმა" შეასრულა "შრაგალეამიერი".

ცერემონიალი გაგრძელდა ევროპის სასახლის წინამდებარე მოედანზე. სადაც საქართველოსა და ევროპის პიმნების თანსლებით ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა დროშების გვერდით აღმართა საქართველოს დროშა.

იმჯე საღამოს გაიმართა საზეიმო მიღება საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელით. მიღებას ესწრებოდნენ საპარლამენტო ასამბლეის წევრები და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წევრები, ასევე, საქართველოსა და საფრანგეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანების საზეიმო ცერემონიალის მნიშვნელოვანი მოვლენა დაემთხვა. ევროპის საბჭოს ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საპარლამენტო ასამბლეაზე ქვეყნის პრეზიდენტი მიიწვიეს სწორედ იმ დღეს, როდესაც მისი სახელმწიფოს ევროპის საბჭოში გაწევრიანება მოხდა.

საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა და ესაუბრა საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეს ლორდ რასელ ჯონსტონს, ნანაწერი გააკეთა "ოქროს წიგნი", ესაუბრა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარესა და გენერალურ მდივანს, სიტყვა წარმოთქვა საპარლამენტო ასამბლეაზე.

საქართველოს უახლეს ისტორიაში განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 27 აპრილის პლენარული სსდომა, იგი საქართველოს ევროპის საბჭოს გაწევრიანებას მიეძღვნა. სსდომა ისტორიული იყო იმითაც რომ მასზე პირველად საქართველოს ისტორიაში სიტყვა

წარმოთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

ევროპის საბჭოში საქართველოში გაწევრიანებიდან დაიწყო ახალი ეტაპი საქართველოს ევროპის საბჭოსთან და ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებთან ურთიერთობაში. საქართველოს დელეგაცია წარმოდგენილია საპარლამენტო ასამბლეაში სრულუფლებიანს წევრის სტატუსით.

შეშუშაგებულია და ხორციელდება ევროპის საბჭოსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ყოველწლიური პროგრამები, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობა და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით სამართლებრივი პოლიტიკის წარპართვის ხელშეწყობა;

2. შედამხედველობის განხორციელება ევროპის საბჭოს ფარგლებში საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებზე;

3. საქართველოს სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა ევროპის საბჭოსთან ურთიერთობის საკითხებში;

4. ევროპის საბჭოს ორგანიზების საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;

5. ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ კონვენციებთან საქართველოს შეერთების საკითხის შესწავლა და შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გატარება და სხვა.

საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროპის საბჭოს შორის კონსულტაციებმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

1999 წლის 7 მაისს ქ. ბუდაპეშტში გაიმართა ევროპის საბჭოს შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებული მინისტრთა კომიტეტის 104-ე სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა.

1999 წლის 17 სექტემბერს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ადგილობრივი და რეგიონური თვითმმართველობის

კონგრესის თავმჯდომარე აღეხნა შენარი. მას შესვედები და კონსულტაციები პქინდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, საქართველოს პარლამენტში, საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ევროპის საბჭოს ექსპერტები დაეხმარნენ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ტერორიზმთან ბრძოლის დეპარტამენტის თანამშრომლებს ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში წევრ სახელმწიფოთა გამოცდილების შესწავლაში.

კორუფციასთან ბრძოლის საკითხებს მიუძღვნა სემინარი შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის - "კორუფციაზე სისხლის სამართლის კორუფციის შესახებ და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაზე."

მნიშვნელოვანი სემინარები და სასწავლო კურსები იყო ჩატარებული პენიტენციალური სისტემის სრულყოფის მიმართულლებით პროექტით - "პარტნიორობა პენიტენციალურ სფეროში."

ევროპის საბჭომ მოაწყო სემინარები უცხოელ მოქალაქეთა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ ევროპის საბჭოს დოკუმენტებით განსაზღვრული პრინციპების განხორციელებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით.

განხორციელდა უცხოელებისა და თავშესაფრის უფლების შესახებ კანონების ექსპერტიზა; სემინარი: "წევრ სახელმწიფოებში და საქართველოში ლტოლვილთა საკითხებზე მოქმედი კანონმდებლობის შესახებ"; სასწავლო სემინარი სპეციალისტებისათვის მოქალაქეობის საკითხებზე და სხვა.

ევროპის საბჭოსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელდება სატრენინგო პროგრამები იურისტებისათვის, მოსამართლეების, პროკურორების, პრაქტიკოსი იურისტების, სტაჟირებაზე მყოფი იურისტების, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და სახელმწიფო მოხელეების ჩათვლით.

ევროპის საბჭოს ექსპერტებმა დახმარება აღმოუჩინეს იუსტიციის სასწავლო ცენტრს მის მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსების ჩატარებაში.

საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის ადაშიანის უფლებათა სფეროში 2000 წლის თანამშრომლობის პროგრამით უზენაესი სასამართლოს მსჯერ ნატარდა სასწავლო სემინარი "ადაშიანის უფლებათა სასამართლოს პრევენციულ-სამართალზე" საქართო სასამართლოების მოსამართლეეთათვის.

2000 წელს შეიქმნა ევროპის საბჭოთა საინფორმაციო ცენტრი ქ. თბილისში, რომლის ამოცანაა პროპაგანდა გაუწიოს ევროპის საბჭოს მასალებს, შოაწყის კონსულტაციები, შეხვედრები, გაავრცელოს საინფორმაციო მასალა.

იმავე წლის ივნისში საქართველოს ეწვია ევროპის საბჭოს დელეგაცია ევროპის საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის თავმჯდომარის, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის უმბერტო რანიერის ხელმძღვანელობით. საქართველოს ხელმძღვანელობასთან შეხვედრების შოაგარი თემა ევროსაბჭოსთან საქართველოს მომავალი თანამშრომლობის საკითხები იყო.

ივნისშივე საგარეო საქმეთა მინისტრის მოწვევით საქართველოში იფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ადაშიანის უფლებათა კომისარი ბატონი ალვარო სილ რობლეის, რომელმაც შოაშნადა მოხსენება საქართველოში ადაშიანის უფლებათა საერთო მდგომარეობის თაობაზე. აღნიშნული მოხსენება წარედგინა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს.

საქართველოს შთაფრობის მოწვევით, კორუფციასთან ბრძოლის მდგომარეობის მონიტორინგის განსახორციელებლად №-22 ოქტომბერს საქართველოს ვიზიტით ეწვია ევროპის საბჭოს კორუფციასთან ბრძოლის ქვეყნების ჯგუფის (GRECO) დელეგაცია, ევროპის საბჭოს კორუფციასთან ბრძოლის ქვეყნების ჯგუფის (GRECO) აღმასრულებელი მდივნის მანუელ ლეზერტუას ხელმძღვანელობით. ვიზიტის შედეგად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წარედგინა მოხსენება საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ.

2000 წლის ნოემბერში საქართველოში ვიზიტით იმყოფე-

ბოდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი ქვეყნების ვალდებულებებისა და მოვალეობების შესრულებისადმი ზედამხედველობის კომიტეტის მოქმედებელთა დელეგაცია. რომელმაც აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს დემოკრატიულ, პლურალისტურ სახელმწიფოდ მიიჩნევს, სადაც აღიარებენ კანონის უზენაესობას, პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს. დელეგაციის წევრობა საერთო დასკვნით, საქართველოს სურს და შეუძლია ევროპის საბჭოს ნორმებს და პრინციპებს საკუთარი კანონმდებლობა შეუსაბამოს, უწინარეს ყოვლისა დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას შეუწყობს ხელს.

რომში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის 50 წლისთავის მიეძღვნა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ევროპის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები.

2000 წლის დეკემბერში სტრასბურგში გაიმართა ევროპის საბჭოს დემოკრატიულ სტაბილურობაზე მოქმედებელთა ჯგუფის (GR-EDS) სესიო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჯგუფის თავმჯდომარე, ევროპის საბჭოსთან გერმანიის მუდმივი წარმომადგენელი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იოჰანეს დომესი.

სესიის დღის წესრიგში საქართველოს მოთხოვნით შეტანილ იქნა ორი საკითხი:

- ახრთა გაზიარება საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთან, ბატონ დიტერ ბოდენთან (იგი სპეციალურად ჩავიდა სტრასბურგში).

- რუსეთის მიერ საქართველოსთან შეპირებულ სავიზო რეჟიმში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთებზე სპეციალური პირობების შესახებ.

დიტერ ბოდენმა სესიის პირობებში აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოწესრიგებისათვის მომდინარე საქმიანობის შესახებ.

ევროპის საბჭომ თავისი 50 წლიანი არსებობის მანძილზე უდიდესი წვლილი შეიტანა ევროპის კონტინენტზე კაცობრიობის

ისეთი ფასულობების განსტკიცებაში, როგორცაა ადაშიანის უფლებები, დეპოკრატია და საშართლებრივი სახელმწიფო.

ევროპის საბჭო, რომელიც შეიქმნა დასავლეთ ევროპის მხოლოდ 10 სახელმწიფოსაგან, დღეს აერთიანებს დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის 44 სახელმწიფოს.

ევროპის საბჭო აქტიურ როლს ასრულებს რეგიონში სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამკვიდრების საქმეში. ევროპის საბჭო სხვა ევროპულ ორგანიზაციებთან ერთად, იქნება ეს ეუთო თუ ევროკავშირი, ემსახურება საერთო ევროპული არქიტექტურის მშენებლობას, რომლის საშუალებითაც ევროპა იქცევა სტაბილურ და ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ რეგიონად, სადაც უკლებლივ ყველა ქვეყანაში მაღალ ფასულობად მინიჭებული იქნება ბიროვნება და მისი უფლებები. ევროპის საბჭოს წევრობა გზას უხსნის საქართველოს ევროპაში ინტეგრაციისაკენ, უზრუნველყოფს მის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

მოხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ეს სრულიადაც არ უშლის ხელს ამ ორგანიზაციასთან მის აქტიურ თანამშრომლობას. ეს თანამშრომლობა თანმიმდევრულად და ინტენსიურად ვითარდება.

1993 წლიდან საქართველოში ფუნქციონირებს ევროგაერთიანების კომისიის წარმომადგენლობა, რომელიც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ევროგაერთიანების კომისიას შორის საქართველოს რესპუბლიკაში ევროგაერთიანების კომისიის წარმომადგენლობის დაარსებისა და მისი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ“.

ამავე წლიდან ევროკავშირის დანშარებამ საქართველოს და, სანოვადოდ, ამიერკავკასიის რეგიონის მძარო მიზანდასახული სახე მიიღო. გამოიკვეთა დანშარების სამი ძაროთადი მიძაროთულება: საფინანსო დანშარება, პუშანიტარული დანშარება (ძირითადად სასურსათო დანშარების სახით), ტექნიკური დანშარება. 1994 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირის შორის დაიწყო ძოლაბა-

რაკება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების თაობაზე. მოლაპარაკებები დასრულდა 1995 წლის დეკემბერში და შეთანხმებას ხელი მოეწერა 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სამი პრეზიდენტისა და ევროკავშირის ხელმძღვანელობას შორის გამართული შესვენის დროს.

1992-200 წლებში საქართველომ ევროკავშირისგან მიიღო 600 მლნ ევრომდე ოდენობის დახმარება. აღნიშნული დახმარება ხორციელდება სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, კერძოდ: ტასისის, სპეციალური ფინანსური მხარდაჭერის, სასურსათო უსაფრთხოების, რეაბილიტაციის, სასაზღვრო მხარდაჭერის და ჰუმანიტარული მხარდაჭერის.

1997 წლიდან მოქმედება დაიწყო ევროკავშირის დახმარების ისეთმა პროგრამებმა, როგორცაა სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა და განსაკუთრებული ფინანსური დახმარების პროგრამა: 1996 წლიდან მოყოლებული ევროგაერთიანების სასურსათო დახმარება საქართველოს მიმართ მნიშვნელოვნად შემცირდა. სამაგიეროდ ამოქმედდა ოთხწლიანი სასურსათო უსაფრთხოების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს პირდაპირ ინექციებს სახელმწიფო ბიუჯეტში (42 მლნ. ევრო). პროგრამა მიზნად ისახავს ქვეყანაში თანამედროვე დონის სოფლის მეურნეობის განვითარებას, რომელიც თვითონ უზრუნველყოფს სასურსათო პროდუქციით ქვეყნის ბაზრის დაკმაყოფილებას

საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების ხელის შეწყობის მიზნით ამოქმედდა ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტებისაგან დაზარალებული ტერიტორიების რეაბილიტაციის პროგრამა. 2000 წლის 24 ნოემბერს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელი მოეწერა საფინანსო შეთანხმებას ენგურჰიმის მისაყრდნობი ფარის რეაბილიტაციისათვის 5 მლნ. ევროს გაშოთხვის შესახებ. დაკავშირებულია დაშტებით 5 მლნ. ევროს გაშოთხვა ენგურჰიმის ერთ-ერთი აგრეგატის აღდგენითი სამუშაოების ჩატარების მიზნით.

ცხინვალის სარეაბილიტაციო პროგრამისთვის ევროგაერთიანებამ 1997 წლის ბიუჯეტიდან გრანტის სახით გამოყო 3.5 მლნ. ევრო, რის საფუძველზეც 1998 წლის 18 სექტემბერს საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და ევროკომისიას შორის ხელი მოეწერა შეთანხმება ცხინვალის რეგიონის სარეაბილიტაციო პროგრამის შესახებ. შეიქმნა სამეთვალყურეო კომიტეტი, რომლის წევრებს წარმოადგენენ ევროკომისიის, ქართული და ოსური მხარის, ასევე ცხინვალის რეგიონის სარეაბილიტაციო პროგრამის რეალიზაციისათვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული ავსტრიული არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰილუსვერკ ავსტრია-ს“ წარმომადგენლები. 2000 წლის ივლისში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა თანამშრომლობის პლატფორმას ცხინვალის რეგიონში სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელების მიზნით (1.5 მლნ. ევრო). აღნიშნული პროექტებია: გორი-ცხინვალის რეინიგნის რეაბილიტაცია; რეგიონში გაზსადენების რეაბილიტაცია; ცხინვალის რეგიონისათვის ენგურჰესიდან ელექტროენერჯის მიწოდების დაფინანსება.

ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციები და ევროკავშირის საბჭო, მის მიერ არაერთხელ გაკეთებულ განცხადებებში, სანს უსვამდნენ საქართველოში მიმდინარე რეფორმების სისწორეს, მხარს უჭერდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. აღსანიშნავია აგრეთვე, მხარდაჭერა კასპიის ნავთობის ევროპისაკენ დასავლეთის (საქართველოზე გავლით) მარშრუტის არჩევის საკითხში.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, 1997 წლის 1 სექტემბრიდან საქართველომ დაიწყო საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. 2000 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიაზე, რომელიც დასრულდა 2001 წლის აპრილში.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში ახალი ეტაპი

დაიწყო 1999 წლის 1 ივლისს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლიდან. აღნიშნულ მოვლენას წინ უსწრებდა 1999 წლის 22 ივნისს ლუქსემბურგში გაბართული "კავკასიური სამიტის", რომლის დროსაც გაიმართა პოლიტიკური დიალოგი რეგიონურ დონეზე. სამიტზე მიღებული ერთობლივი დეკლარაცია მოუწოდებდა კავკასიის სახელმწიფოებს, ევროკავშირის აქტიური ხელშეწყობით გაედრმავებინათ რეგიონური თანამშრომლობა, რასაც უნდა განემტკიცებინა რეგიონის სტაბილურობა და უსაფრთხოება. დეკლარაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რეგიონში ქვეყნების დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის კვლავ ამოქმედებას.

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის ფართომასშტაბიანი დახმარების შემაღგენელი ნაწილია ტექნიკური დახმარების პროგრამა TACIS-ი.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მინიშნულია სამხრეთ კავკასიაში რეგიონური თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით გრძელდება TRACECA-სა და INOGATE-ის მოქმედება. როგორც ცნობილია, ამ პროექტების ფარგლებში ხელი მოეწერა მნიშვნელოვან სამთავრობათაშორისო შეთანხმებებს. INOGATE (ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება ევროპისაკენ) პროგრამა დაფუძნებულ იქნა 1995 წლის 4 ნოემბერს. მისი მიზანია დსთ-ს სივრცეში არსებული ნავთობის და გაზსადაცენების სისტემებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია, ალტერნატიული მარშრუტების ვარიანტების შეფასება, აგრეთვე მონაწილე ქვეყნებს შორის რეგიონული თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა და ევროპისაკენ ენერგეტიკული დერეფნის ეფექტური ფუნქციონირების უსრუნველყოფა. 1999 წლის 22 ივლისს, INOGATE-ის პროგრამის ფარგლებში, კიევში შედგა უმაღლესი დონის შესვენდრა, რომელზეც განხილულ იქნა ნავთობისა და გაზის ევროპაში მიწოდების საკითხები. კასპიის რეგიონის ნავთობპროდუქტების დიდი

რაოდენობით ტრანსპორტირებისათვის კავკასიის რეინაგზანუ კავშირგაბმულობის თანამედროვე სისტემების დანერგვის მიზნით საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებმა თხოვნით მიმართეს ევროკავშირს, რათა მომხდარიყო 133 სადგურის შორის კავშირგაბმულობის სისტემის ოპტიკურ-ბოქცოვანი კაბელების გაყვანის დაფინანსება, TRACECA-ს პროგრამის ფარგლებში. თავდაპირველად ოპტიკური კაბელები იქნება უშუალოდ სარკინიგზო ოპერაციებისათვის, ხოლო საზნის სრული დატვირთვით ამოქმედების შემდეგ მისი ტვივადობის არანაკლებ 80% -ისა შეიძლება გამოიყენებულ იქნას ძირითადი სატელეკომუნიკაციო მიწებისათვის. გარდა ამისა, პერსპექტივაში გათვალისწინებულია „აბრეშუქის გზის“ გასწვრივ ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და მონიტორინგის სატელეკომუნიკაციო ქსელის შექმნა, რაც ასაღვანსოებს შესაძლებელს სატრანსპორტო დერეფანს.

საქართველოსათვის, მისი უსაფრთხოებისა და თავისუფალი განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობას, როგორცაა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი.

1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპაში გარდაქმნის პოლიტიკის შედეგად შექმნილმა ახალმა ვითარებამ ნატოს წინაშე აღნიშნულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარების საკითხი დააყენა. ახალი სტრატეგია მიზნად ისახავდა „ცივი ომის“ ეპოქის კონფერენტაციიდან პრაქტიკულ თანამშრომლობაზე გადასვლას, ევროპული უშიშროების ახალი არქიტექტურის მშენებლობას, რომელსაც, ბუნებრივია, დასავლური ცივილიზაციის ფასეულობები და პრინციპები უნდა დადებოდა საფუძვლად.

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისათვის, რომელიც დღემდე მისი დაარსების (1949 წ.), საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავებისა და დასავლური დემოკრატიის დაცვას ემსახურებოდა, ამგვარი

ტრანსფორმაციის განხორციელება დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან სირთულეებთან. უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული მოწინააღმდეგის პარტნიორად აღიარება მოითხოვდა ალიანსის მიზნებისა და ამოცანების ასლებურ კონცეფტუალურ გააზრებას, ევროპული უსაფრთხოების სისტემის რეალობასთან ადაპტირებას და თანამშრომლობის ახალი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

ადამოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირისაკენ ნატოს დიდი შეშობრუნების ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯად მიჩნეულია ალიანსის სამიტი, რომელიც 1990 წლის 5-ს ივლისს გაიმართა ლონდონში. სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში ჩამოყალიბდა ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის მთავარი კონტურები, რომელთა საფუძველი იქნებოდა არა ორი დაპირისპირებული ბანაკის ძალთა თანაფარდობა, არამედ თანამშრომლობისა და პარტნიორობის პრინციპები.

ამ მიმართულებით ნატოს ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბებამ განვითარება ჰპოვა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, 1991 წლის 6-7 ივნისს კოპენჰაგენში გაშარულ ნატოს საბჭოს სხდომაზე.

ადამოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის მიმართ ახალი პოლიტიკის შემუშავებასთან ერთად, ნატოს დღის წესრიგში კვლავ რჩებოდა საკუთრივ ალიანსის სტრატეგიული ერთიანობისა და კონსოლიდაციის შენარჩუნება.

ამით აიხსნება ის გარეშობაც, რომ კოპენჰაგენის მინისტრთა შეხვედრაზე ცალკე დოკუმენტად მიიღეს განცხადება განაწლებულ ევროპაში ნატოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მთავარი ფუნქციების შესახებ.

ამგვარად, ნატო იყო და რჩებოდა უსაფრთხოების ტრანს-ატლანტიკურ მექანიზმად, რომლის მეშვეობითაც აშშ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ევროპასთან.

1992 წლის 18 დეკემბერს ბრიუსელში გაშარულ ნაქსი-ს (ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო) საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე დაშტკიცდა დიალოგის

პარტნიორობისა და თანამშრომლობის 1993 წლის გეგმა, რომელიც ნათელი შავალითაა იმსახ, თუ როგორ თანმიმდევრულად სდებოდა პარტნიორების პრაქტიკული ურთიერთობების განვითარება ნატოსთან. უპირველეს ყოვლისა, 1992 წლის პირველ ანალოგიურ გეგმასთან შედარებით გამოიკვეთა სხვადასხვა მიმართულებებით კონსულტაციებისა და კონკრეტული ღონისძიებებს მოცულობის ზრდის ტენდენცია. შავალითად, პოლიტიკასა და უმშრომლობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ფარგლებში გეგმა ითვალისწინებდა სამშვიდობო ოპერაციების კონცეფტუალური და საორგანიზაციო ასპექტების დამუშავებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქონდა საქართველოსათვის. მხედველობაში გვაქვს საქართველოს დაინტერესება აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის ინტერნაციონალიზაციით, რომელიც, გარდა პოლიტიკური გადაწყვეტილებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო ან ევროსირგანიზაცია) შესაბამისი მანდატისა, საქიროებს შესაბამის შეთანხმებას ამ ოპერაციის პრაქტიკული განსორცხელებისათვის.

ნატოში კარგად ესმოდით, რომ მიუხედავად რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულებისა, აღმოსავლეთ ევროპის დაუოკებელ სწრაფვას ალიანსში გაწევრიანებისაკენ სჭირდებოდა ადექვატური რეაქცია. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული, რომ ევროპის რეგიონი, თავისი უმშრომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, სხვა ორიენტაციისა და შესაძლებლობების ძიებას დაიწყებდა.

1993 წლის 3 დეკემბრის ნაქის-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შესყედრა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გამოიყენეს მიღავრი დიპლომატიური შეტყვისათვის ალიანსში გაწევრიანების სასარგებლოდ საკუთარი პოზიციის დასაცავად.

ნატოს კულუარებში დაიწყო საუბარი არა მხოლოდ აღნიშნულ სახელმწიფოებთან ასაღი ფორმისა და შინაარსის ურთიერთობების დამყარებაზე, არამედ საერთოდ ასაღი სტრატე-

გიაზე ყველა პარტნიორი ქვეყნის მიმართ. ამასთან, ნაქსი-ს წევრ-ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც, შესთავაზეს ოფისის ვახსნა ნატოს შტაბ-ბინაში.

1994 წლის 10-11 იანვარს ბრიუსელში გაპარსულ სამიტზე მიღებულ იქნა აშშ-ის ახალი ინიციატივა - პროგრამა პარტნიორობა შპკიდობისათვის (პშპ). ეს ინიციატივა ითვალისწინებდა ნატოსა და ყოფილ სოციალისტურ ბანაკს შორის ურთიერთობების თვისობრივად ახალ დონეზე აყვანას. მართალია, ინიციატივა არ გულისხმობდა ნატოს კალექტური უშიშროების გარანტიების გავრცელებას პარტნიორებს, მაგრამ იგი მაინც პასუხობდა აღმოსავლეთ ევროპის რიგ სახელმწიფოთა მთხოვნებს ნატოში გაწევრიანების შესახებ, რადგან საშუალებას აძლევდა ამ რეგიონის ყველა დაინტერესებულ ქვეყანას ეთანამშრომლა უშუალოდ ნატოსთან პრაქტიკული მიმართულებებით.

1994 წლის 23 მარტს საქართველო, ერთ-ერთი პირველი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ოფიციალურად შეუერთდა პშპ-ს.

1994 წლიდან დასავლეთი და ნატო სულ უფრო მეტ აქცენტს აკეთებენ უკრაინაზე, რომლის დასავლური ორიენტაცია ყოფილ საბჭოთა სივრცეში სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის განმტკიცების სერიოზულ გარანტიად განიხილებოდა.

ნატოს ახალი რეალობებისადმი ადაპტაციის პროცესი, რომელიც 1994 წლის დასწყო, დასკვნით ფაზაში აღიანის 1997 წლის 8-9 აგლისის მადრიდის სამიტის მზადების პერიოდში შეუცდა. აღნიშნულ სამიტზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა პრინციპული მდგომა ისეთი მთავარი საკითხისადმი, როგორც იყო აღიანისს შიდა სტრუქტურების ცვლილებები, აღიანისს გაფართოება და ახალი წევრების მიღება, პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავება.

ნაქსი-ს წევრობა წარმოადგენდა საქართველოს ნატოსთან დაახლოების პირველ რეალურ ნაბიჯს, სილით ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება შეძლო სულ უფრო ნათლად გამოიკვეთა, როგორც საქართველოს სავარყო პოლიტიკის

სტრატეგიული მიმართულება.

1993 წლის მაისში ბრიუსელში დაარსდა საქართველოს საელჩო, რომელმაც ამავდროულად დაიწყო ნატოსთან დიპლომატიური შეკავშირის ოფისის ფუნქციების შესრულებაც. საქართველოს ნატოში პირველი წარმომადგენელი გახდა ბატონი ზურაბ აბაშიძე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოსა და ნატოს ერთობლივი თანამშრომლობის საქმეში.

1993 წლის ივნისიდან საქართველოს საელჩო მონაწილეობას იწვებს ნაქსი-ს ფარგლებში სსგადასხვა დონეზე მიმდინარე პოლიტიკურ კონსულტაციებში. ამ კონსულტაციებს საქართველოსათვის შეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი აფხაზეთის პრობლემის განხილვის საშუალებას იძლეოდა ნატოს ფარგლებში.

1993 წლის 11 ივნისს ათენში გამართულ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, რეგიონური პრობლემატიკის განხილვისას ყურადღება დაეთმო სამხრეთ კავკასიასაც. შეხვედრაზე მძღებელი განცხადების ტექსტში კი გახსნა ჩანაწერი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს (იმ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურს) და კონფლიქტის დარეგულირებაში გაერო-სა და ეუთო-ს როლის გაძლიერებას, რაც ასევე ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ემთხვეოდა.

სამწუხაროდ, ამ ეტაპზე საქართველოს მცდელობას, პრაქტიკულად ჩაერთო ნატო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში, რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

ნატოში ამთავითვე ჩამოყალიბდა აზრი, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სამხედრო-პოლიტიკური რისკები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდნენ. უპირველეს ყოვლისა საქართო იყო არსებული პრობლემების მოგვარების შესაძლებლობათა ძიება თვით რეგიონის შიდა რეზერვებში.

ამავე დროს, ნათელი იყო ისიც, რომ საქართო იყო მზარდი გარეშე დახმარებაც, კერძოდ დასავლეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების კოლექტიური მხარდაჭერა.

სამსუდროო-პოლიტიკური თვალსაზრისით ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი როლის შესრულება ეკისრებოდა მოლაპარაკებებს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების (ქსშ) ფარგლებში.

ქსშ სულშეკრულებასთან დაკავშირებული პროცესის განვითარება მნიშვნელოვნად იყო დაზოკიდებული იმანზე, თუ რა ადგალს მიანიჭებდა კავკასიას ნატო თავის გეოსტრატეგიულ გეგმებში.

1998 წლისათვის უკვე ნათლად იკვეთება კასპიის ენერგორესურსებთან დაკავშირებული პროექტების პერსპექტივები და კონტურები. დასაყლოთში სულ უფრო ნათლად აცნობიერებდნენ, რომ კასპიის ენერგორესურსების გეოპოლიტიკურ თამაშში საქართველოს განსაკუთრებული როლის შესრულება შეეძლო.

კასპიის ენერგოპროექტების მიმართ ახრთა სხვაობის მიუხედავად, ნატო დგამდა პირველ პრაქტიკულ ნაბიჯებს აღნიშნული საკითხზე აღიანსის ფარგლებში მსჯელობის დასაწყებად. ამ თემატიკას მიუძღვნა პირველი შრგვალი მაგიდა თემანე „კასპიის ზღვის ნაყთობი და საერთაშორისო უსაფრთხოება“, რომელიც 1998 წლის 17-18 სექტემბერს გაიმართა ბრიუსელში.

შესვედრაზე, რომელმაც დასაბამი მისცა ნატოში საქართველოსათვის ამ შეტად აქტუალური პრობლემატიკის განხილვას, გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭირო იყო აღნიშნულ შრგვალ მაგიდაზე დაწყებული პროცესის გაგრძელება და მისთვის უფრო მონანდასახული ხასიათის მინიჭება, რამაც ასახვა პოვა ეაპს-ის შემდგომ სამუშაო გეგმებში.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა საქართველოს პრეზიდენტის ე.შეგარდნაძის და აღიანსის გენერალური მდივნის ბატონ ხ.სოლანას შესვედრა, რომელიც გაიმართა ბრიუსელში 1996 წლის 23 აპრილს. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბ-ნ ხ. სოლანას 1997 წლის 11-12 თებერვლის ყინიტს საქართველოში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (ეაპსი), რომელიც 1997 წელს შექმნა. იგი წარმოადგენს ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გადრეშავების ფორუმს.

ეაპს-ს დასაბამი მიეცა 1997 წლის 30 მაისს ქ. სინტრაშში (პორტუგალია). ეს შოვლენა საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობის ახალი ეტაპის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს.

ევროატლანტიკური უშიშროების სისტემის მშენებლობაში ნატოსა და ეაპს-ის როლის შესახებ საგნობრივი მსჯელობა გაიმართა ნატოსა და ეაპს-ის წევრ სახელმწიფოთა შეთავაზების შესვენებებზე, რომლებიც შედგა მადრიდში 1997 წლის 8 და 9 აგვისოს. მადრიდში მიწვეული იყო საქართველოს დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის შეთავაზებით.

მადრიდის სამიტზე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო წარმომადგენლობების დონის ასამაღლებლად. კერძოდ, 1997 წლის 28 მარტს გაფორმებული ე.წ. ბრიუსელის ხელშეკრულების შესაბამისად, პარტნიორებს საშუალება ეძლეოდათ შეექმნათ ნატოსთან სრულფასოვანი დიპლომატიური წარმომადგენლობები.

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ელჩმა სურაბ აბაშიძემ 1998 წლის 22 აპრილს რწმუნებათა სიგელი გადასცა ნატოს გენერალურ მდივანს.

საბჭოს ფარგლებში ჩამოყალიბებულია კავკასიის საკითხებზე მომუშავე საგანგებო ჯგუფი, რომლის საქმიანობაც რეგიონური თანამშრომლობის განვითარების ინტერესებს ემსახურება. დღეისათვის მუშაობა მსმდინარეობს შემდეგ საკითხებზე:

- თავდაცვის ეკონომიკა;
- საგანგებო სიტუაციები;
- უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სამეცნიერო და გარემოსდაცვითი საკითხები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინფორმაცია;

ეკრო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ფარგლებში ნატო-სთან საქართველო ასევე თანამშრომლობს 19+1 (ნატოს ქვეყნები+საქართველო) ფორმატში, სადაც განიხილება უსაფრთხოების საკითხები. ბოლო პერიოდში ამ ფორმატში განსაკუთრებით აქტიურია განიარაღებისა და შეიარაღებაზე კონტროლის პრობლემატიკა.

ნატოს გენერალური მდივანი ბ-ნი ს. სოლანა განმეორებით ეწვია საქართველოს 1998 წლის 29-30 სექტემბერს. საქართველოს პრეზიდენტთან და სხვა ხელმძღვანელებთან საუბრისას განხილულ იქნა ევროპული უსაფრთხოების საკითხები, საქართველოს და ზოგადად კავკასიური პრობლემატიკა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კავკასიის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას ევრაზიული სატრანზიტო დერეფნისა და კასპიის ენერგორესურსების პროექტების კონტექსტში.

ნატოსა და საქართველოს შორის სამხედრო კონტაქტები 1993 წლიდან დაიწყო. მაგრამ ამ თანამშრომლობის რეალური და პრაქტიკული განხორციელება მას შემდეგ განდა შესაძლებელი, რაც ბმპ-ის ფარგლებში ალიანსისა და პარტნიორებს შორის გაფორმდა ინდივიდუალური პარტნიორების პროგრამები (იპპ). საქართველოსთან პირველი იპპ (1996 წლისათვის) დამტკიცდა 1995 წლის დეკემბერში. იპპ-ში მოცემულია სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის კონკრეტული ღონისძიებები და თემები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა ვარჯიშებისა და თბერაციების სფერო, რომელშიც საქართველო უკვე იწყებდა ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან პრაქტიკულ თანამშრომლობას. კერძოდ, 1996 წელს ნატო-ბმპ-ის ფარგლებში დაგეგმილ სამხედროს წვრთნებში მონაწილეობისათვის გათვალისწინებულ იქნა საქართველოს სამხედრო პერსონალის ჩართვა ამ ვარჯიშების დაგეგმვისა და მომზადების პროცესში.

1997-1998 წლების ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამებმა შემდგომი იმპულსი მისცეს ნატოსთან საქართველოს

სამხედრო თანამშრომლობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი მზარდი ტენდენციით სასიათღებოდ და მას უკვე კონკრეტული შედეგებიც მოჰქონდა. ასე, მაგალითად, 1997 წლის მანძილზე საქართველოდან წარგზავნილმა 5 სამოქალაქო და სამხედრო პირმა სპეციალური ნ-თვისანი კურსები გაიარა ნატოს მარშალის ცენტრში (გარბში, გერმანია). ოფიცერთა სპეციალიზირებულ კურსებზე ობერაპერგაუსში (გერმანია) კი მომზადება გაიარა 9 ოფიცერმა. ქართველმა სამხედროებმა მონაწილეობა მიიღეს ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებში გაძარბულ 18 სამხედრო-სავლელ წვრთნასა და სამეთაურო-სამტაბო სწავლებლაში, აქედან 5 მათგანში ქვეგანაყოფების (ოცეული) დონეზე.

ნატოსა და საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა მსოფლიოდ იმპ-ით როდი შემოიფარგლებოდა. ამ თვალსაზრისით, დიდ მნიშვნელობას იქენდა ნატოს შესაბამის უწყებებთან ქართველი სამხედროების დაკავშირება, დელეგაციებისა და ექსპერტთა ჯგუფების გაცვლები, მათი სწავდასწავა ღონისძიებებში მონაწილეობა და სსცა.

1994 წლის 28 აპრილს, ბელგიის ქ.მონსში განლაგებულ ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის მტაბბინაში, საწეიმოდ გაისსნა პარტნიორობის საკოორდინაციო ცენტრი, რომლის მიზანი გასლდათ პშპ-ის ე.წ. სამხედრო ნაწილის განსორციელება. 1996 წლის აპრილიდან აღნიშნულ ცენტრში მუშაობა დაიწყო ქართველმა ოფიცერმა.

1999 წლის მარტში საქართველოს გადაეცა PARP-ის პროცესში მონაწილეობის კითხვარო-შეფასება, რამაც ფაქტურად დასაბამი მისცა საქართველოს მონაწილეობას ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში. ამგვარად, საქართველომ გადადგა პრინციპული ნაბიჯი თავისი შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტების შესაბამისად რეფორმირების გზაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, უკვე მე-ნ წელია საქართველო ნატოსთან თანამშრომლობს პროგრამის „პარტნიორობა მშყადობისათვის“ ფარგლებში. ეს თანამშრომლობა თანდათან უფრო

მისანშიმართული ხდება. 2001 წლის ივნისში საქართველოში წარმატებით ჩატარდა მრავალეროვნული მასშტაბური წვრთნა "ქოლშერატივ პარტნერ-2001", ხოლო 2002 წლის სწავლება "ქოლშერატივ ბესტ ეფორტ-2002".

თავდაცვის სამინისტრო აქტიურადაა ჩართული პარპ-ის (PfP Planning and Review Process) პროცესში, რაც ნატო-ს სტანდარტების ათვისებას ემსახურება.

2001 წლის გაზაფხულზე დაინერგა ნატოსთან რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების პრაქტიკა, რასაც წყენი ქვეყნისათვის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს კონსულტაციები ძირითადად ტარდება ქართული მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ხოლო ნატო-ს მხრიდან პოლიტიკური დირექტორატის ხელმძღვანელის დონეზე. კონსულტაციების თემატიკაა უსაფრთხოების საკითხები.

წელიწადში ორჯერ ტარდება ეაპს-ის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრები. განსაკუთრებული კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს 2001 წლის დეკემბერში გამართულ საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრის დასკვნითი კომუნიკე, სადაც დაფიქსირდა ორი ძალზე მნიშვნელოვანი მოქმეტი. პირველი - ხაზი გაესვა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების როლის ანტიტერორისტული კოალიციის მხარდაჭერაში. მეორე - საბჭო გამოვიდა მოწოდებით რათა უახლოეს ხანში გადაიჭრას რუსეთ-საქართველოს შორის არსებული საკითხები, რომლებიც ეუთოს სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებათა შესრულებას ეხება. ეს იყო მნიშვნელოვანი მხარდაჭერა საქართველოსთვის.

აღსანიშნავია თანამშრომლობა განათლების სფეროში. ნატოს სკოლაში ობერაპერგაუში და ნატოს თავდაცვის კოლეჯში ყოველწლიურად კვალიფიკაციას იმაღლებენ ქართველი მსმენელები, რომელთა სწავლების ხარჯს ფარავს ნატო. ნაყოფიერად შეიძლება შეფასდეს ქართველი და ნატოელი მეცნიერების თანამშრომლობა. 2001 წელს თბილისში ჩატარდა ნატოს

სამეცნიერო კომიტეტის გასვლითი სხდომა. ასევე მნიშვნელოვანია ნატოს ინფორმაცია და პრესის ოყისის დახმარება საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი გრანტების საშუალებით.

ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობა უახლოეს მომავალში კიდევ უფრო მრავალმხრივ ხასიათს მიიღებს. განხორციელდება მრავალმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები, მათ შორის ეაპსის კავკასიის რეგიონულ ჯგუფში. ამ კონსულტაციების მიზანია ევროატლანტიკური უსაფრთხოების ახალი სისტემის ჩამოყალიბება და მასში საქართველოს სრული ინტეგრირება. გაფართოვდება ჩვენი მონაწილეობა ბპპ-ით გათვალისწინებულ სხვადასხვა პროცესებსა და ინიციატივებში. თუკი საქართველოში სამხედრო რეფორმები სწორმართულად წარიმართება, ეტაპობრივად მიღწეული იქნება ჩვენი შეიარაღებული ძალების სტანდარტების თავსებადობა ალიანსის სამხედრო პარამეტრებთან. გარკვეულ ეტაპზე შესაძლებელია ეაპს-ის ეგიდით ნატოს როლის გააქტიურებაც რეგიონში არსებული კონფლიქტების, კერძოდ, აფხაზეთის, პრობლემის მოსაგვარებლად.⁴⁵

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიას და, კერძოდ, საქართველოს ადგილს ალიანსის მომავალ გეგმებში, ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებით განვითარდება ცნობილი საერთაშორისო ენერგეტიკული და სატრანსიტო პროექტები. თუკი ისინი რეალურად დაუწყვიდრებენ რეგიონს ახალ ფუნქციას მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე და კასპის ენერგორესურსებს აქცევენ დასავლეთის ქვეყნების ენერგიით უზრუნველყოფის ალტერნატიულ წყაროდ, მაშინ, ალბათ, რეალურად წამოიჭრება სამხრეთ კავკასიის შესაბამის ქვეყნებზე დასავლეთის, შესაძლოა თვით ნატოს, უსაფრთხოების გრანტების გავრცელების საკითხი.

საქართველო ევროპული მშვიდობისა და სტაბილურობის ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად განიხილაეს ევროპაში თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ორგანიზაციას, რომლის წევრიც

⁴⁵ ზ. აბაშიძე, „ნატო და საქართველო უტომიოდან რეალობამდე“, თბილისი, 2000.

ის 1992 წლის 8 ივნისიდანაა.

1992 წლის 13 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის ევრობაში თანამშრომლობისა და უსაფრთხოების კონფერენციაში (იმხანად ასე ეწოდებოდა ეუთო-ს), როგორც მოქმედი თავმჯდომარის, ბატონი ვ. პოეინსკის წერილი. იგი იტყობინებოდა, რომ კონფერენციის ხელშეწყობა თანახმაა იყო საბჭოთა კავშირისაგან გამოყოფილი ახალი სახელმწიფოების კონფერენციაში არჩევანზე, რისთვისაც აღნიშნულ სახელმწიფოებს უნდა ეკისრათ გარკვეული ვალდებულებები და ეროვნული კანონმდებლობის დონეზე გამოეხატათ ნება.⁴⁶

საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ პრინციპებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც ასახულია ეუთო-ს ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტების დასკვნით დეკლარაციაში.

ეუთო-ში შესვლით საქართველოს საშუალება მისცა საკუთარ თავზე აეღო გარკვეული ვალდებულებები, ამავე დროს, ეუთო-ს პრინციპების შესაბამისად, ესარგებლა ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის, მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და დემოკრატიული განვითარების გარანტიებით.

ეუთო-ს სფეროში არსებული კონფლიქტების თავიდან აცილების და კრიზისის მოწესრიგების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია გრძელვადიანი მისიები. 1992 წლის დეკემბრიდან ეუთო-ს მისია საქართველოშიც ფუნქციონირებს. მისიის მიზანია სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტების პოლიტიკური საშუალებებით მოწესრიგების, მხარეებს შორის მოლაპარაკებითი პროცესის ხელშეწყობა, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობასა და ადამიანის უფლებათა დაცვის უსრუნველყოფაში დახმარება - თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მხარ-

⁴⁶ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი, აღწერა 1(დამ), საქმე 6.

დაჭერა, დემოკრატიული კანონმდებლობისა და სამართალ-
დამცავი ორგანოების შექმნა, არსებების შეთვალეურობა
და ა.შ., მხარეებთან ურთიერთობა და ერთობლივი სამშვიდობო
ქალების მონიტორინგი. მისიის მიზანმიმართულია აგრეთვე, მოქმედე-
ბათა კოორდინირება ერთი-ს ერთგულ უმცირესობათა კომი-
სარსა და დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებ-
ბათა ბიუროსთან, ურთიერთობა ევროკავშირს, ევროსაბჭოს,
გაეროსა და საქართველოში მოქმედ სხვა საერთაშორისო
ორგანიზაციებთან.

საქართველოში ერთი-ს მისიის მხარდაჭერით მიღწეულია
გარკვეული შედეგები ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრი-
გებაში. მისიის ხელშეწყობის აქტიური მუშაობის შედეგად
შესაძლებელია გახდა ლტოლვილ და იძულებით გადაადგილებულ
პირთა დაბრუნება სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ სოფელში. კვლავ
აქტუალურად დგას ცხინვალის რეგიონის დემილიტარიზაციის
საკითხი, რომლის გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია კონფ-
ლიქტის რეალურ მოგვარებაზე საუბარი. მისია მონაწილეობს
აქ განლაგებული შერეული სამშვიდობო ქალების თანდათანობით
შემცირებისა და მათი ფუნქციების სამართალდამცავი სტრუქტურ-
ებისათვის გადაცემის პროცესშიც.

1994 წლიდან მისია მონაწილეობს კონფლიქტის მოწესრი-
გების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომებსა და ქართულ-
ოსური უფლებამოსილი დელეგაციების ექსპერტთა ჯგუფების
შესვენებებში. 1997 წლიდან ცხინვალში ფუნქციონირებს ერთი-ს
ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი, რომლის მუშაობასაც
საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება, რადგან კვლავ საყურადღებოა
ცხინვალში და მის მხედობარე დასახლებულ მუნიციპალიტეტში ადამიანის
უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული საერთო მდგომარეობა.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი-ს მისიას არაერთხელ გაუწევია
მუშაობისათვის დანართობა ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებელ-
თათვის.

2000 წლიდან, ერთი-ს ავსტრიის თავმჯდომარეობის

ძალისხვევით, გააქტიურდა მოლაპარაკებათა პროცესი, გაიზარდა ექსპერტთა შესვედრების რაოდენობა და ჩამოყალიბდა „ბადენის პროცესი“, დაწესდა მოლაპარაკებათა რეგულარული განრიგი, მასში ეუთო-ს „ტროიკის“ ჩართვით. შესვედრებზე განხილება ურთიერთდობის განმტკიცების ზომები, როგორც კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ძირითადი ასპექტი, კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ამასთან დაკავშირებით ქართული და ოსური მხარეების ფინანსური დახმარების საკითხები, როგორც რეალური და პრაქტიკული წვლილი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში.

2001 წლის დეკემბერში ბუქარესტში, ეუთო-ს მინისტრთა საბჭოს სხდომის საბოლოო დოკუმენტში ცალსახად აისახა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი სრული მხარდაჭერა. აგრეთვე, პირველად დაფიქსირდა საქართველოს სახელმწიფოს შექადგენლობაში ცხინვალის რეგიონის სტატუსის განსაზღვრის საჭიროება.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კონფლიქტის რეგონში მცირე იარაღის ამოღების პროექტი, რომელიც 2000 წლიდან სორციელდება. ამ პერიოდში შეგროვებულ და განადგურებულ იქნა 1270 ერთეული იარაღი და 205 კგ ასაფეთქებელი ნივთიერება. პროექტი საგრძნობლად დაეხმარება კონფლიქტის მოწესრიგებისა და რეგიონის მოსახლეობაში ურთიერთდობის აღდგენის პროცესს.

დაგეგმილია იარაღის ჩაბარების საფუძველზე რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელება. ამჟამად, პროექტის ფარგლებში ევროკომისიის, ნორვეგიის, ბრიტანეთისა და საქართველოში ეუთო-ს მისიის მონაწილეობით მოხერხდა სარწყავი არსის აღდგენა, საკოორდინაციო ცენტრისათვის საოფისე მოწყობილობების შექენა და ცხინვალის ერთ-ერთ სკოლას გადაეცა კომპიუტერები. აგრეთვე, მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო დონორების მიზიდვაზე იარაღის ჩაბარებისათვის საკომპენსაციო პროგრამების განხორციელების მიზნით, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს მოსახლეობიდან

შეიარაღების ამოღების პროცესს.

მნიშვნელოვანია, რომ ეუთო არის ის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც ბუდაპეშტის (1994), ლისაბონის (1996) და სტამბოლის (1999) სამიტებსა და კოპენჰაგენის (1997), ოსლოს (1998), ვენის (2000) მინისტრთა საბჭოს სსიდომების საბოლოო დოკუმენტებში აღიარა და დაგმო აფსაზეთში, საქართველო განხორციელებული ეთნიკური წმენდა, ძირითადად ქართული მოსახლეობის მიმართ.

1997 წლიდან ეუთო მონაწილეობას ღებულობს ყენევის პროცესში, თუმცა წარმართავი როლი კვლავ გაეროს ეკუთვნის. დადებითად შეიძლება შეფასდეს სოსუმში გაეროსა და ეუთო-ს მიერ ერთობლივი ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ დაარსებიდან დღემდე მისი მუშაობა არაეფექტურია და მხოლოდ სოსუმის რეგონით შემოიფარგლება. აუცილებელია სოსუმის სავლეთ ოფისის მიმართ სრულიად განსხვავებული, ანლებური მიდგომის შემუშავება. საქმიანობის ძირითადი მიმართულება ადამიანის უფლებათა ობიექტური მონიტორინგი, დარღვევების ფაქტების დადგენა, დაფიქსირება და პოლიტიკურ-ჰუმანიტარული შეფასება უნდა იყოს.

1998 წელს ოსლოში გადაწყდა მსგავსი ოფისის გაღის რეგონშიც გახსნა, მაგრამ სამწუნაროდ ეს საკითხი ყოვნდება სანამ არ იქნება მიღწეული აფსაზური მსარის თანხმობა. ამასთან დაკავშირებით 2000 წლის ნოემბერში გალში მუშაობდა ერთობლივი შემფასებელი მისია, რაც გაეროსა და ეუთო-ს თანამშრომლობის კარგი პრეცედენტია. სამწუნაროდ, შემფასებელი მისიის საბოლოო ანგარიშში არ დაფიქსირებულა ტერმინი „ეთნიკური წმენდა“, ხოლო ზოგიერთი საკითხი ერთგვარად შერბილებული ფორმით წარმოჩინდა, მაგრამ იქ ნათლად აისახა ქართული მოსახლეობის უფლებათა შელასვის ფაქტები, მათ შორის, დაბრუნებულთათვის უსაფრთხოების გარანტიების არ არსებობა, სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვა და აგრეთვე უადრესად რთული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

ვითარების ადგილზე გაცნობისა და იმის გაოცების წინაშე, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს კონფლიქტის ზონაში დღესდღეობით ყველაზე მეტად გაღის რაიონში აქვს ადგილი, შექმდე შექმფასებელმა მისიამ გააკეთა რეკომენდაცია გალში სოხუმის ოფისის ფილიალის გახსნის თაობაზე, მაგრამ აფხაზური მხარის დესტრუქციული დამოკიდებულების გამო კვლავ ვერ სერსდება ამ რეკომენდაციის განხორციელება.

2001 წლის თებერვალში ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლევს მიერ შექმნა აფხაზეთის საკითხზე სპეციალური კომიტეტი (ad hoc committee).

1998-2002 წლებში ეუთო-მ დაგმო აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ ჩატარებული ე.წ. საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნები.

საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მუდმივმა საბჭომ 1999 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოში ეუთო-ს მისიას გაუფართოვა მანდატი (გადაწყვეტილება #334), საქართველო-რუსეთის ფედერაციის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე საერთაშორისო მონიტორინგის განსახორციელებლად.

2001 წლის 13 დეკემბერს ეუთო-ს მუდმივმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება (#450) საქართველო-რუსეთის ფედერაციის სასელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე სამხედრო დამკვირვებელთა საერთაშორისო მონიტორინგის ერთი წლით გაგრძელებისა და დასავლეთით, ინგუშეთის მონაკვეთზე, მისი გაგრძობის თაობაზე. ამ გადაწყვეტილებით 2002 წლის 2 იანვარს დაიწყო მონიტორინგი ასას ხეობაში, გაიხსნა დამატებითი სამეთვალყურეო პუნქტი სოფელ სნოში. მეთვალყურეთა საერთო რაოდენობა ზამთრის პერიოდში 42-ს, სოლო ზაფხულში 54-ს შეადგენს.

ადსანიშნავია, რომ ეუთო-ს სამონიტორო ოპერაციის ანგარიშებში მისი დაარსებიდან დღემდე არ დაფიქსირებულა

სახელმწიფოს გადაკვეთის ფაქტები, თუმცა არაერთხელ აღინიშნა რუსეთის ფედერაციის ვერტმფრენების მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის შემთხვევები.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ეუთო-ს, კერძოდ მისი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიუროს, დაინტერესება საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და კონფლიქტების მოწესრიგების პროცესით.

1998 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა ეუთო-სა და საქართველოს შორის ურთიერთგაგების შეთანხმდუმს. შეთანხმდუმის ფარგლებში ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიურომ განახორციელა საქართველოსათვის დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობის პროექტები. აგრეთვე საქართველოს ხელისუფლების მოწვევის საფუძველზე ეუთო/დიაუბ უწევდა მონიტორინგს 1999 წლის საპარლამენტო და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს.

2001 წლის იანვრიდან წარმატებით მიმდინარეობს ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისიის პროექტი, რომლის მიზანია სამცხე-ჯავახეთში ვითარების კვლევა და ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში მოქმედებს რამდენიმე სომხური ნაციონალისტური დაჯგუფება („ჯავახკი“, „ფირქი“, „სარი“), რომლებიც რეგიონის ეთნიკური ნიშნით ავტონომიას მოითხოვენ, პროექტის კორესპონდენტებს არ დაუფიქსირებიათ ამ თვალსაზრისით დაპაბულობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები.

ევრაზიის კონტინენტზე სტაბილურობის განმტკიცების, ახალი და ფუნდამენტური პრინციპების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენად განიხილება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის სამიტი, რომელიც 1999 წლის ნოემბერში გაიმართა სტამბოლში. ამ სამიტზე დეტალურად ყურადღარების გამახვილება აუცილებელია, რამდენადაც იგი საქართველოსათვის ისტორიული გადაწყვეტილებებით დაგვირგვინდა. დეტალურად

შევესთთ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტს, რომელიც შემოაღნიშნულ ღონისძიებას დაემათვია; ეს მასალა გარკვეულწილად წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს საქართველოსათვის ამ არანაკლებ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობის სფეროზეც.

სამიტის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 5/4 სასელმწიფომ, აგრეთვე მრავალი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის დელეგაციებმა. სტამბოლი დღეს უდიდესი მსოფლიო მოვლენების მასპინძელია, ბრძანა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან სულეიმან დემირელთან შესვედრისას საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც 17 ნოემბერს ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად ეუთოს სამიტის მუშაობაში მონაწილეობისათვის ეწვია სტამბოლს.

ეუთოს სამიტის წინა დღეს, სტამბოლმა კიდევ ერთ, რეგიონური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს, საერთაშორისო შესვედრას უმასპინძლა. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის - "ბისეკის" წევრი სასელმწიფოების მეთაურები და დელეგაციათა ხელმძღვანელები შეიკრიბნენ რიგგარეშე შესვედრაზე, რათა შეეფასებინათ ბოლო ხანებში ევრობაში მიმდინარე მოვლენების ფონზე "ბისეკის" ახალი შესაძლებლობანი.

„ჩვენ გვინდა, რომ "ბისეკის" სივრცე მშვიდობისა და თანამშრომლობის რეგიონად იქცეს, ხოლო ჩვენი საქმიანობა მიმართული იყოს ევროპის ქვეყნების კონსოლიდაციისაკენ“ განაცხადა "ბისეკის" აღმასრულებელ სამდივნოში გაძართულ შესვედრაზე წარმომტმულ მისასაღმებელ სიტყვაში მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა. ეს მისწრაფება, როგორც ორგანიზაციის საერთო მიზანი, აისახა როგორც სამიტის საბოლოო დოკუმენტში, ისე დეკლარაციაშიც. ორგანიზაციის წევრებმა ერთსულაოვნად დაადასტურეს თავიანთი პოლიტიკური ნება, ხელი შეუწყონ "ბისეკის" ფარგლებში მშვიდობასა და უშიშროებას მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის მიზნით. საზვასპით აღინიშნა, რომ

არსებობის "შვიდი წლის მანძილზე "ბისეკმა" ხელი შეუწყო მშვიდობისა და უშიშროების განშტკივების პროცესს. ეს ორგანიზაცია ამკვიდრებს პრაგმატულ აზრს იმის თაობაზე, რომ ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენს ნდობის აღდგენის ეფექტიან საშუალებას და ასალი ევროპის არქიტექტურის საყრდენს. თუმცა, ამავე დროს, ისიც ითქვა, რომ „ბისეკის“ შესაძლებლობანი ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა აგრეთვე ის, რომ „ბისეკმა“ უნდა გაააქტიუროს სწრაფვა ევროპაში სრული ინტეგრაციისაკენ, გააფართოვოს თანამშრომლობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, უწინარეს ყოვლისა, ევროკავშირთან. წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს და გაშლათეს მზადყოფნა, ხელი შეუწყონ „შავი ზღვის გაჭრობისა და განვითარების ბანკს“, როგორც „ბისეკის“ საფინანსო საპირკველს რეგიონის ეკონომიკური განვითარების საქმეში. როგორც ცნობილია, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ „ბისეკს“ დამკვირვებლის სტატუსი მიანიჭა. შეხვედრის მონაწილეთა შეფასებით, ამ აქტმა ხელი შეუწყო „ბისეკს“ შეერთებოდა საერთაშორისო ორგანიზაციების ოჯახს, როგორც თანასწორი პარტნიორი, რაც რეგიონს დაეხმარება უფრო კონკურენტუნარიანად ჩაერთოს გლობალიზაციის პროცესში.

შეხვედრაზე გამოითქვა მრავალი საინტერესო ინიციატივა, მათ შორის, „ბისეკის“ ფარგლებში თავისუფალი საგაჭრო რეჟიმის შემოღების თაობაზე. ამ წინადადებით მიმართა შეხვედრის მონაწილეებს რუმინეთის პრეზიდენტმა ემილ კონსტანტინესკუმ. ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის გააქტიურების სურვილი გამოთქვა სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა.

რეგიონში ბოლო ხანებში მომხდარი კატასტროფების ფონზე საკმაოდ აქტუალურად გამოიკვეთა საგანგებო მდგომარეობისა და დახმარებისა და გაშლამაურების შექანიშმების შექმნის აუცილებლობა. სწორედ ამ პრობლემას მიაპყრო ყურადღება რუსეთის

საგანგებო სიტუაციათა მინისტრმა სერგეი შოიგუმ, რომელმაც წამოაყენა წინადადება „ბისეკის“ ფარგლებში შაშველი ცენტრის შექმნის თაობაზე.

თავის გამოსვლაში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ორგანიზაციის სამომავლო პროგრამა პირდაპირ დაუკავშირა რეგიონში მშვედობისა და სტაბილურობას პრობლემას. „ჩვენს რეგიონში მიმდინარე პროცესების დინამიკა არ გვაძლევს უფლებას, დაველოდოთ სამიტის ოფიციალურ მოწვევას ჩვენი პოზიციების შესათანხმებლად. განსაკუთრებულ შემთხვევას იწვევს ის, რაც ამჟამად ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში. ვფიქრობ, ჩვენს საერთო მიზნად უნდა გადაიქცეს, არ დაგუშვათ საოპარი მოქმედებების გაფართოება, რადგან ამან შეიძლება სერიოზული წინააღმდეგობები შეუქმნას რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი ეკონომიკური პროექტების რეალიზაციას“, განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. მან იმედი გამოთქვა, რომ „ბისეკი“ სერიოზულ წვლილს შეიტანს შავი ზღვის სივრცეში სიტუაციის სტაბილიზაციაში და „გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს გლობალური პროექტების უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ მოძგებიანობასთან დაკავშირებით“. იქვე დასძინა, რომ დიდი აბრეშუქის გზის ფარგლებში ნავთობსადენებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელება დღის წესრიგში აყენებს რეგიონური სტაბილურობის საკითხებში უფრო მჭიდრო და აქტიური თანამშრომლობის აუცილებლობას.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ „ბისეკს“ პოლიტიკური გააქტიურებისაკენ მოუწოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მან ეს მიიჩნია ისეთ პირობებში, როდესაც დიდი საერთაშორისო ორგანიზაციები მსოფლიოში სხვადასხვა ცხელი წერტილებით არიან დაკავებული და ყოველთვის არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას კავკასიის საქმეებს. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ერთ-ერთი მიზანი რეგიონის ბედზე ერთობლივი პასუხისმგებლობა უნდა გახდეს და ეს საქმიანობა უნდა წარიმართოს მისი უმთავრესი მიზნის - ეკონომიკური აქტივობისათვის

ზრდის პარალელურად.

ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, დადგა დრო, რომ „ბისეკმა“ მოძიების შესაბამისი ბალანსი ეკონომიკურ თანამშრომლობასა და რეგიონულ უსაფრთხოებას შორის, განსაზღვროს თავისი ადგილი სხვა რეგიონული ჯგუფებისა და სამთავრობათშორისო ორგანიზაციების ოჯახში 21-ე საუკუნის ასაღ, ევროპულ არქიტექტურაში. მისი შეფასებით, ეს საკითხები არის ერთი მნიშვნელობისაა, რადგან სწორედ მათ შეუძლიათ „ბისეკის“ საბოლოო წარმატების უზრუნველყოფა.

საქართველოს პრეზიდენტმა ყურადღება მიაპყრო ევროკავშირთან „ბისეკის“ თანამშრომლობის პროექტების განსაზღვრისა და შეშუშავების აუცილებლობას. დასასრულს კი აღნიშნა, რომ მომავალი წლიდან საქართველოს წარმომადგენელი დაიკავებს „ბისეკის“ გენერალური მდივნის პოსტს და ყველაფერს იღონებს, რათა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდეს ორგანიზაციის საქმიანობა.

შესვედრის დასასრულს „ბისეკის“ წევრმა სახელმწიფოებმა ერთხლოვნად მიიღეს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის სტამბოლის სამიტის დეკლარაცია.

18 ნოემბერს სტამბოლში მუშაობა დაიწყო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლესი დონის სამიტმა, რომელშიც 54 სახელმწიფოსა და სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით.

უეთოს ეს შესვედრა ორგანიზაციის ფუძემდებელი დოკუმენტის, „პელსინკის დასკვნითი აქტის“ მიღების 25 წლისთავს დაემთხვა. დღეს უკვე „ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე“ გადაჭიმული ევრო-ატლანტიკური და ევრაზიური სივრცეების გამაერთიანებელი და გარკვეულწილად უნიკალური ორგანიზაცია ასაღი გეომოლოგიური მოწყობის საფუძვლად ამ სივრცეზე სტაბილურობის განმტკიცებას მისინევს და სწორედ ამ მიმართულებით აგებს

თავისი საქმიანობის პრიორიტეტებს. დღემდე ვაწეული მუშაობის ანალიზი ცხადყოფს იმ მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც ამ ორგანიზაციასა და მის ინსტიტუტებს შეაქვთ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვაში. დიდია მისი წვლილი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება-განმტკიცების პროცესშიც, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ევრაზიის კონტინენტზე სტაბილურობის განმტკიცებას. ეუთო ასევე აქტიურად არის ჩაბმული ევროპაში სამხედრო უშიშროებისა და სამხედრო უწყებათა შორის ურთიერთნდობის განმტკიცების პროცესში.

შეიძლება ითქვას, რომ ეუთოს სტამბოლის სამიტი კავკასიური ნიშნით წარმოართა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კოსოვოს მოკლენების შემდეგ კავკასიის რეგიონის უშიშროება და სტაბილურობა საერთაშორისო თანამეგობრობის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავად იქცა. მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა წამყვანი ქვეყნის მეთაურებმა თავანთი გამოსვლისას განსაკუთრებული აქცენტი, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებაზე გააკეთეს.

ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ კრიზისულ სიტუაციასთან დაკავშირებით, შეშფოთება გამოთქვეს საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა, ეუთოს მოქმედება თავმჯდომარეშ - ფინეთის პრეზიდენტმა მარტ ანტისაარიმ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა გერჰარდ შროდერმა და სხვებმა. მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს კონფლიქტების მოწესრიგების პროცესში, მათ შორის საქართველოში, ეუთოსა და ევროკავშირის როლის გაზრდას.

კავკასიის რეგიონში სტაბილურობის მისაღწევად საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედება მიიჩნია აუცილებელ ღონისძიებად თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა. ამ თვალსაზრისით, სრულიად ახალი ინიციატივით წარსდგა სამიტის წინაშე აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი. მან შესვედრის მონაწილეებს შესთავაზა, შეიქმნას სამხრეთ კავკასიის რეგიონის უშიშროების პაქტი, რომელიც მოემსახურება გარეშე

აგრესიისაგან რეგიონის დაცვას, მშვიდობასა და რეგიონის სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას.

სამიტზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მან თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეუთოს სივრცეში მიმდინარე მოვლენები ბევრად განსაზღვრავენ მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ ამინდს.⁴⁷

ორი დღის მუშაობის შემდეგ ევრობაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სტამბოლის სამიტმა მუშაობა დაასრულა. „პელსინკის დასკვნითი აქტის“ მიღებიდან 25 წლისთავე მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა და გავლენიანმა ორგანიზაციამ სწორედ ის ნაბიჯები გადადგა, რომლებიც უმნიშვნელოვანესი წინაპირობა გახდება 21-ე საუკუნეში მის წევრ სახელმწიფოთა უშიშროების, სტაბილურობის, აყვავებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

19 ნოემბერს ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა, ხანგრძლივი მუშაობისა და დეტალური ანალიზის შემდეგ, ხელი მოაწერეს „ევროპული უშიშროების ქარტიას“, რომელიც პრაქტიკულად, უშიშროების სფეროში წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობის პლატფორმას წარმოადგენს. დოკუმენტი ეუთოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უსახავს გააძლიეროს რეაგირება კონფლიქტებზე. იგი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა გაძლიერდეს ეუთოს ინსტიტუტები, აღიარებს ადამიანური განზომილების პრიორიტეტს და სამხედრო პოლიტიკური განზომილების მნიშვნელობას.

დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ეუთოს ასლებური მიდგომა ისეთი პრობლემებისადმი, როგორებიც არის კრიზისის მართვა და პოსტკონფლიქტური რეაბილიტაცია. ქარტიაში ხაზგასმით არის მითითებული, რომ სახელმწიფოებს შიგნით არსებული კონფლიქტები საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოთა შორის სტაბილურ ურთიერთობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ეუთოს სტამბოლის

⁴⁷ ქვემოთ ქვეყნდება საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლის სრული ტექსტი.

სამიტი კავკასიური ნიშნით მიმდინარეობდა. ეს განწყობილება მკაფიოდ აისახა სამიტის მთავარ დოკუმენტშიც - „ევროპული უშიშროების ქარტიაში“, სადაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ მთლიანად ეუთოს სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტაბილურობის შენარჩუნება კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. გარდა ამისა, დოკუმენტში განსაზღვრულია უშიშროების სფეროში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეუთოს თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები.

სამიტის ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი შედეგია „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ“ ხელშეკრულება, რომელსაც ორგანიზაციის ოცდაათმა წევრმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი. იგი გულისხმობს მთელ რიგ სახელმწიფოებში შეიარაღების შემდგომ შემცირებას, რაც განსაკუთრებულ როლს შეასრულებს უსაფრთხო და ინტეგრირებული ევროპის მშენებლობის საქმეში. ამ ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რადგან იგი საერთაშორისო საფუძველს ქმნის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო კონტინგენტის შემცირებისა და საბოლოოდ მისი გაყვანის პროცესის დასაწყებად.

ხელშეკრულების თანდართული დოკუმენტია საქართველო-რუსეთის ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმადაც რუსეთმა იკისრა ვალდებულება, 2000 წლის 31 დეკემბრამდე შეამცროს საქართველოში არსებული თავისი ჩვეულებრივი შეიარაღება ადაპტირებული ხელშეკრულებით განსაზღვრული კვოტების მიხედვით. არა უგვიანეს 2000 წლის 31 დეკემბრისა, რუსეთმა ივალდებულა ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზებიდან, აგრეთვე თბილისში განლაგებული სარემონტო საწარმოებიდან ჩვეულებრივი შეიარაღების გატანა. 2001 წლის 1 ივლისამდე კი ეს ორი ბაზა მთლიანად უნდა იყოს დაშლილი და გატანილი საქართველოდან.

ამ განცხადების თანახმად, საქართველო უფლებას აქვს

რუსეთის დროებით განლაგოს თავისი ჩვეულებრივი შეიარაღება ბათუმსა და ახალქალაქში. ამასთან, მხარეებმა უნდა დაასრულონ მოლაპარაკება ბათუმსა და ახალქალაქში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სხვა სამხედრო ობიექტების ფუნქციონირების წესისა და ვადების შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტისა და შექმნაში მონაწილეობის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის კუთვნილი მძიმე შეიარაღება (ტანკები, ჯავშანმანქანები, საარტილერიო სისტემები) შექცირებულ იქნა 515 ერთეულით. მათ შორის, 59 ტანკი, 427 ჯავშანმანქანითა და 29 საარტილერიო სისტემით;

საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანილია 35 ტანკი, 337 ჯავშანმანქანა და 27 საარტილერიო სისტემა (სულ: 399 ერთეული). უტილიზირებულ იქნა 24 ტანკი, 90 ჯავშანმანქანა, 2 საარტილერიო სისტემა (სულ: 116 ერთეული).

მოსერსდა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამშვიდობო ძალების ტექნიკის ჩართვა ერთობლივი განცხადებით განსაზღვრულ ღიშიტებში (რამაც რუსეთის მხარისათვის აუცილებელი გახდა ბათუმის ბაზაზე 81, სოლო ახალქალაქში 78 ჯავშანმანქანის დამატებითი შექცირება).

მთლიანად დაიცალა მძიმე ტექნიკისაგან თბილისში განლაგებული სამხედრო ობიექტები.

სრულად დაიცალა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაეცა ვაზიანის სამხედრო ბაზა, ასევე რიგი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტებისა, მაგალითად, ვაზიანის სამხედრო აეროდრომი.

გაყვანილ იქნა ვაზიანის ბაზისა და ვადმოცემული ობიექტების პირადი შემადგენლობა.

აღნიშნული ბაზისა და სხვა ობიექტების დაცლა/გადმოცემის შედეგად, საქართველოს ტერიტორიიდან გავიდა არა მხოლოდ ენქს სელშეკრულებით შეზღუდული მძიმე ტექნიკა, არამედ

ვერტმფრენები, სატვირთო და სპეციალური ავტომობილები, სპეციალური მარაგები და სამხედრო ნაწილების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სხვა აღჭურვილობა.

რუსეთის ფედერაციის ოფიციალური ინფორმაციით, გუდაუთის ბაზა მთლიანად დაიცალა მძიმე ტექნიკისაგან. კერძოდ, გაყვანილ იქნა 102 ჯავშანმანქანა და 11 საარტილერიო სისტემა, ხოლო დარჩენილი 10 ჯავშანმანქანა გადაეცა სამშვიდობო ძალებს. აღნიშნული ციფრებიდან, 78 ჯავშანმანქანისა და 11 საარტილერიო სისტემის გატანა დადასტურებულია საერთაშორისო დაშვორეგებლთა მიერ.

მიღწეულ იქნა პრინციპული შეთანხმება, რომ ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებისათვის საუბარი იქნება არა საქართველოში ყოფნის ვადებზე, არამედ მათი გაყვანისათვის აუცილებელ პერიოდზე.

დონორ სახელმწიფოებთან მუშაობის შედეგად, ეუთო-ში შექმნილი იქნა სპეციალური ფონდი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საქართველოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ნაწილების გაყვანით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა. ამ მიზნით, ფონდის გადაეცა ქართული მხარის მიერ მომზადებული დანმარების პროგრამები.

საქართველოში რუსეთის სამხედრო ყოფნის საკითხი ორმხრივი ურთიერთობებიდან გადატანილია პრინციპულად სხვა, საერთაშორისო სიბრტყეზე. ეუთო-ში საქართველოს დელეგაციის მიერ პრაქტიკულად ყოველ კვირას ხდება ეუთო-ს მთელი თანამეგობრობის დეტალური ინფორმირება სტამბოლის განცხადების იმპლემენტაციის პროცესის შესახებ. ანალოგიური ინფორმაცია ვრცელდება ნატო-ში, ეაპს-ში, ევროსაბჭოში, ევროკავშირში, გაერო-ში;

მიღწეულ იქნა პრინციპული შეთანხმება, რომ არ მოხდება ადაპტირებული ენემ სელშეკრულების რატიფიცირება მსიი წევრი სახელმწიფოების მიერ მანამ, ვიდრე რუსეთი სრულად არ შეასრულებს საქართველოსთან მიმართებაში ნაკისრ ვალდებულებებს.

სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაცია არასრულყოფილად ასრულებს თავის ვალდებულებებს, დარღვეულია ვადები, რუსეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებები აღნიშნულ საკითხებზე ნ რაუნდად ჩატარდა და გრძელდება.

სამიტის დასრულების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ასე შეაფასა ამ დოკუმენტის კონკრეტული შედეგი: - „ჩვენ მივიღეთ იმის მაქსიმუმი, რის მიღებაც შეიძლებოდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ოცი ტანკი იქნება თუ ასი, მნიშვნელოვანია ის, რომ გადაწყდა საქართველოში არსებული ორი სამხედრო ბაზის - ვაზიანისა და გუდაუთის ბაზების საკითხი. თუმცა მოლაპარაკება ამით არ დამთავრებულა. იგი გრძელდება სხვა ბაზებთან დაკავშირებითაც, რაც გულისხმობს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო კონტინგენტის თანდათანობით, მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით გაყვანას“.

სამიტმა მიიღო დასკვნითი დოკუმენტიც - პოლიტიკური დეკლარაცია, რომელშიც შეფასებულია ორგანიზაციის მუშაობა ლისაბონის სამიტის შემდეგ განვლილი 3 წლის განმავლობაში. მასში ეუთომ გამოკვეთა თავისი პრიორიტეტები და განსაზღვრა ის რეგიონები, სადაც უნდა გააძლიეროს საქმიანობა. დეკლარაციაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებს. დოკუმენტი ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ეუთოს მტკიცე მხარდაჭერას. განსაკუთრებით არის ხაზგასმული საქართველოში კონფლიქტების მოწესრიგების აუცილებლობა, მათ შორის, ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა. დოკუმენტი მკაცრად მოითხოვს ლტოლვილთა დაუყოვნებელ, უსაფრთხო და უპირობო დაბრუნებას, როგორც კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების ხელშემწყობ ფაქტორს. „ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის მნიშვნელობას. ველით პროგრესს საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებაში საქართველოში რუსეთის სამხედრო კონტინგენტის

შემცირებასთან დაკავშირებით“, - ნათქვამია დეკლარაციაში.

დოკუმენტში ეუთო მხარს უჭერს გაეროს წამყვან როლს აფხაზეთში და გამოთქვამს მზადყოფნას, გაეროსთან ერთად შეიშუშავოს და წარმოადგინოს დოკუმენტის პროექტი, რომელიც მიმართული იქნება საკონსტიტუციო უფლებამოსილებების გასამიჯნად საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის ხელისუფლებას შორის. „ჩვენ კვლავაც ვადასტურებთ, რომ მტკიცედ ვგმობთ, როგორც ეს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტების დოკუმენტებშია ჩამოყალიბებული, ეთნიკურ წმენდას, რომელსაც შედეგად მოჰყვა აფხაზეთიდან, უბრატესად, ქართული მოსახლეობის ძალისმიერი განდევნა და მასობრივი განადგურება, ხოლო 1999 წლის მაისში გალის რაიონში განხორციელებული ძალადობის აქტები“, - აცხადებს ეუთო და მიზანშეწონილად მიიჩნევს, გაისად გალის რაიონში ეუთოსა და გაეროს ფაქტების დამდგენი მისიის გაგზავნას. „ასეთი მისია უზრუნველყოფდა საფუძველს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო და უსაფრთხო დაბრუნებისათვის და მთლიანად რეგიონში სტაბილური სიტუაციის შექმნის მიზნით საერთაშორისო მხარდაჭერის გაზრდისათვის“.

დეკლარაციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აფხაზეთში გამართული პრეზიდენტის არჩევნები და რეფერენდუმი არის უკანონო და მიუღებელი.

ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიმართვა ეუთოს სტამბოლის სამიტისადმი. ვაქცევებთ მიმართვის სრულ ტექსტს:

ძვირფასო ბატონო თავმჯდომარე,

ძვირფასო კოლეგებო,

ნება მიბოძეთ, მადლობა გადაგუხადო თურქეთის ხელისუფლებას მისთვის ჩვეული სტუმართმოყვარეობისა და ჩვენი შეხვედრის საუკეთესოდ ორგანიზებისათვის. ამასთან ერთად, მინდა ვისარგებლო ამ შესაძლებლობით, რათა გამოვთქვა ჩემი და

ჩემი ხალხის ღრმა მწუხარება ამ ბოლო ხანებში ჩვენს მოძვე-
თურქეთში მომხდარი რამდენიმე დამანგრეველი მიწისძვრის გამო,
რომლებსაც მრავალი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

მინდა მივესალმო და მადლობა მოვასხენო ეუთოს მოქმედ
თავმჯდომარეს, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრს კნუტ
ვოლტეკს, მისი თავმჯდომარეობის პერიოდში ნაყოფიერი მუშაობის
გამო.

სანამ თავად ჩვენი სამიტის თემატიკაზე გადავიდოდე, მინდა
ამ მაღალი ტრიბუნადან ჩემს შეგობარს ლეონიდ კუჩმას საპრე-
ზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მივულოცო.
ფიქრობ, ყველა ჩვენგანს ოპტიმიზმს შემატებს ის გარემოება,
რომ ევროპის უმნიშვნელოვანესი ქვეყნის – უკრაინის მოსახლეობამ
კვლავინდებურად მსარი დაუქირა დამოუკიდებლობისა და
დემოკრატიული რეფორმების კურსს.

სტამბოლის სამიტზე ჩვენ სელს ვაწერთ ქარტიას, რომელიც
მოწოდებულია განსაზღვროს პრინციპები, რომელთა ყოველი
ჩვენგანის მიერ განსორციელებაც უნდა უნსრუნველყოფდეს ქვეყ-
ნებისა და მათი მოქალაქეების უშიშროებას, ამ სიტყვის ყველაზე
ფართო გაგებით, თავისუფალ, დემოკრატიულ და ინტეგრირებულ
ეუთოს სივრცეში. თუმცა, მას ჯერ კიდევ ვერ ვუწოდებთ
„ოცდამეერთე საუკუნის ევროპულ კონსტიტუციას“, „შემთავა-
ზებული პოლიტიკური დოკუმენტი მაინც წინგადადგმული ნაბიჯია.

მისი უცილობელი შესრულება დიდად წაადგება უშიშროებას
ჩვენს პლანეტაზე, რადგან ეუთოს უკიდევანო სივრცეზე მიმდინარე
მოვლენები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ მთელი მსოფ-
ლიოს პოლიტიკურ ამინდს. თუკი ჩვენ მოწოდების სიმადლეზე
აღმოვინდებით და ქარტიაში ჩამოყალიბებული პრინციპების
ერთგული დავრჩებით ყველგან და ყოველთვის, ეუთო დადებით
იშპულსებს გამოასხივებს და მისაბამ მაგალითად იქცევა დანარჩენი
მსოფლიოსათვის.

მისასალმებელია ის, რომ ქარტიაში ჩაიდო რამდენიმე
ქმედითი ელემენტი კრიზისული სიტუაციების დაძლევისა და

საშპვიდობო ოპერაციებში ეუთოს უფრო აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ეს განსაკუთრებით წაადგება იმ რეგიონების ქვეყნებს, სადაც კონფლიქტები დღესაც მოსაგვარებელია და სადაც დესტაბილიზაციის ახალი კერების წარმოქმნის საშიშროება მუდამ არსებობს.

საქართველოში ეუთოს მისიის მოღვაწეობამ დადებითი როლი შეასრულა ცნინვალის რეგიონში კონფლიქტის მოგვარების პროცესის წარმართვაში. ჩვენ მოველით, რომ ამიერიდან ეუთო აქტიურად ჩაებშება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში, რომელიც დღემდე ჩვენი ხალხის ყველაზე მტკივნეულ და მოუშუშებელ ჭრილობად რჩება. მინდა იხიცი აღვნიშნო, რომ სწორედ ეუთოს ბოლო ორი სამიტის დოკუმენტებში მიეცა ყველაზე სამართლიანი შეფასება აფხაზეთში მომხდარ დანაშაულს, რის შედეგადაც, დღეს 300 000-მდე დევნილი, ღრმად ტრავმირებული ადამიანი მოკლებულია უმთავრეს უფლებას, იცხოვროს თავის სახლში. ჩვენ თავად განვიცადეთ ეთნიკური წმენდით მოყენებული გაუსაძლისი ტკივილი, და უცნაური არაფერია იმაში, რომ განსაკუთრებით მძაფრად აღვიქვამთ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, სადაც უნდა ხდებოდეს იგი. ამიტომაც დავუჭირეთ მხარი ნატოს მიერ კოსოვოში განხორციელებულ ოპერაციას.

დღეს კავკასიის რეგიონი, მსოფლიოს ყურადღების ფოკუსშია მოქცეული იმ დროისაგან განსხვავებით, როცა ქართველი მოსახლეობის სოცვა-ელექტა ხდებოდა აფხაზეთში. ამასთან დაკავშირებით მინდა ყველას შევანსენო, რომ სწორედ აფხაზეთში დატრიალებულმა ტრავმედიამ წარმოშვა ის დესტრუქციული მუსტი, რომელმაც შემდგომში კავკასიის მთებს მიღმა გადაინაცვლა და იქ სისხლიანი სამხედრო დაპირისპირების სახით მოგვევლინა ჯერ 1994 წელს, შემდეგ კი - ახლა. ნუთუ ცხადზე უცხადესი არ იყო, რომ აგრესიული სეპარატიზმისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკის წახალისება სწორედ ამგვარ ნაყოფს გამოიღებდა? ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე ჩემს არაერთ შეგონებას

ყური არაყინ ათხოვა.

სხვათა შორის, ცხადზე უცხადესია ისიც, რომ ძალის გამოყენებით კავკასიური კონფლიქტების საბოლოო მოგვარება შეუძლებელია და ამას თვით რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობაც ადასტურებს. ამ რეგიონში არსებული დაპირისპირების განმუხტვა ერთიან, კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რადგან მიუხედავად მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფისა, კავკასია მრავალი პარამეტრით ერთიანი ორგანიზმია. კავკასიური კონფლიქტების მოწესრიგებაში ჩართულმა ყველა ძალამ ეს უბრალო აქსიომა სრულად უნდა გაითავისოს.

